ლიბერალი
№ 27 / 19 - 25 აპრილი / 2010

პოლონეთი ლეხ კაჩინსკის შემდეგ გვ. 15
დავით ზურაბიშვილი პრეზიდენტის მემკვიდრეზე გვ. 21
მედიამონიტორინგი: ვინ ქმნის ახალ ამბავს? გვ. 09
VS : 802 100 ევრო „ევროვიზიაში“ გვ. 10
შიშის, მგლისა და ცხვრების შესახებ გვ. 28
მანდატურები სკოლაში – პირველი დღე გვ. 35
გაუცნობიერებელი მკვლელობა გვ. 37
გიო ახვლედიანი: სანია რომ თხოვდებოდა გვ. 44

ფასი 2 ლარი



ISSN 1987-7528
9 771987 752008

ტვინების ბაღინება

გვ. 39

თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი	FM 105.5
გორი, ქარელი, ხაშური	FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია	FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი	FM 101.0
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი	FM 101.9

ლიბერალი

№ 27 / 19 - 25 აპრილი / 2010

პოლონეთი გლოვობს კატინთან დაღუპულებს, ვარშავა, 11 აპრილი 2010

ნომერში:

02 რედაქტორი
04 მოკლედ
06 ვრცლად
08 ფოტორეპორტაჟი
09 **მედიამონიტორინგი**
ვინ ქმნის ახალ ამბავს?
10 **ორი აზრი**
ულირს თუ არა საქართველოს „ევროვიზია“ 802 100 ევროდ?
ნათია უზნაძე v.s. ლადო ბურდული
12 **თვალსაზრისი**
აუღელვებლად დარჩენა
მარკ მალენი
13 **მიმოხილვა**
გადაუდებელი ინვესტიციები ტელევიზიებისთვის?
ფოკუსი: პოლონეთი
15 პოლონეთი ლეხ კაჩინსკის შემდეგ
პოლიტიკა
19 ოპოზიცია გაჩეჩილაძის გარეშე
21 **თვალსაზრისი**
ჭეშმარიტების მომენტი, ანუ მოდელირებული „ქრონიკა“, როგორც უკანგამხედვარის წინასწარმეტყველება
დავით ზურაბიშვილი
23 **დისკუსია საქართველო-რუსეთის ომზე**
საქართველოს საშინაო დავალება
25 **თვალსაზრისი**
კონფლიქტის ფაქტობრივი მხარე
ვახტანგ ჯანელიძეშვილი
27 **თვალსაზრისი**
მიშას მსოფლიო თამაშები
მარტინ ნოგტონი
საუბრები ლიბერალიზმზე
28 შიშის, მგლისა და ცხვრების შესახებ
ეკონომიკა
30 2010 წლის სტარტი
ჟურნალისტური გამოძიება
33 ნივთმტკიცება ანაბეჭდების გარეშე
ადამიანის უფლებები და სამართალი
35 მანდატურები სკოლაში - პირველი დღე
37 **ბავშვთა ფსიქიატრიული დაწესებულება**
გაუცნობიერებელი მკვლელობა
საზოგადოება
39 ტვინების გადინება
42 სუბტიტრებიც და დუბლირებაც
კულტურა
43 მისი ძალა გამჭვირვალე...
წიგნები
44 თავისუფალი მსოფლიო
სპორტი
46 სანია რომ თხოვდებოდა
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
48 გამარჯობა, იარაღო?

გარეკანზე:

ტვინების გადინება
ილუსტრაცია:
თათია ნადარეიშვილი
წიგნის სახელოსნო

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

1998 წლის გაზაფხული – ეს ის დროა, როცა საბოლოოდ მივიღე გადაწყვეტილება, რომელიც საკუთარ თავთან გასაჩივრებას აღარ ექვემდებარებოდა და ამერიკის შეერთებული შტატებიდან დავბრუნდი საქართველოში. ამას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული სასწავლო სტიპენდიის პირობებიც მავალდებულებდა და ამასვე მოითხოვდა ჩემგან საკუთარი „ეროვნული თვითშეგნება“ და ოჯახი. მას შემდეგ ხშირად მიფიქრია ერთ კონკრეტულ საკითხზე – ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე სწორი გადაწყვეტილება, თუ ყველაზე გამოუსწორებელი შეცდომა. არგუმენტები პინებს იმის მიხედვით უცვლის მდგომარეობას, როგორც იცვლება გარშემო ყველაფერი.

გადამწყვეტ მომენტში გადაწყვეტილება სამშობლოში არდაბრუნების სასარგებლოდ უამრავმა ადამიანმა მიიღო. მათი ზუსტი რიცხვი არ არსებობს. თუმცა, არსებობს ერთი საგულისხმო მონაცემი: ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში ხანგრძლივ ემიგრაციაში წასული ადამიანების 70 პროცენტს უმაღლესი განათლება აქვს. მათი დიდი ნაწილი სხვადასხვა ქვეყნის წამყვან კორპორაციებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებში მოღვაწეობს და უკან დაბრუნებას კიდევ დიდი ხნის განმავლობაში არ აპირებს.

ჩვენ რომ ვიყოთ სინგაპური (თუნდაც შვეიცარიული ელემენტების გარეშე), ანდა რომელიმე ევროპული ქვეყანა, არც ეს პროცენტული მაჩვენებელი იქნებოდა საგანგაშო და, „ტვინების გადინების“ ნაცვლად, ვიამაყებდით მულტინაციონალური კორპორაციებით, ღია შრომითი ბაზრით, რომელსაც საზღვრები და ვიზები არ ზღუდავს, გაცემული ინტელექტის დანაკლისს კი სხვა ქვეყნებიდან „შემოდენილი“ „ტვინებით“ შევივსებდით. ამ შემთხვევაში ჩვენ არ აგვაღლვებდა ტერმინი – „ტვინის დახარჯვა“ (რაც უცხოეთში ნებისმიერი სამსახურის პოვნის იმედით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების წასვლას ნიშნავს) და ბოლომდე გავაცნობიერებდით თანამედროვე სამყაროს ყველაზე ხელშესახებ ფენომენს – მულტინაციონალური შრომითი ბაზრის სიკეთეებსა და რისკებს.

თუმცა, ჩვენ ვართ საქართველო, სადაც „ტვინები გაედინებიან და უკან თითქმის აღარ ბრუნდებიან“. ჩვენ ვართ საქართველო, რომელიც 2010 წლის მონაცემებით ისევ „ყოფნა-არყოფნის ზღვარზე“ დგას და დაკარგული ტვინების უკან დასაბრუნებლად ჯერ არ სცალია. ამიტომ მაქვს ასეთი გაორებული დამოკიდებულება ყველა იმ ადამიანის არჩევანის მიმართ, რომელიც უცხო ქვეყანაში დარჩენას გადაწყვეტს და ზუსტად იცის, რომ ეს მისი ცხოვრების ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო.

თამარ ბაბუაძე,
საზოგადოების განყოფილების რედაქტორი
tamar.babuadze@liberali.ge

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი** / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები **სოფო ჭაავა** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / ჟურნალისტური გამოძიება **ბესო კურტანიძე** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ადამიანის უფლებები და სამართალი **ნინო ბექიშვილი** / ახალი ამბები **ნათია ახალაშვილი**
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **ნინო სვანიძე** / კორექტორი **ნინო საითიძე**
გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი **შალვა ჩუბინიძე** / მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**
გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა: სტამბა „ფავორიტი“. მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavorite.ge
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge
ISSN 1987-7528

ახალი წიგნი

თანამედროვე ქართული პროზა



”ლიტერატურული ექსპრესი” ექსპერიმენტული მატარებელია, რომელიც ევროპის სხვადასხვა ქალაქს სტუმრობს, მგზავრები კი ევროპელი, მათ შორის, ქართველი მწერლებიც არიან. მოგზაურობის ორგანიზატორების აზრით, ლიტერატურული ექსპრესის თითოეულ მგზავრს ქალაქიდან ქალაქში უთავბოლო ხეტიალი შთაგონებას მოუტანს. ასეცაა: ზოგისთვის ეს მატარებელი ახალი წიგნის დასაწერი იმპულსი ან უკვე დაწერილის პოპულარიზაციის საშუალება ხდება, ზოგისთვის კი - საკუთარი ცხოვრების გადაფასება ან უბრალოდ, მშვენიერი ქალის დევნა ...

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

მის: აღმაშენებლის 150
ტელ: 910 954, 911 165

www.sulakauri.ge

ფასი 12.00

საჰაეროო ქაოსი

ისლანდიის სამხრეთში, მყინვარ ეიაფიალაიეკიულთან მდებარე ვულკანის ამოფრქვევისას გაჩენილმა ფერფლმა ევროპის მრავალ ქვეყანაში ფრენა შეაფერხა. დაიხურა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის უმსხვილესი აეროპორტები. ფრენა შეფერხდა ირლანდიაში, დანიაში, ნორვეგიაში, შვედეთში, ფინეთსა და ბელგიაში.

ფრენის შეფერხების მთავარი მიზეზი არა დაბალი ხილვადობა, არამედ ფერფლში არსებული პატარა ვულკანური ნაწილებია, რომლებმაც, შესაძლოა, ძრავაში მოხვედრის შემდეგ ის მწყობრიდან გამოიყვანოს.

ვულკანის ამოფრქვევამ ნაწილობრივ გაადნო მყინვარი, რასაც წყალდიდობაც მოჰყვა. სპეციალისტები ვერ განსაზღვრავენ, რამდენ ხანს გაგრძელდება ვულკანის მოქმედება, თუმცა, მათი თქმით, პირველი ამოფრქვევის შემდეგ გაჩენილი ფერფლი მალე უნდა გაიფანტოს.

9 047 027 ლარი

საზოგადოებრივი მაუწყებლის სახელმწიფო დავალიანება 9 047 027 (ცხრა მილიონ ორმოცდაშვიდი ათას ოცდაშვიდი) ლარია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, მას 2004 წლამდე 8 877 008 ლარის რესტრუქტურიზებული საგადასახადო დავალიანება ერიცხება, მიმდინარე ვალი კი 1 700 019 ლარს შეადგენს, რაც საერთო ჯამში – 9 047 027.00 ლარია.

ფინანსთა სამინისტროს მიერ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის მიხედვით, საერთო თანხა, რომელიც ტელევიზიებს ჩამოეწერებათ, დაახლოებით 36 მილიონი ლარია. საგადასახადო დავალიანების მქონე რეგიონული ტელევიზიების საერთო ვალი 5 მილიონ ლარს არ აღემატება.

ტელეამნისტიის ინიციატივის შესახებ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საპარლამენტო გამოსვლისას, 2010 წლის 26 თებერვალს განაცხადა.



ქართველი მოსიგავის დაღუპვის შესაძლო მიზეზი

ნოდარ ქუმარიტაშვილის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ მისი კოლეგები უისტლერის ტრასის უსაფრთხოების პრობლემებზე „ბი ბი სი-სთან“ საუბრობენ. სპორტსმენებს არ სჯერათ ოფიციალური ვერსიის, სადაც ქუმარიტაშვილის დაღუპვის მიზეზად მისი შეცდომა სახელდება.

2008 წელს უისტლერში ტრასის შესამოწმებლად და კონსულტაციისთვის გამოცდილი მოციგავეები მიიწვიეს. მაშინ ყველა მათგანი აცხადებდა, რომ ტრასა არ არის უსაფრთხო, ძალიან სწრაფია და სათანადო ზომების მიღებას საჭიროებს. თუმცა სპორტსმენები ამბობენ, რომ თამაშების ორგანიზატორებმა მათი შენიშვნები არ გაითვალისწინეს. „შეცდომის დაშვების შემთხვევაში, ასეთ სწრაფ ტრასაზე შეუძლებელია დროულად რეაგირება“, – ამბობს ამერიკელი მოციგავე ტონი ბენსხუფი.

ბენოსიდის აღიარების მოთხოვნა

სომხურმა სათვისტომომ საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს ოსმალეთის იმპერიაში სომხების გენოციდის აღიარების საკითხის განხილვის მოთხოვნით მიმართა. მიმართვის ინიციატორები არიან არასამთავრობო ორგანიზაციები: საქართველოს სომხური სათვისტომო, საქართველოს თანამშრომლობის სომხური ცენტრი და საქართველოში სომეხი სტუდენტების ასოციაცია. სომხური ორგანიზაციები პარლამენტარებს სთხოვენ, საკითხი 24 აპრილამდე განიხილონ სესიაზე.



სომხეთის გენოციდი აქამდე 18-მა ქვეყანამ, აშშ-ს 42-მა შტატმა, ვატიკანმა, ევროპარლამენტმა და ეკლესიების მსოფლიო საბჭომ აღიარა. პირველი ასეთი ქვეყანა ურუგვაი იყო 1965 წელს, ბოლო კი შვედეთი – 2010 წელს.

ეუთო-ს დამკვირვებლები თბილისში

ეუთო-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ოფისის სადამკვირვებლო მისია საქართველოში მუშაობას შეუდგა. ჯერჯერობით თბილისში 16-კაციანი ჯგუფია ჩამოსული, აპრილის ბოლოს მათ კიდევ შეუერთდება ეუთო-ს 30 მეთვალყურე, ხოლო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე – კიდევ 350. მისია საქართველოში საარჩევნო კანონმდებლობას, პოლიტიკურ კამპანიას, მედიის როლს, საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობასა და დარღვევათა გასაჩივრების პროცედურებს შეაფასებს. დამკვირვებელთა ერთ-ერთი ფუნქცია მედიის მონიტორინგსაც მოიცავს, იმის დასადგენად, თუ როგორ შუქდება საზოგადოებრივი და კერძო ძირითადი მაუწყებლების მიერ არჩევნები.

მეგობრობის ორდენი ნიკარაგუას

ნიკარაგუის საგარეო საქმეთა მინისტრი სამუელ სანტოს ლოპესი და ნიკარაგუის დელეგაცია ჯერ ცხინვალს ესტუმრა, შემდეგ – სოხუმს. კოკოითის ხელისუფლების ვებგვერდის ცნობით, ვიზიტის ფარგლებში შეთანხმება გაფორმდა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ, რომელსაც ნიკარაგუის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა და სამხრეთი ოსეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა მურატ ჯიოევმა მოაწერეს ხელი. ამის შემდეგ ლოპესი კოკოითიმ მეგობრობის ორდენით დააჯილდოვა. მალე ლოპესი სოხუმში ჩავიდა, სადაც კიდევ ერთი – ღირსების და დიდების მეორე ხარისხის ორდენი მიიღო. ლოპესს სერგეი ბაღაფშმა კიდევ ერთი ორდენი ნიკარაგუის პრეზიდენტ ორტეგასათვისაც გაატანა, ოღონდ – პირველი ხარისხის. ნიკარაგუის დელეგაცია სოხუმს სამ დღეს სტუმრობდა.

ჰიმნები

802 100 ევროს გადაუხდის საზ. მაუწყებელი თურქულ კომპანია Cosmo Organizasyon Tic. Ltd-ს „ევროვიზიის“ კონკურსში სოფიო ნიჟარაძისა და საქართველოს პოპულარიზაციისა და პრომოუშენისთვის.

5,5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა ბარაკ ობამასა და მისი მეუღლის შემოსავალმა, მას შემდეგ, რაც ობამა პრეზიდენტი გახდა.

698 910 ლარია გათვალისწინებული თბილისის ბიუჯეტიდან მეტროსადგურ „დიდუბის“ რეკონსტრუქციისთვის.

ციტატები

„პირადად ვარ ამაზე [2008 წლის აგვისტოს ომში ჩართვა] პასუხისმგებელი და მე არ მრცხვენია ამ გადაწყვეტილების გამო“.

დმიტრი მედვედევი
11 აპრილი, ტელეკომპანია ABC News

„თუ იტყვიან, რომ ჩვენ ბოროტად ვიყენებთ [ადმინისტრაციულ რესურსს], კარგით, ჩვენ ბოროტად ვიყენებთ, მაგრამ ამას ისევ გავაკეთებთ. მიმაჩნია, რომ ეს კანონიერია“.

მიხეილ სააკაშვილი
15 აპრილი, ვაშინგტონი

„საქართველოს მთავრობა ისეთია, იარაღით ან გინებით უნდა ჩამოაგდო. იარაღის გამოყენების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, მაგრამ გინებაზე უკან არ დავიხევ“.

ნიკა ივანიშვილი
13 აპრილი, თბილისი

„სამწუხაროა, რომ ფრანგებმა ამ სახის [რუსეთისთვის „მისტრალის“ მიყიდვის] სავაჭრო შეთანხმებას მოაწერეს ხელი. ამით შესაძლებელია რეგიონზე რუსეთის გავლენის გაზრდა“.

ჯონ მაკეინი – ამერიკელი სენატორი
14 აპრილი, რადიო „ამერიკის ხმა“

„ვაცნობიერებ საკუთარ პასუხისმგებლობას ყირგიზი ხალხის წინაშე და ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით კონსტიტუციის საფუძველზე ვტოვებ თანამდებობას“.

ყურმანბეკ ბაკიევი
16 აპრილი, განცხადება გადადგომის შესახებ

ბაკიევი გაიქცა, ყირგიზეთი თავისუფალია!

ყირგიზეთი ბაკიევის გარეშე ახალ ცხოვრებას იწყებს.

ალმაზ კალეტი

ყირგიზეთის ჩამოგდებულმა პრეზიდენტმა კურმანბეკ ბაკიევმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, სადაც უარს ამბობს საპრეზიდენტო უფლებამოსილებებზე. მან უკვე დატოვა ქვეყანა და თავი მეზობელ ყაზახეთს შეაფარა.

როგორც ყაზახეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ილიას ომაროვი ამბობს, ბაკიევის ყაზახეთში გამგზავრების გადაწყვეტილება ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა, დმიტრი მედვედევმა და ბარაკ ობამამ ერთობლივად მიიღეს.

ბიშკეკში არეულობა და მაროდიორობა შეწყდა. ქალაქს სახალხო რაზმები და მილიცია აკონტროლებს.

ახალმა მთავრობამ, რომელსაც როზა ოტუნბაევა ხელმძღვანელობს, უკვე დაითხოვა ხელისუფლების ყველა ორგანო, მათ შორის პარლამენტი.

დროებითი მთავრობა პოლიტიკურ და იურიდიულ ჩიხში იმყოფება. ეუთო-ს სპეციალურმა წარმომადგენელმა დროებით ადმინისტრაციას უკვე მოუწოდა, „დაადასტუროს ლეგიტიმურობა“. ყირგიზეთის ახალი ხელისუფლების ლეგიტიმაციას ელის დანარჩენი მსოფლიოც.

შეერთებული შტატების და რუსეთის მთავრობებმა ირიბად, მაგრამ მაინც დაუჭირეს მხარი ახალ დროებით მთავრობას. რუსეთის ხელისუფლებამ ყირგიზეთისთვის 20 მილიონი აშშ დოლარის გრანტი და ასევე – 30-მილიონიანი შეღავათიანი კრედიტი გამოყო. კრემლმა ასევე პირობა დადო, რომ ქვეყანას, რომელმაც სისხლიანი პოლიტიკური გადატრიალება გადაიტანა, კიდევ გამოუყოფს ფულს. გარდა ამისა, რუსული ნავთობკომპანიები მზად არიან, ყირგიზეთში, საგაზაფხულო-საველე სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით, ქვეყანას 25 ათასი ტონა ნავთობი მიაწოდონ.

აშშ-ს ხელისუფლებაც მზადაა დაეხმაროს ყირგიზეთს, თუმცა რუსეთის კონკრეტული დახმარებისგან განსხვავებით, თეთრი სახლის მხარდაჭერა ჯერჯერობით მხოლოდ დეკლარაციული ხასიათისაა.

სწორედ ამიტომ, უცხოელი პოლიტოლოგები და ექსპერტები ახალი დროებითი მთავრობის თითქოს პრორუსულ ორიენტაციაზე ალაპარაკდნენ.

ყირგიზეთის პოლიტიკურ ცხოვრებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბიშკეკთან განლაგებული ორი უცხოური სამხედრო ბაზა. კანტში (ბიშკეკიდან 20 წუთის სავალზე) 999-ე რუსული ავიაბაზაა დისლოცირებული. ამ ბაზის განთავსებასთან დაკავშირებით 15-წლიანი ხელშეკრულება 2003 წელს დაიდო. 2009 წელს შეთანხმება 49 წლით გახანგრძლივდა, კიდევ 25 წლით გაგრძელების შესაძლებლობით.

ბიშკეკის გარეუბანში, საერთაშორისო აეროპორტ „მანასის“ პერიმეტრზე ამერიკული სამხედრო ბაზა „მანასია“ განლაგებული. 2009 წელს ამ ბაზამ პროფილი შეიცვალა და საერთაშორისო სატრანზიტო გადაზიდვების საერთაშორისო ცენტრად გადაკეთდა. ქვეყნის ტერიტორიაზე ამ ცენტრის ფუნქციონირებისთვის ყირგიზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად 60 მილიონი ამერიკული დოლარი ირიცხება.

ავიაბაზა „მანასის“ მთავარი ამოცანაა – მგზავრებისა და ტვირთების საჰაერო გადაადგილება ავღანეთში და უკან, საწვავმომარაგების უზრუნველყოფა ავღანეთის თავზე ცაში. ავიაბაზა „მანასი“ მთავარ აერომობილურ ცენტრს წარმოადგენდა ოპერაცია „ურყევი თავისუფლების“ დროს.

ამერიკული ავიაბაზის სტატუსის შეცვლა 2009 წელს მოხდა, პრეზიდენტ ბაკიევის მოსკოვში ვიზიტის შემდეგ. იმ ვიზიტის შემდეგ ყირგიზეთის ხელისუფლებამ ამერიკული ბაზის გაყვანა მოითხოვა, თუმცა ამერიკულ მხარესთან მოლაპარაკებების შემდეგ აზრი შეიცვალა. ვაშინგტონი ბიშკეკს უფრო მაღალი საიჯარო გადასახადის გადახდასა და ადგილობრივ ეკონომიკაში დიდი ინვესტიციების ჩადებას დაჰპირდა.

ყირგიზულ გადატრიალებამდე ცოტა ხნით ადრე, მიმდინარე წლის თებერვალში ყირგიზეთმა და აშშ-მ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, ბატკენის ოლქში, ფერგანას ველზე, სამი სახელმწიფოს – ყირგიზეთის, ტაჯიკეთის და უზბეკეთის გზაგასაყარზე ახალი საწვრთნელი ანტიტერორისტული ცენტრის გახსნა იგეგმებოდა. უზბეკეთისა და რუსეთის მთავრობებს ამ ფაქტზე საკმაოდ მწვავე რეაქცია ჰქონდათ.

ხელისუფლებაში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ გაჩნდა ვარაუდები, რომ ყირგიზეთი პრორუსული ქვეყანა გახდება. სხვები პირიქით, ამბობენ, რომ თუ ხელისუფლებაში დარჩებიან პროდასავლური ღირებულებებით გამორჩეული როზა ოტუნბაევა ან ომურბეკ ტეკებაევი, მაშინ ეს ნაკლებად სავარაუდოა. ასე იქნება თუ ისე, ყირგიზეთის საგარეო პოლიტიკაში რადიკალური ცვლილებების განხორციელება ქვეყნის სათავეში მოსულ ნებისმიერ ძალას გაუჭირდება. ძნელია კონკრეტული არჩევანის გაკეთება, როცა ქვეყანაში ორი სუპერ-სახელმწიფოს სამხედრო ბაზები თითქმის სამუდამოდაა დამკვიდრებული.

ᲮᲐᲛᲮᲐᲛᲐ ᲜᲔᲘᲢᲘᲚᲘ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲜᲐᲖᲔ

საქართველოს, როგორც „ბიზნეს ინვესტიციებისთვის ერთ-ერთ ყველაზე ხელსაყრელ გარემოს“, მომავალი კვირიდან საერთაშორისო აუდიტორია CNN-ის ახალი პროგრამით – iList-ითაც გაიცნობს.

მარიკა ქოჩიაშვილი

საქართველო CNN-ის კამერების ობიექტივში ერთი თვის წინ მოექცა. გადამღები ჯგუფი ერთი კვირის განმავლობაში მოგზაურობდა საქართველოში და ამზადებდა მასალას, რომელიც ორშაბათიდან CNN-ის ეთერში მთელი კვირის განმავლობაში იტრიალებს. სპეციალურად პირდაპირი ჩართვებისთვის კი საქართველოში CNN-ის ვეტერანი ჟურნალისტი ჯიმ ქლანსი ჩამოვა.

ყოველთვიური გადაცემა iList-ი CNN-ზე ცოტა ხნის წინ გამოჩნდა. მისი მიზანი მაყურებლებისთვის იმ ქვეყნების გაცნობაა, რომლებიც მსოფლიოში ახალ გზას კვალავენ და ინოვაციებით გამოირჩევიან. გადაცემის სათაურში ასო i – ნიშნავს ინოვაციას, ინდუსტრიასა და ინტელექტს. ამ სამი ნიშნით გადაცემის ავტორებმა საქართველომდე ბაჰრეინი და საფრანგეთი გამოარჩიეს.

„iList-ი ცდის თქვენს წარმოდგენებს იმ ქვეყნების შესახებ, რომლებიც, თქვენ გგონიათ, რომ იცით და გაცნობთ ადგილებს, რომელთა შესახებაც არაფერი გსმენიათ“, – აცხადებს CNN International-ის ვიცე-პრეზიდენტი მაიკ მაკარტი. მისი თქმით, საქართველო iList-ის ერთ-ერთი ყველაზე მომხიბვლელი ქვეყანა იქნება.

iList-ი ისევე, როგორც CNN-ის აპოლიტიკური გადაცემების დიდი ნაწილი, თანადაფინანსებითაა შექმნილი. გადაცემის მომზადების ხარჯების ნაწილს ის ქვეყანა აფინანსებს, რომელსაც გადაცემა ეძღვნება, თუმცა, CNN-ში ხაზგასმით აღნიშნავენ იმას, რომ ეს გადაცემის სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევის უფლებას არავის აძლევს.

iList-ში საქართველო მას შემდეგ მოხვდა, რაც CNN-ს ქართული მხარე რეკლამის განთავსების მიზნით დაუკავშირდა. CNN-მა კი მათ, როგორც გაცილებით უფრო ეფექტური სარეკლამო საშუალება, გადაცემა iList-ი შესთავაზა. ქართველებიც დათანხმდნენ.

„ეს ერთკვირიანი პროგრამაა და მაშინ, როცა ჩვენი სარეკლამო კამპანია ძირითადად ინვესტიციების მოზიდვას და ბიზნეს სეგმენტს ეხმიანება, iList უფრო ფართო არეალს ფარავს. აქცენტი კეთდება, როგორც ბიზნეს გარემოზე და ინვესტიციებზე, ასევე, მაგალითად – ღვინოზე, ტურიზმზე, კულტურასა და ისტორიაზე“, – აცხადებს „ლიბერალთან“ საუბარში პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველი თამარ კოვზირიძე.

კოვზირიძე დაწვრილებით განიხილავს iList-ის შინაარსს, თუმცა, არ ასახელებს თანხას, რომელიც საქართველომ iList-ის საშუალებით საკუთარი თავის პიარში გადაიხადა.

„ზუსტ ციფრებს ვერ გეტყვით, თანხა ყოველ წელს განსხვავებულია. რაც უფრო ადრე დაიჯავშნება საეთერო დრო, უფრო იაფი ჯდება. გააჩნია იმასაც, თუ როგორ მოელაპარაკები არხს. მაგალითად, iList ჩვენი სარეკლამო პაკეტის ნაწილია. შესაბამისად, უფრო მომგებიანია ფინანსურად, რომ ამ გადაცემის პარალელურად CNN-ზე ჩვენი სარეკლამო რგოლებიც გავიდეს. ცალკე ეს უფრო ძვირი დაჯდებოდა“, – დასძენს კოვზირიძე და აცხადებს, რომ ზუსტი მონაცემები iList-ში გადახდილი თანხის შესახებ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში უნდა ვეძიოთ. თუმცა, ამ სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელს პირიქით ჰგონია და უკან, პრემიერ-მინისტრის კაბინეტისკენ მიგვითითებს. საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ ხელისუფლება აჭიანურებს იმ ინფორმაციის გაცემას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საჯაროა და თითოეულ მოქალაქეს აქვს უფლება, იცოდეს, რას იხდის მისი ქვეყანა საკუთარი პოპულარიზაციისთვის უცხოურ ტელეარხებზე.

საქართველომ პიარ-კამპანია ჯერ კიდევ 2007 წლიდან დაიწყო, როცა სარეკლამო რგოლები CNN-ზე, BBC-ზე და CNBC-ზე გამოჩნდა.

Hate to be second! (ვერ ვეგუებით, ვიყოთ მეორე!) – ამ სათქმელით საქართველო მსოფლიოს წინაშე წამყვან უცხოურ არხებზე უკვე წელს წარდგა. 30-წამიან სარეკლამო რგოლში, რომელიც თებერვალში CNN-სა და BBC-ზე გამოჩნდა, ნაჩვენები იყო ეკონომიკური კრიზისის გამო „ჩაბნელებული“ დედამიწა, რომელზეც ერთადერთი წერტილი კაშკაშებდა – საქართველო. რეკლამა თებერვალში დაიწყო და აპრილამდე გაგრძელდება.

„ომის პერიოდში და შემდეგაც ახალ ამბებში საკმაოდ ნეგატიური და დრამატული თემები დომინირებდა საქართველოს შესახებ. გვინდოდა, რაღაც პოზიტიური გასულიყო. რეკლამები ქვეყნის დადებითად წარმოჩინებას ემსახურება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ გავრცელდეს მესიჯი – საქართველო ისევ არსებობს და განვითარებას და რეფორმებს განაგრძობს“, – აცხადებს თამარ კოვზირიძე.

იმ ფონზე, რომ ამ რეკლამებს ერთკვირიანი iList-იც დაემატება, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს საერთაშორისო პიარ-კამპანია სულ უფრო აგრესიულ ხასიათს იღებს. ერთი კვირის განმავლობაში CNN-ის მაყურებელი საქართველოს „სუხიშვილების“ ანსამბლის, კალათბურთელ ზაზა ფაჩულიას, პატრიარქ ილია მეორეს, ბალეტის ვარსკვლავის ნინო ანანიაშვილის, პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურისა და პრეზიდენტ სააკაშვილის საშუალებით გაიცნობს.

პოლონეთი ემშვიდობება პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის

ვინ ქმნის ახალ ამბავს?

მედიას არ შესწევს უნარი, თვითონ წამოსწიოს ამომრჩევლისთვის აქტუალური თემები. წინასაარჩევნოდ პოლიტიკოსები განსაზღვრავენ საზოგადოების დღის წესრიგს.

რუსუდან რუხაძე

„საინფორმაციო სუბსიდია“, რომელსაც პოლიტიკოსები წინასაარჩევნოდ მედიას აძლევენ, ხშირად ისეთ მოვლენებზეა აგებული, როგორიცაა ეზოების ჩამოვლა და სადარბაზოსთან შეკრებილ მაცხოვრებლებთან შეხვედრა, მთავარ გამზირებზე მსვლელობები, პრესკონფერენციები და ა.შ.

პოლიტიკოსების ასეთი „საჩვენებელი“ აქტიურობის ფონზე მედია ვერ ახერხებს, თავად დასვას აქცენტი, გამოჰყოს მნიშვნელოვანი თემა და არ გაიმეოროს პოლიტიკოსის ფოკუსი. პარტიის ლოგოს ფონზე დამწკრივებული პოლიტიკოსები და „მოსაუბრე თავების“ მონაცვლეობა ეკრანზე – ეს წინასაარჩევნო ახალი ამბების სტანდარტული კადრია.

- ნიკა ივანიშვილი მთავრობის გადადგომას მოითხოვს;
- გია ჭანტურიამ და ინგა გრიგოლიამ „დედა ენის“ ძეგლი ყვავილებით შეამკეს;
- ზვიად ძიძიგურმა და კობა დავითაშვილმა რუსთაველზე ჩაიარეს და მაღაზიების ინგლისურენოვანი წარწერები გააპროტესტეს;
- ლეიბორისტები ამტკიცებენ, რომ ანტიეროვნული ხელისუფლება სახელმწიფო ენად ინგლისურს გამოაცხადებს...

ამით ავსებს ტრივიალური წინასაარჩევნო ქრონიკა საღამოს საინფორმაციო ეთერში იმ მნიშვნელოვანი საკითხებისთვის განკუთვნილ ნიშას, რომლებიც ზოგადად არჩევნების პროცესს უკავშირდება, მაგრამ სწორედ მედიის არასწორი აქცენტების გამო, ტელეეთერისა და ყურადღების მიღმა რჩება.

მაგალითად საარჩევნო კამპანიების დაფინანსება ის საკითხია, რომელსაც კანდიდატები ჯერ არ ეხებიან და არც მედიას ახსენდება. მართალია, ზურაბ ნოღაიდელის „რუსულ ფულზე“ ხშირად მიუთითებს „იმედი“, თუმცა ამის დამადასტურებლად ნოღაიდელის მოსკოვში ვიზიტების შეხსენება არასაკმარისია.

ამომრჩევლისთვის გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანი თემები საინფორმაციო გამოშვებებში იშვიათად გვხვდება. ასეთი გამონაკლისი იყო „მაესტროს“ სიუჟეტი ქალაქში განთავსებული ბილბორდების შესახებ: რა უჯდებათ გარე რეკლამა ნიკა ივანიშვილს, გიორგი ჭანტურიას და დავით იაკობიძეს? ჟურნალისტის თქმით, თითოეული მათგანის ფასი 600 დოლარია, რაც წინასაარჩევნოდ ცალკეულ პარტიას 10-12 ათასი დაუჯდება. დაფინანსების წყაროები კი სიუჟეტში ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, კანდიდატების ბუნდოვანი პასუხების გამო.

„ქრონიკამ“ სიუჟეტი რეკლამებისა და სლოგანების შესახებ, სათაურით „წინასაარჩევნო კრეატივი“ ირაკლი ალასანიას სარეკლამო რგოლის კრიტიკით დაიწყო. ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“ გამოჩენილი რგოლი უმეტესობამ დაიწუნა. ხაზგასმული იყო სლოგანის და მუსიკის პლაგიატობაც. ალასანიას მთავარი საარჩევნო გზავნილის „ავტორებად“ მისი პოლიტიკური კონკურენტები დაასახელეს. სიუჟეტში მითითებული იყო, რომ მემარჯვენე-ცენტრისტული ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის კანდიდატ გია ჭანტურიას მემარცხენე დაპირებები აქვს.

თემის ინიცირების მცდელობა ჰქონდა „კურიერსაც“, როდესაც სიუჟეტი მერობის კანდიდატთა დაპირებების მიმოხილვას მიუძღვნა. სიუჟეტში აღნიშნული იყო, რომ ოპოზიციური კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამები სოციალური საკითხების მოგვარებაზე, დასაქმებასა და ჯანდაცვის სფეროს რეფორმაზეა აგებული და ამით ყველა ერთმანეთს ჰგავს. თუმცა მხოლოდ ოპონენტი კანდიდატები აკრიტიკებდნენ ერთმანეთს და პროგრამების განუხორციელებლობის დასაბუთება კონკრეტული სფეროების ექსპერტთა მხრიდან არ ყოფილა.

ზოგადად ნაციონალური მაუწყებლების თემატიკისთვის უცხო იყო „მოამბეში“ რეგიონის მაჟორიტარ დეპუტატებზე მომზადებული სიუჟეტი. იმერეთში, სამეგრელოში, ქვემო ქართლსა და კახეთშიც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ერთსა და იმავე პრობლემებზე საუბრობდნენ: ხარვეზები საარჩევნო სიებში, მათ კანდიდატებზე ზეწოლა დაშინების და გადაბირების გზით, სახელისუფლო კანდიდატთა მხრიდან ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება. ესაა სწორედ იმ ძირეული საკითხების ჩამონათვალი, რომელსაც მაუწყებლები წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურად უნდა აშუქებდნენ და თუნდაც ცალკეულ ასეთ ფაქტს უძღვნიდნენ სიუჟეტს.

მაუწყებლები არც წინასაარჩევნოდ ივიწყებენ ინფორმაციის მოძიების ნაცად ხერხს – თემა სიუჟეტისთვის სხვა მედიასაშუალებიდან მოიპოვონ. იმ მოკლე პერიოდში, რაც წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო, პრესიდან მაუწყებლებმა სამი ასეთი თემა წამოწიეს. ორი მათგანი რუსული გაზეთებიდან იყო. კახი კალაძის შესაძლო გაწევრიანება ნოღაიდელის პარტიაში „სოვეტსკი სპორტისთვის“ მიცემული ინტერვიუდან იყო, სიუჟეტი „შევარდნაძის რევანშისტ“ ირაკლი ალასანიას შანსებზე, გახდეს ქვეყნის პრეზიდენტი, შინაგან საქმეთა მინისტრის – ვანო მერაბიშვილის „კომერსანტისთვის“ მიცემული ინტერვიუდან. თემაზე – გახდება თუ არა ლევან გაჩეჩილაძე ირაკლი ოქრუაშვილის პარტიის მერობის კანდიდატი – მაუწყებლები საინფორმაციო საგენტო „პირველზე“ დაყრდნობით მსჯელობდნენ.

მაშინ, როცა ჯერ არც ერთ სიუჟეტში საფუძვლიანად არ განხილულა საარჩევნო კამპანიები, „კურიერის“ მთავარ ახალ ამბებში ხვდება ევროპის მოედანზე ყვავილების საათის დამონტაჟების ფაქტი. ჟურნალისტის თქმით, ყველაზე მდიდარი ფერთა პალიტრა მწვანე საათს მაისში ექნება და სწორედ ის აითვლის ახალი მერის პირველ სამუშაო საათებს.

USAID
ამერიკის ხალხისგან

სტატია მომზადებულია USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს USAID-ის და მისი პარტნიორების შეხედულებებს.

მომხრე
ნათია უზნაძე
საზოგადოებრივი მაუწყებელი, საერთაშორისო პროექტების პროდიუსერი

ელჩის თუ ამა
"ევროვიზია" 80

„ევროვიზია“ ქვეყნის პრეზენტაციის ძალიან კარგი საშუალებაა, რადგან საერთაშორისო სიმღერის ამ კონკურსს, სხვა კონკურსებთან შედარებით, ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს. კონკურსის მსვლელობისას მაყურებელთა რაოდენობა 100 მილიონს აღემატება. ძალიან ეფექტური და კარგი შანსია, ქვეყანას რეკლამა მაშინ გაუკეთო, როდესაც ამდენი ადამიანი ადევნებს თვალს შენი ქვეყნის წარმომადგენელს.

გარდა ამისა, იმ ქვეყანაში, სადაც კონკურსი ტარდება, ჩადიხარ 12-14 დღით ადრე. ამ ხნის განმავლობაში გაქვს რამდენიმე პრესკონფერენცია, ცნობილ გამომცემლობებში, გაზეთებში და ტელევიზიით შუქდება შენი ქვეყნის წარმომადგენლის იქ ყოფნა.

წელს „ევროვიზიაში“ 39 ევროპული ქვეყანა მონაწილეობს. თუ საქართველომ გაიმარჯვა, შემდეგი „ევროვიზიის“ კონკურსი საქართველოში გაიმართება. მინიმუმ 39 ქვეყნის დელეგაცია ჩამოვა, თითოს კი 50 წევრი მაინც ჰყავს. გარდა ამისა, „ევროვიზიაზე“ ჩადიან სხვადასხვა ქვეყნის ფანები, რაც ქვეყანაში ტურისტების რაოდენობასაც დიდად ზრდის.

საქართველოს გამარჯვება ნიშნავს იმასაც, რომ შემდეგი „ევროვიზიისთვის“ ევროპის მაუწყებელთა კავშირის მხრიდან იმ საკონცერტო დარბაზს, სადაც გაიმართება კონკურსი, სრული უზრუნველყოფა ექნება. „ევროვიზიას“ ის თავისებურებაც ახასიათებს, რომ სამი კონცერტი თუ არის დაგეგმილი, ბილეთები იყიდება ექვსი კონცერტისთვის, რადგან მაყურებელი გენერალურ რეპეტიციებსაც ესწრება.

მთლიანობაში კი ეს არის დიდი ინვესტიცია ქვეყნისთვის. „ევროვიზიაში“ მონაწილეობა ფინანსურად ძალიან მომგებიან პროექტში ფულის ჩადებას ნიშნავს და, ამ ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქვეყნის პრესტიჟს ზრდის.

გარდა ამისა, წინა წლებში ჩვენმა წარმომადგენლებმა საინტერესო წინადადებები მიიღეს. დიანა ღურწკაიას გორან ბრეგოვიჩმა შესთავაზა რამდენიმე სიმღერის დაწერა.

„ევროვიზია“ არის ყველაზე გამოუცნობი კონკურსი, რადგან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული: როგორ წარვადგენთ, როგორ მიიღებს მაყურებელი, და როგორი მხარდაჭერა გვექნება უცხოელებისგან. პირველ წელს საქართველომ აიღო მე-12 ადგილი, მეორე წელს – მე-11. ახლა შეიცვალა „ევროვიზიის“ წესები. გადაწყვეტილების მიღებაში მაყურებელთან ერთად ჟიურიც მონაწილეობს. ანუ, ჩვენ ძალიან დიდი შანსი გვაქვს, წელს კარგი შედეგი ვაჩვენოთ. წლიდან წლამდე ვვითარდებით და ალბათ უფრო დახვეწილ და კარგ შოუს წარვადგენთ.

დამდგმელი რეჟისორი საფრანგეთიდან მოვიწვიეთ. სასცენო ვერსია, რითაც სოფო ნიჟარაძე „ევროვიზიაზე“ წარდგება, სწორედ მან დადგა. სოფოსთან ერთად იცეკვებს სამი ფრანგი მოცეკვავე, რომლებსაც ძალიან დიდი გამოცდილება აქვთ; სოფოსთან ერთად სცენაზე იდგება ორი ქართველი ბექვოკალისტი. სოფოს თითქმის ყოველდღიური ჩართვები აქვს უცხოეთის სხვადასხვა რადიოში, ურთიერთობა აქვს ჟურნალისტებთან და „ევროვიზიაზე“ გამგზავრებამდეც ძალიან გადატვირთული გრაფიკი გვაქვს.

„ევროვიზია“ ქვეყნის შიგნითაც ეხმარება შოუბიზნესის განვითარებას. მაგალითად, შარშან და შარშანწინ გაიმართა მასშტაბური კონცერტები ფილარმონიასა და სპორტის სასახლეში. ამ პერიოდში ყოველთვის იწერება ახალი სიმღერები და იდგმება შოუები, რაც ქართული შოუბიზნესისთვისაც გარკვეული სტიმულია.

დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, ამ თანხის გამოყოფა „ევროვიზიაზე“ ქართველი მომღერლის და ქვეყნის პოპულარიზაციისთვის გამართლებულია. კონკურსში მონაწილე ყველა ქვეყნის მთავრობა გარკვეულ ინვესტიციას დებს „ევროვიზიაზე“ საკუთარ წარმომადგენელში.

ჩვენთვის ფასეულია არა მხოლოდ გამარჯვება, არამედ მონაწილეობაც, ხოლო თუ „ევროვიზია“ მოვიგეთ, გარწმუნებთ, რომ ეს თანხა ძალიან დიდი ინვესტიციით დაგვიბრუნდება უკან.

საქართველოს 800 ევროდ?

მოწინააღმდეგე
ლადო ბურდული
კომპოზიტორი, მომღერალი

800 ათასი ევრო, თუ არ ვცდები, ორ მილიონ ლარზე მეტია. ჩემი აზრით, ძალიან დიდი თანხაა ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. არალოგიკურია ამხელა თანხის დახარჯვა თავის წარმოსაჩენად „ევროვიზიაზე“, სადაც ათეულშიც კი ვერ ვახერხებთ მოხვედრას. სხვა უფრო კარგი პროექტებიც არსებობს, მაგრამ იმაში კაპიკს არ იხდიან. გასაგებია, რომ ქვეყნის იმიჯსა და პრესტიჟში იხდიან ფულს, მაგრამ პრესტიჟი არ არის, როცა ამხელა ფულს ხარჯავ და სამეულშიც ვერ ხვდები? მესამე წელია, ვმონაწილეობთ, და რაღაც გაკვეთილი ხომ უნდა გამოვიტანოთ.

კიდევ ერთი რამ არის ჩემთვის გაუგებარი – როგორ შეიძლება ჯერ ამხელა თანხები დახარჯო „ევროვიზიაში“, და ამაზე ორჯერ მეტი თანხით აფინანსებდე ანტიევროვიზიას. შარშან „ალტერ ვიზია“ ხომ სახელმწიფომ დააფინანსა. ფაქტია, რომ ვერც „ევროვიზიამ“ და ვერც „ალტერ ვიზიამ“ ვერ შეუწყო ხელი ქართველ შემსრულებლებს ვერც საქართველოში და ვერც მის ფარგლებს გარეთ.

ჩემი აზრით, „ევროვიზიაში“ ამხელა ფულის ხარჯვას, ჯობს ხელისუფლებამ პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდების ემიგრაციის შეჩერებაზე იზრუნოს. უკვე მეოთხე თუ მეხუთე თაობა გადის ქვეყნიდან სამუშაოს ძიებაში. უკეთესი იქნება, თუ სახელმწიფო გონიერი ახალგაზრდების დასაქმებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნაზე იზრუნებს; თუნდაც, შოუბიზნესის არსებობისთვის შექმნას ინფრასტრუქტურა, რომ შოუბიზნესის წარმომადგენლები დასაქმდნენ და შეიქმნას სისტემა, რომელიც ნიჭიერ ადამიანს გამოავლენს.

ისინი, ვინც „ევროვიზიაზე“ იმარჯვებდნენ, მაგალითად „აბბა“ და „მუმიტროლი“, გარკვეულ გარემოში იზრდებოდნენ და ქმნიდნენ მუსიკას. ამ ხალხს რაღაც სტრუქტურა ავლენს, და თუ ასეთი სტრუქტურა არ არსებობს, შეუძლებელია ასეთ სივრცეში ნიჭიერი ადამიანი გამოვლინდეს.

ისიც ხომ ვიცით, რომ დღეს „ევროვიზიაზე“, არა პროფესიული ნიშნით, არამედ პარტიული ნიშნით – ნაციონალური პარტიის კანდიდატები მიდიან.

კარგია, რომ „ევროვიზია“ გამარჯვებული მომღერლის ქვეყანაში გაიმართება, მაგრამ იმდენად დაბალია ჩვენი შანსები, რომ არ ღირს ამხელა თანხების დახარჯვა. კერძო პირს შეუძლია ითამაშოს და მილიონი წააგოს, მაგრამ ქვეყანა რომ დებს ამხელა ფსონს, ისე რომ შიგნიდან აბსოლუტურად აუწყობელია, მაშინ ეს ხარჯი გაუგებარი ხდება. ახალგაზრდები სხვა ქვეყანაში მიდიან საცხოვრებლად, სამსახურს ვერ პოულობენ და შენ ერთ მომღერალში იხდი ორ მილიონ ლარს – ამაში არანაირი ლოგიკა არ არის.

თანაც რისი იმედი გვაქვს, როდესაც შოუბიზნესის მექაში ჩაგვაქვს მეოცე საუკუნის უხარისხო პროდუქტი, არ მესმის. ხმის ჩუქურთმებით ვცდილობთ ხალხის „დაბოლებას“?

სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულმა ღონისძიებებმა კომუნისტების დროს ვერ გამოიღო შედეგი და არა მგონია, რომ ხელოვნური კვებით შექმნილ პროდუქტს რაიმე პერსპექტივა ჰქონდეს მომავალში.

ერთადერთი, რაც სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს ამ სფეროს განვითარებისთვის და მისი ხელშეწყობისთვის, არის ბიზნესის გათავისუფლება პოლიტიკური გავლენისგან. ყველაფერი დამოუკიდებელ ბიზნესზეა აწყობილი. თუ დამოუკიდებელი ფული არ იტრიალებს ქვეყანაში, და ყველაფერი პოლიტიზირებული იქნება, თავისთავად მუსიკაც პოლიტიზირებული გახდება.

დღეს პოლიტიკოსებს თავიანთი მუსიკოსები ჰყავთ და მათ უხდიან ფულს. ვინც ამ პოლიტიკაში არ შედის, იმას არ უხდიან. მე რამდენჯერმე შევეცადე ბიზნესის მოზიდვას, მაგრამ დიდ პრობლემებს წავაწყდი და მივხვდი, რომ თუ არ შეიცვალა მთავრობის დამოკიდებულება ხელოვნებისა და შემოქმედებითი აზროვნებისადმი, უფრო გაგვიჭირდება განვითარება.

აუღელვებლად დარჩენა

ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ გამართული პირველი დისკუსიები საქართველოში უფრო მეტი პანიკით იყო მოცული, ვიდრე პოლონეთში. რატომ? რა არის ის, რაც საქართველოს პანიკაში აგდებს, ან რა არის ის, რამაც პოლონელები არ ააღელვა კატასტროფის პირველივე შეფასებებისას?

მარკ მალენი

ტრაგიკული ავიაკატასტროფა, რომელშიც კატინის ტრაგედიის აღსანიშნად გამგზავრებული პოლონეთის პრეზიდენტი და 96 მგზავრი დაიღუპა, მთელ მსოფლიოში იგლოვეს. საბჭოთა (და შემდეგ რუსეთის) ოფიციალური პირების მიერ კატინის ტრაგედიის არაღიარება რუსეთსა და პოლონეთს შორის ურთიერთობაზე უარყოფითად აისახებოდა.

პოლონეთი და პოლონელები კრემლის მიმართ სკეპტიკურად არიან განწყობილნი და შეუპოვრად, თუმცა არა აგრესიულად ცდილობენ საკუთარი ინტერესების დაცვას. ერთ-ერთი პრობლემა, რაც პოლონელებს რუსეთთან ურთიერთობაში გაუჩნდათ, ეკონომიკური ხასიათის გახლდათ და პოლონეთმა თავისი პოზიცია ევროკავშირში ამ კუთხით წარმატებით გამოიყენა. რუსეთმა საპასუხო შეტევა სცადა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ პოლონეთს, როგორც ევროკავშირის წევრს, მეტი შესაძლებლობა აქვს რუსეთისთვის საზიანო ნაბიჯების გადადგმის თვალსაზრისით, ვიდრე – პირიქით. სხვათა შორის, ამ დაპირისპირების დეტალების ცოდნა საქართველოსთვისაც გამოსადეგი იქნება.

ბოლოს, პოლონეთის მიერ ევროკავშირის პრეზიდენტობის პოსტის დაკავებამდე კრემლმა ბრძნული ნაბიჯი გადადგა და კატინის ტყეში განხორციელებულ მასობრივ მკვლელობაზე საბჭოთა პასუხისმგებლობა აღიარა. ასევე, რუსული ტელევიზიით გადაიცა საუკეთესო პოლონური ფილმი კატინის ტრაგედიაზე, რომელმაც მთელი მსოფლიო წარმატებით შემოიარა. ეს იყო ნდობის აღდგენისკენ გადადგმული ნაბიჯი, რომელიც რუსეთს ევროპასთან ურთიერთობაში დაეხმარება.

რადგან საქართველო და რუსეთი „ერთმანეთის წინააღმდეგ არიან“, პოლონეთის რუსეთთან დაახლოება პოლონეთის საქართველოსგან დაშორებას ნიშნავს – მსოფლიოს ამგვარ აღქმას საქართველოსთვის კარგი არაფერი მოაქვს.

როგორ განიხილავენ პოლონეთსა და რუსეთს შორის უფრო ახლო და ურთიერთპატივსაცემ ურთიერთობებს ქართველები? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ქართველებს ეს არ მოსწონთ. საქართველოში ისეთი განწყობაა, რომ არსებობს ორი მხარე: რუსული მხარე და მასთან დაახლოებული რამდენიმე ევროპული ქვეყანა, და საქართველოს, ამერიკის, ბალტიის ქვეყნების, პოლონეთის და, ალბათ, დიდი ბრიტანეთის მხარე. ასე თუ განვიხილავთ, რადგან საქართველო და რუსეთი „ერთმანეთის წინააღმდეგ არიან“, პოლონეთის რუსეთთან დაახლოება პოლონეთის საქართველოსგან დაშორებას ნიშნავს. მსოფლიოს ამგვარ აღქმას საქართველოსთვის კარგი არაფერი მოაქვს.

პოლონურ ავიაკატასტროფაზე საქართველოში გაკეთებული პირველი კომენტარებით, გარკვეულწილად, სწორედ ამგვარი ხედვა გამოიხატა. რუსული შეთქმულების შესახებ საქართველოში უფრო მეტი ბრალდება გამოთქვეს, ვიდრე – პოლონეთში. პოლონელებმა გამოძიება სწრაფად ჩაატარეს, რუსეთის ოფიციალური პირებიც უჩვეულოდ გახსნილები იყვნენ, რაც მათი მუშაობის ჩვეულებრივი სტილი ნამდვილად არ არის. პოლონელები დარწმუნდნენ, რომ ეს იყო უბედური შემთხვევა და აშკარად დიდი სიფრთხილით მოეკიდნენ ამ საკითხს.

არსებობს რამდენიმე კითხვა, რომლებიც საკუთარ თავს უნდა დავუსვათ – გვინდა, რომ ეს რუსეთს გაეკეთებინა? დაადასტურებდა ეს ჩვენი დამოკიდებულების სისწორეს? თუ ასე ვფიქრობთ, მაშინ უკვე ადვილია, რომ ჩვენი მიკერძოებულობა გავაანალიზოთ.

ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ გამართული პირველი დისკუსიები საქართველოში უფრო მეტი პანიკით იყო მოცული, ვიდრე – პოლონეთში. რატომ? რა არის ის, რაც საქართველოს პანიკაში აგდებს, ან რა არის ის, რამაც პოლონელები არ ააღელვა კატასტროფის პირველივე შეფასებებში? თუ იგივე რამ საქართველოში მოხდებოდა, როგორ უპასუხებდა ხალხი და სახელმწიფო? რამდენად განვიხილავთ მოვლენებს, მათ შორის – დიდ ტრაგედიებსაც კი, როგორც ჩვენი წინასწარი განწყობების და დამოკიდებულებების დამამტკიცებელ საბუთებს? პასუხებში დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ მგონია, რომ ამ კითხვების განხილვა ღირს.

იმასთან ერთად, რომ დიდ მწუხარებას განვიცდი პოლონელი ხალხის მიმართ, ასევე განცვიფრებული ვარ პოლონელების და მათი სახელმწიფოს აუღელვებელი, მტკიცე პოზიციით. ეს ჩვენთვის, ყველასთვის მაგალითია, განსაკუთრებით კი – საქართველოსთვის.

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ

გადაუდებელი ინვესტიციები

იძულებით გადაადგილებულ პირთა კოტეჯებში სიტუაციის უცვლელად დატოვება იმას ნიშნავს, რომ მათ უზარმაზარი ენერგოგადასახადები დაუგროვდეთ, რაც დევნილებს სიღარიბიდან თავის დახსნის საშუალებას არ მისცემს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“

ფოტო (ნინო ბარბაქაძისეული)

დევნილების დასახლება წეროვანში

გასულ თვეს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც მიმოიხილავდა იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ხელისუფლების მიერ შემუშავებული ენერგოსუბსიდირების ახალი სქემა, ხშირ შემთხვევაში, არაადეკვატურია (განსაკუთრებით ეს ეხება პატარა ოჯახებს, რომლებიც მეტად მცირე სუბსიდიას იღებენ მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის რეალურ დანახარჯებთან შედარებით).

დევნილთა კოტეჯებში ენერგომოხმარების მაღალი მაჩვენებელი ყოველთვის უყაირათობის შედეგი არ არის. ხშირად ამის მიზეზი 2008 წელს აშენებული კოტეჯების და მათში დამონტაჟებული გასათბობი სისტემების უხარისხობაა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ რეკომენდაციაა, არა მარტო კოტეჯების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მათი ენერგოეფექტურობის გაზრდის მიზნით, არამედ ენერგო სუბსიდირების სისტემის გადახედვაც, განსხვავებული დასახლებებისა და ოჯახების ტიპების სპეციფიკური ენერგოსაჭიროების გათვალისწინებით.

დევნილთა პირობების გაუმჯობესების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს მათი გათბობის სისტემის ელექტროენერგიაზე დამოკიდებულების შეზღუდვა. ელექტროენერგია გათბობის ძვირადღირებული საშუალებაა (ელექტროენერგიაზე დამოკიდებული გამათბობლები ოდნავ უფრო ეფექტურია, ვიდრე ბუნებრივ აირზე დამოკიდებული გამათბობლები. თუმცა, 1 კვ.სთ ელექტროენერგიის ღირებულება 12 თეთრზე მეტია მაშინ, როდესაც 1 კვ.სთ ბუნებრივი აირის ღირებულება 5-6 თეთრია).

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევნილთათვის აშენებული 13 დასახლებიდან 6 დასახლების ენერგიის წყაროს შეშისა და ელექტროენერგიის კომბინაცია წარმოადგენს (თელიანი, მეტეხი, მოხისი, ახალსოფელი, ხურვალეთი, სკრა), ხოლო 7 დასახლება ბუნებრივი აირითა და ელექტროენერგიით სარგებლობს (წილკანი, შავშვები, კარალეთი, წმინდაწყალი, წეროვანი, ჩუმალეთი და ფრეზეთი). ელექტროსუბსიდიების ახალი სქემის შემოღებამდე დევნილები ხშირად ერთდროულად მოიხმარდნენ ბუნებრივ აირსა და ელექტროენერგიას.

სუბსიდიების სქემის შემოღების შემდეგ ასეთი პრაქტიკა შემცირდა, თუმცა ჯერაც არსებობს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ კარალეთის და წილკანის დასახლებები ბუნებრივი აირით მარაგდებიან, ისინი გათბობისათვის ისევ ელექტროენერგიას მოიხმარენ.

იმ დასახლებებისთვისაც კი, რომლებიც შეშის ღუმელებითაა აღჭურვილი, ელექტროენერგიაზე დამოკიდებულების საფრთხე თანდათან იზრდება. „ენერგოეფექტურობის ცენტრი – საქართველოს“ მიერ ჩატარებული ენერგო აუდიტის მიხედვით, იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში დამონტაჟებული შეშის გამათბობლები ძალიან დაბალი ხარისხისაა და დღეს ბევრი მათგანი მწყობრიდანაა გამოსული. ამის მიზეზი ის არის, რომ დევნილთა კოტეჯებში დამონტაჟებული ღუმელები, ნახერხზე იყო გათვლილი. მიუხედავად ამისა, იძულებით გადაადგილებული პირები გასათბობად უმეტესად შეშას იყენებენ, რაც იწვევს ღუმელების მწყობრიდან გამოსვლას. პრობლემაა ისიც, რომ

■ დევნილთა დასახლებებში ვარვარა ელექტრონათურების და უხარისხო ღუმელების შეცვლა საკმაოდ იაფი და ეფექტური ღონისძიება იქნებოდა.

შეშის თვიური სუბსიდიები 1-2 კუბური მეტრის ოდენობით, ზამთარში საკმარისი არ არის. თანაც, შეშა დევნილებს ზოგჯერ არარეგულარულად მიეწოდებათ, ამიტომ, მათ უწევთ ან შეშის დამატებითი შესყიდვა, ან მისი მოგროვება დასახლების მიმდებარე ტყეებში.

„ენერგოეფექტურობის ცენტრი – საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად გამოირკვა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა კოტეჯების ახალი შეშის ღუმელებით აღჭურვა ეკონომიკურ შედეგს სულ რაღაც 15 თვეში მოგვცემს. თუკი საქართველოს ხელისუფლება გამოყოფს 125 400 ლარს (428 კოტეჯი, ახალი ღუმელის საშუალო ღირებულებაა 300 ლარი) ენერგოდამზოგი შეშის ღუმელების გადასაცემად, ეს წლიურად დაზოგავს 1 113 920 კვ.სთ ელექტროენერგიას, რაც 99 120 ლარის ტოლია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მწყობრიდან გამოსული ღუმელების შეცვლას ხარისხიანი შეშის ღუმელებით შეუძლია დევნილთა ენერგოდაზოგვის იმდენად ფართო მასშტაბით გაუმჯობესება, რომ ახალ ღუმელებზე გაწეული დანახარჯები ამონაგებს უკვე ერთ წელიწადში მოგვცემს.

კიდევ ერთი ეფექტური ღონისძიება იქნებოდა დევნილთა დასახლებებში ენერგოდამზოგი ნათურების დამონტაჟება (100-ვატიანი ვარვარა ნათურების ჩანაცვლება 20-ვატიანი ენერგოდამზოგი ნათურებით). „ენერგოეფექტურობის ცენტრი – საქართველოს“ მონაცემებით, 242 500 ლარის ინვესტირება ამ ღონისძიებაში შესაძლებელს გახდის წლიურად 428 295 ლარის დაზოგვას. აქედან გამომდინარე, ამონაგების მიღების პერიოდი 7 თვეზე ნაკლები იქნება. შეშის ღუმელების გამოცვლა და ენერგოდამზოგი ნათურების დაყენება ხელისუფლებისთვის რთული არ უნდა იყოს, ხოლო დევნილთა ყოველთვიურ გადასახადებს საგრძნობლად შეამცირებს.

რა თქმა უნდა, ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ყველა ინვესტიციის განხორციელება ასე სწორხაზოვნად ვერ მოხდება. ენერგია დაიზოგება ისეთი ზომების მიღებით, როგორიცაა იატაკის თბოიზოლაცია (ლინოლიუმით ან მინერალური ბამბით, ნაპრალების ამოვსება), კედლების, ჭერის, და სხვენის თბოიზოლაცია. ამას (ლინოლიუმის დაგების გამოკლებით) სჭირდება მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოების ჩატარება, რაც ამონაგებს მხოლოდ, დაახლოებით, 5-13 წლის განმავლობაში მოიტანს (გამონაკლისი შეიძლება იყოს ფრეზეთის დასახლება, სადაც იძულებით გადაადგილებულ პირთა კოტეჯების დასახლებებს შორის ყველაზე ცივი კლიმატია და სადაც ჭერის თბოიზოლაცია ეკონომიკურ შედეგს უკვე რამდენიმე წელიწადში გამოიღებს).

„ენერგოეფექტურობის ცენტრი – საქართველოს“ საბოლოო ანგარიში, რომლის გამოქვეყნებაც 2010 წლის აპრილის ბოლოს/მაისის დასაწყისისთვისაა დაგეგმილი, მოიცავს დევნილთა კოტეჯებისა და მრავალსართულიანი შენობების სიტუაციურ ანალიზს, ენერგიის მიწოდებისა და მოთხოვნის მდგომარეობის აღწერას, სხვადასხვა განახლებადი ენერგეტიკული წყაროს ადგილზე დანერგვის პოტენციალის განხილვას, ენერგეტიკული აუდიტების შედეგებს და ამ შენობებში ენერგოდამზოგი ღონისძიებების გატარების რეკომენდაციებს, ხარჯებისა და სარგებლის ანალიზს სხვადასხვა წმინდა ენერგეტიკული ალტერნატივისთვის და სხვა.

იძულებით გადაადგილებულ პირთა კოტეჯების მშენებლობის და დამონტაჟებული გამათბობლების (როგორც ბუნებრივი აირის, ისე შეშის ღუმელების) დაბალი ხარისხი ზედმეტ დანახარჯებს იწვევს. დევნილებს კოტეჯები უსასყიდლოდ გადაეცათ მაშინ, როდესაც ეს ძალიან სჭირდებოდათ, მაგრამ იქ საცხოვრებლად საჭირო ენერგიის საფასურის გადახდა ძალიან ბევრ ოჯახს მძიმე ტვირთად აწვება.

ვარვარა ელექტრონათურების და უხარისხო ღუმელების შეცვლა საკმაოდ იაფი და განსახორციელებლად ადვილი ღონისძიებებია (და მალევე მოაქვს ამონაგები). სხვა ენერგოდამზოგი ღონისძიებები (იატაკის, ჭერის, კედლების და სხვენის თბოიზოლაცია) მოიცავს სამშენებლო სამუშაოებს და წარმოადგენს გრძელვადიან ინვესტიციას. თუმცა, ეს ინვესტიციები აუცილებელია. მართებული არ იქნება იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფაზე საუბარი, თუკი იატაკიდან ცივი ჰაერი და მწერები შემოდის, გამათბობელი ენერგია იფლანგება ცუდად იზოლირებული სხვენიდან და ადამიანებს უწევთ დამატებითი ოდენობის ენერგიის მოხმარება კედლების სიმშრალის შესანარჩუნებლად.

იატაკების, კედლების და სხვენის თბოიზოლაცია ფრთხილ დაგეგმვას მოითხოვს და, იდეალურ შემთხვევაში, კოტეჯების სხვა ხარვეზების გამოსწორების პარალელურად უნდა მოხდეს. თუკი დევნილთა ჩასახლებების ენერგოეფექტურობის პრობლემას ახლავე არ დაეთმო სათანადო ყურადღება, იგი 2010 წლის შემდეგ პერიოდში გადაინაცვლებს, როდესაც საერთაშორისო დონორების მიერ დევნილთა ხელშეწყობა, 2008-2010 წლების დონესთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდება.

პოლონეთი ლეხ კაჩინსკის შემდეგ

პოლონეთში ლეხ კაჩინსკის რომანტიზმის დრო დასრულდა.

სოფო ბუკია

იაროსლავ კაჩინსკის გამოთხოვება ძმასთან, ვარშავა, 11 პარილი 2010

10 აპრილს, შუადღეს ვარშავა სირენის დამაყრუებელმა ხმამ გააშეშა. მეორე მსოფლიო ომის დროს ეს ხმა ხალხს საჰაერო თავდასხმების შესახებ აფრთხილებდა. თუმცა, ამჯერად სამალავში არავინ გაქცეულა. ერთი წუთის განმავლობაში ვარშავაში ყველაფერი გაჩერდა – აღარ მოძრაობდნენ მანქანები, ავტობუსები. ხალხი თავჩაღუნული იდგა.

სმოლენსკთან, ავიაკატასტროფაში დაღუპულთა შორის პოლონეთის მერვე პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის ცხედარი რამდენიმე საათში ამოიცნეს.

მეორე დღეს ვარშავაში, პრეზიდენტის სასახლესთან კაჩინსკის ნეშტს ასობით ათასი ადამიანი ელოდა. ხმას არავინ იღებდა. „პან პრეზიდენტ, შენი ხალხი ტირის!“ – ეწერა გაზეთ „ვიბორჩას“ პირველ გვერდზე. ახალი გაზეთები იმ დღეს უფასოდ დარიგდა.

ხალხით გადაჭედილ მოედანზე სიჩუმე არ დარღვეულა მაშინაც, როცა ვარშავის დროით ზუსტად 17.00 საათზე პრეზიდენტის კორტეჟი გამოჩნდა. ამ დროს ჩამოჰკრეს კათოლიკური ეკლესიის ზარებმა.

სამარისებული სიჩუმე იდგა მაშინაც, როცა საპატიო ყარაულის ჯარისკაცებმა პრეზიდენტის ცხედარი სასახლეში შეასვენეს.

მხოლოდ ამის შემდეგ, სადღაც ხალხში გაისმა მამაკაცის ხმა, რომელიც ხმადაბლა პოლონეთის ჰიმნს ღიღინებდა. ამ ხმას სხვებიც აჰყვნენ, მაგრამ ჩუმად, ნახევარ ხმაში.

გასულ კვირას ვარშავა წითელი და თეთრი ყვავილების, სანთლებისა და დაშვებული დროშების მდუმარე ქალაქად იქცა.

ლეხ კაჩინსკის უკანასკნელი რეისი

ჯერჯერობით ოფიციალური ვერსია, თუ რატომ ჩამოვარდა პრეზიდენტის თვითმფრინავი, არ არსებობს.

10 აპრილს, მოსკოვის დროით 10.56

საათზე, სმოლენსკთან ავიაკატასტროფა განიცადა პოლონეთის პრეზიდენტის თვითმფრინავმა – ტუ-154-მა. დაიღუპა 96 ადამიანი. პოლონური დელეგაცია კატინში მიემგზავრებოდა, 1940 წელს დახვრეტილი პოლონელი ოფიცრების ხსოვნისადმი მიძღვნილ ცერემონიალზე დასასწრებად.

ამ ეტაპზე რამდენიმე ვერსია განიხილება: უამინდობის გამო პოლონური ეკიპაჟის მიერ დაშვებული შეცდომა, სმოლენსკის აეროდრომზე მომუშავე დისპეჩერების შეცდომა და თვითმფრინავის ტექნიკური გაუმართაობა.

წინასწარი მონაცემებით, პრეზიდენტის თვითმფრინავი სმოლენსკში სამხედრო აეროდრომ „სევერნიზე“ დაშვებისას ხეებს წამოედო, რის შედეგადაც მოძვრა ფრთა, ცეცხლი წაეკიდა კორპუსს და თვითმფრინავი წამებში დაენარცხა მიწაზე.

საერთაშორისო მეტეოროლოგიურ ვებგვერდებზე აღნიშნულია, რომ 10 აპრილს, დილის 10 საათისთვის სმოლენსკში 1 გრადუსი სითბო და ძლიერი ნისლი იდგა.

„სევერნი“ ერთადერთი აეროდრომია სმოლენსკის რაიონში, რომელსაც ტუ-154-ის მიღება შეუძლია. თუმცა, ეს აეროდრომი არ არის აღჭურვილი თანამედროვე სანავიგაციო სისტემით ბრმად დაშვებისთვის, რაც აქვს ყველა საერთაშორისო აეროპორტს.

ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე – როცა სმოლენსკის აეროდრომზე პოლონეთისა და რუსეთის პრემიერ-მინისტრების თვითმფრინავები დაეშვა, აეროდრომი დამატებითი დანადგარებით აღჭურვეს და მათი გაფრენის შემდეგ გაიტანეს. ორი ქვეყნის პრემიერებმა რამდენიმე დღით ადრე აღნიშნეს კატინის მოვლენებიდან 70 წლისთავი. კაჩინსკი ამ ღონისძიებებზე არ მიიწვიეს.

უვნებლადაა ნაპოვნი შავი ყუთები. ირკვევა, რომ პრეზიდენტის პილოტები კატასტროფამდე 3-5 წამით ადრე მიხვდნენ, რომ იღუპებოდნენ. არავინ ამბობს, იცოდნენ თუ არა ამის შესახებ მგზავრებმა. პოლონეთის სამხედრო პროკურორმა ზბიგნევ ჟეპემ განაცხადა, რომ შავი ყუთის ფირზე ჩაწერილი პილოტების ბოლო ფრაზები „ძალზე დრამატულია“.

რუსი დისპეტჩერები, რომლებიც იმ დილით „სევერნიში“ მორიგეობდნენ, ამბობენ, რომ საპრეზიდენტო ბორტის კაპიტანს რამდენჯერმე შესთავაზეს სარეზერვო აეროდრომებზე – ვიტებსკში, მინსკში ან მოსკოვში დაჯდომა.

გამოცდილი მფრინავი არკადიუშ პროტასიუკი რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა პრეზიდენტთან. ჰაერში მას 1950-ზე მეტი საათი ჰქონდა გატარებული.

არსებობს ვერსია, რომ, შესაძლოა, პილოტებმა პრეზიდენტის ბრძანება შეასრულეს და ამიტომაც არ გაითვალისწინეს სახმელეთო დისპეტჩერების გაფრთხილება.

პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი ერთხელ მართლაც შეეცადა თავისი ტუ-154-ის ეკიპაჟის საქმიანობაში ჩარევას. ეს იყო 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, როცა მისი თვითმფრინავი თბილისში მოფრინავდა. მაშინ პილოტი არ დაემორჩილა კაჩინსკის მოთხოვნას და თვითმფრინავი, საომარ მდგომარეობაში მყოფი თბილისის ნაცვლად, ბაქოს აეროპორტში დასვა. ეს ამ პილოტის უკანასკნელი რეისი იყო პრეზიდენტის ბორტზე. იგი, კაჩინსკის ბრძანებით, გაათავისუფლეს. შეუძლებელია ეს ისტორია არ სცოდნოდა არკადიუშ პროტასიუკსაც.

პოლონეთში, უკვე რამდენიმე წელია, მაღალჩინოსნების თვითმფრინავებს „მფრინავ კუბოებს“ ეძახდნენ. რამდენიმე წლის წინ პოლონეთის ყოფილი პრემიერის – ლეშეკ მილლერის თვითმფრინავს ბერლინის აეროპორტში ცეცხლი გაუჩნდა. სხვა ინციდენტებიც იყო. თუმცა, მიუხედავად ამისა, პოლიტიკოსებს არასოდეს უცდიათ ავიაპარკის განახლება, რადგან უფრთხოდნენ საზოგადოებრივ რეაქციას – ახალი თვითმფრინავების შეძენა პოლონეთისთვის ძვირი სიამოვნებაა.

სმოლენსკის ავიაკატასტროფასთან დაკავშირებით არსებობს კიდევ ერთი, არაოფიციალური და ყველაზე სკანდალური ვერსია. იმ ფაქტმა, რომ კრემლის დაუძინებელი ოპონენტი და პუტინის ყველაზე მკაცრი ევროპელი კრიტიკოსი – ლეხ კაჩინსკი სწორედ რუსულ მინაზე დაიღუპა, გააჩინა ეჭვები, რომ ავიაკატასტროფა შემთხვევითი არ ყოფილა. ამ ეჭვების საფუძველი რუსეთის ხელისუფლების შელახული რეპუტაციაა. თუნდაც რუსეთ-საქართველოს ომი ან ლიტვინენკოს მკვლელობა არის იმის მაგალითი, რომ კრემლის ლიდერები არაფერზე იხევენ უკან, როცა საქმე პოლიტიკური ოპონენტების განადგურებას ეხება.

პრეზიდენტის პილოტები კატასტროფამდე 3-5 წამით ადრე მიხვდნენ, რომ იღუპებოდნენ. არავინ ამბობს, იცოდნენ თუ არა ამის შესახებ მგზავრებმა.

თუმცა, ეს უფრო ემოციური არგუმენტებია კონსპირაციული თეორიების სასარგებლოდ. ამ ვერსიას არავითარი კონკრეტული ფაქტი თუ გარემოება არ ამყარებს. და, სავარაუდოდ, არც არასდროს გაამყარებს.

ამ ტრაგიკულ ისტორიაში გაურკვეველი რჩება კიდევ ერთი რამ – რატომ არ დახურეს აეროდრომი „სევერნი“ იმ ავბედით დილას, მაშინ, როცა ძლიერი ნისლის გამო, ხილვადობა ძალიან სუსტი იყო და რატომ ჰქონდა რუსი დისპეტჩერების გაფრთხილებებს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი? როგორც რუსი ექსპერტები ამბობენ, აქაც პოლიტიკა და დაძაბული რუსულ-პოლონური ურთიერთობებია დამნაშავე – არ არის გამორიცხული, კაჩინსკისთვის სმოლენსკის აეროდრომის ჩაკეტვა პოლიტიკურ ნაბიჯად აღქმულიყო, რასაც საერთაშორისო სკანდალი მოჰყვებოდა.

ტუ-154-ის ჩამოვარდნას 96 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მათ შორისაა ეკიპაჟის 8 წევრი. ამ საბედისწერო ავიარეისზე იმყოფებოდნენ პოლონეთის პოლიტიკური ელიტის წევრები, უმაღლესი სამხედრო სარდლობა სრული შემადგენლობით, სამეცნიერო, საზოგადოებრივი და რელიგიური წრეების წარმომადგენლები, კატინში დახვრეტილი ოფიცრების ნათესავები.

გარდაცვლილთა დიდი ნაწილის იდენტიფიცირება ძალიან გაჭირდა. პრეზიდენტის მეუღლის – მარია კაჩინსკას ცხედარი ახლობლებმა მისი საქორწინო ბეჭდით ამოიცნეს.

კატინში პოლონეთის უკანასკნელი პრეზიდენტი დევნილობაში, რიშარდ კაჩოროვსკიც მიფრინავდა. თვითმფრინავში იყო პოლონელებისთვის ლეგენდად ქცეული ანნა ვალენტინოვიჩი, პოლონური „სოლიდარნოსტის“ სიმბოლო და ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

პოლონეთი კატასტროფის შემდეგ

სმოლენსკის ტრაგედია მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებამდე ნახევარი წლით ადრე მოხდა. არჩევნები 2010 წლის შემოდგომაზე უნდა გამართულიყო.

კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა – სეიმის (პოლონეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო) მარშალმა ბრონისლავ კომოროვსკიმ პრეზიდენტის გარდაცვალებიდან 14 დღეში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები უნდა დანიშნოს. ამასთან, არჩევნები უნდა გაიმართოს არა უგვიანეს 24 ივნისისა.

მიუხედავად იმისა, რომ კატინის თავზე პრეზიდენტობის ორი კანდიდატი დაიღუპა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პოლონეთის საშინაო პოლიტიკაში მომხდარს რევოლუციური მნიშვნელობა არ ექნება. ტრაგედიის დღეებში უპრეზიდენტოდ და პოლიტელიტის გარეშე დარჩენილმა ქვეყანამ დაამტკიცა, რომ შემდგარი სახელმწიფოა, მყარი დემოკრატიითა და გამართული სახელმწიფო ინსტიტუტებით.

შაბათის კატასტროფამდე პოლონეთის პრეზიდენტის პოსტზე მხოლოდ ერთი კანდიდატის ვინაობა იყო ცნობილი. პოლონეთის წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიამ – „სამოქალაქო პლატფორმამ“, რომელსაც პრემიერ-მინისტრი დონალდ ტუსკი ხელმძღვანელობს, მთავარ კანდიდატად სეიმის მარშალი ბრონისლავ კომოროვსკი დაასახელა.

დემოკრატიული მემარცხენე ალიანსი გეგმავდა თავის კანდიდატად სეიმის ვიცე-სპიკერის ეჟი შმაიძინსკის დასახელებას. შმაიძინსკი პრეზიდენტ კაჩინსკის თვითმფრინავში იჯდა.

მიუხედავად არაპოპულარობისა, პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკიც გეგმავდა მეორე ვადით კენჭისყრას. აპრილის დასაწყისში ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, კომოროვსკის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების მასზე ბევრად უკეთესი შანსი ჰქონდა.

თავად პრემიერ-მინისტრ დონალდ ტუსკს პრეზიდენტობის სურვილი არასოდეს გამოუთქვამს. კონსტიტუციის თანახმად, პოლონეთის პრეზიდენტს ძირითადად წარმომადგენლობითი ფუნქციები აქვს. ქვეყნის რეალური მმართველი კი მთავრობა და მისი ხელმძღვანელია. კომოროვსკის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ტუსკი, სავარაუდოდ, შეინარჩუნებს თავის პოსტს.

პრეზიდენტის ტყუპისცალი იაროსლავ კაჩინსკი, პოლონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომელიც პარტია „სამართალი და სამართლიანობას“ ლიდერობს, პრემიერ ტუსკის დაუძინებელი ოპონენტია, ისევე როგორც მისი პრეზიდენტი ძმა იყო. გავრცელებული ინფორმაციით, იაროსლავ კაჩინსკი ძმის ადგილის დაკავებას შეეცდება. ავიაკატასტროფის შემდეგაც მას გაპრეზიდენტების ძალიან დაბალი შანსი აქვს.

„საეჭვოა, რომ ამ უდიდესმა ტრაგედიამ „სამართლისა და სამართლიანობის“ პარტიის (ძმები კაჩინსკების პარტია) რეიტინგის ზრდა გამოიწვიოს. სავარაუდოდ, ეს ტრაგედია უფრო მშვიდს და ზომიერს გახდის საპრეზიდენტო კამპანიას“, – ამბობს ბი-ბი-სი-ს ეთერში პოლონელი ექსპერტი კშიშტოფ ბობინსკი.

სავარაუდოდ, ლეხ კაჩინსკის და მის მეუღლეს კრაკოვში, ვაველის სასახლეში დაკრძალავენ. იქ, სადაც პოლონეთის საუკეთესო შვილები – გმირები და მეფეები განისვენებენ. ეს გადაწყვეტილება პოლონელების დიდმა ნაწილმა არ მოიწონა. ტრაგედიისგან შოკირებული, მაგრამ პრაგმატული პოლონელები ამბობენ, რომ კაჩინსკი არ იყო იმ რანგის საზოგადო მოღვაწე, რომელიც ვაველში დაკრძალვას იმსახურებს.

კონსერვატორი კათოლიკე

პოლიტიკური კარიერა კაჩინსკიმ 1977 წელს, იატაკქვეშა ანტიკომუნისტური ორგანიზაციიდან დაიწყო და მას შემდეგ მთელი ცხოვრება ებრძოდა კომუნისტებსა და რუსულ იმპერიულ პოლიტიკას. 1980 წელს კაჩინსკი პოლონური პროფკავშირის, „სოლიდარნოსტის“ წევრი ხდება, 2005 წელს კი – პოლონეთის პრეზიდენტი.

პოლონეთში კაჩინსკის პოპულისტად მიიჩნევდნენ. ვარშავის მერად ყოფნის პერიოდში მან რამდენჯერმე აკრძალა გეი-აღლუმის ჩატარება და არაერთხელ გამოვიდა სიკვდილით დასჯის მხარდასაჭერად. იგი თავს არიდებდა რადიკალურ საბაზრო რეფორმებს და უფრო სოციალურ პროგრამებს ატარებდა.

პოლიტიკური ელიტა და საზოგადოების ნაწილი გააღიზიანა ლეხ კაჩინსკის სახიფათო ვიზიტმა ახალგორში, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როცა საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტების კორტეჟს ცეცხლი გაუხსნეს.

ოპონენტები კაჩინსკის კონსერვატორ კათოლიკედ მიიჩნევდნენ, რომელიც აფერხებდა პოლონეთის ევროკავშირთან ინტეგრაციას. ასევე მას აკრიტიკებდნენ რუსეთთან ისტორიულად ცუდი ურთიერთობების კიდევ უფრო დაძაბვის გამო. საქართველოში პრეზიდენტ კაჩინსკის გულმხურვალე მეგობრობას უმნიშვნელოვანეს მხარდაჭერად აფასებდნენ, პოლონეთში კი მისი ოპონენტები ამას არაპრაგმატულ გადაწყვეტილებად მიიჩნევდნენ.

თუმცა, კაჩინსკის მტრებიც კი აღიარებდნენ, რომ იგი იყო პრინციპული, პატიოსანი ადამიანი და საკუთარი ქვეყნის დიდი პატრიოტი.

კაჩინსკის ღია ბრძოლა საქართველოსა და უკრაინის სუვერენიტეტის დასაცავად განსაკუთრებით აღიზიანებდა კრემლს. პოლონეთის პრეზიდენტი მოურიდებლად აკრიტიკებდა პუტინს და მის დაუფარავ სურვილს ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიები კვლავ რუსული იმპერიის გავლენის ქვეშ მოექცია.

კაჩინსკის სიკვდილსა და კრემლის წინააღმდეგ მის ბრძოლას შორის ალბათ მართლაც არსებობს სიმბოლური კავშირი. კაჩინსკი მთელი ცხოვრება იბრძოდა იმ ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც პატივს არც მას სცემდა და არც მის ქვეყანას. ამ ბრძოლაში გამარჯვებას მისთვის იმდენად

პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, რომ იგი საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებასაც არ ერიდებოდა. რუსეთის მიერ ოკუპირებულ ახალგორში ჩასვლა ამ ბრძოლის ნაწილი იყო, და შესაძლოა, სმოლენსკთან მომხდარი ავიაკატასტროფაც.

პუტინს განსაკუთრებით აღიზიანებდა ნატო-სა და ევროკავშირის ფრთის ქვეშ ამოფარებული, რუსეთის ყოფილი ვასალის ჩარევა მისი გავლენის სფეროში. ეს პატარა ქვეყანა, რომელიც ცდილობს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი გახდეს, ვერა და ვერ იქცა რუსეთისთვის თანასწორ სახელმწიფოდ. მოსკოვისთვის ვარშავას დღესაც მხოლოდ უსიამოვნებები მოაქვს.

პოლონელებისთვის რუსეთი ყოფილი კოლონიზატორია, პოლონეთის ტრაგიკული ისტორიის განუყოფელი ნაწილი, რომელმაც ქვეყანას ბევრი უბედურება მოუტანა. ამ ისტორიაში მთავარი კატინია.

კატინი

ტყე კატინის გარშემო უღრანი და გაუვალია. ნაძვები აქ ისე მჭიდროდ ჩამწკრივებულან, რომ მათი ტოტები სამუდამოდ გადაეჯაჭვნენ ერთმანეთს. ამბობენ, რომ ეს ხეები 70 წლისაა.

1940 წელს, კატინის ტყეში 4 ათას 421 პოლონელი ოფიცერი სტალინისა და „ნკვდ"-ს ხელმძღვანელის ლავრენტი ბერიას პირადი ბრძანებით დახვრიტეს. სულ იმ წელს სხვადასხვა ბანაკში საბჭოთა ხელმძღვანელობამ 21 ათას 857 პოლონელი დახვრიტა – ოფიცრები, ექიმები, ადვოკატები, ჟურნალისტები, მასწავლებლები, პროფესორები.

ეს მასობრივი სასაფლაო 1943 წელს გერმანელებმა აღმოაჩინეს, როდესაც საბჭოთა კავშირის ეს ტერიტორიები დაიკავეს.

1990 წლამდე საბჭოთა კავშირი არ აღიარებდა პოლონელი ოფიცრების დახვრეტის ფაქტს და აცხადებდა, რომ ეს ჰიტლერმა ჩაიდინა. წლების განმავლობაში მთელი ევროპა და მსოფლიო თვალს ხუჭავდა საბჭოთა კავშირის ამ ტყუილზე.

დღეს დაღუპულ პოლონელთა ოჯახებს არ უნდათ რუსეთისგან მატერიალური კომპენსაცია. მათ ოჯახებს უნდათ სიმართლე.

კატინში საბჭოთა მოქალაქეებიც დახვრიტეს და მათი მემორიალი პოლონელი ოფიცრების გვერდითაა. მემორიალებს შორის განსხვავება ბევრია: პოლონური მოვლილია, საბჭოთა – არა. საბჭოთას აწერია: „პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლნი", პოლონურს – არა.

პოლონურ მემორიალთან ნაძვები განსაკუთრებით ხშირია. ამბობენ, რომ ისინი მას შემდეგ დარგეს, რაც აქ ოფიცრების გვამები დამარხეს. ეს იმისთვის გაკეთდა, რომ ამ საფლავების ადგილსამყოფელი არავის არასდროს სცოდნოდა.

ლეხ კაჩინსკი იქ ყოველ წელს არაოფიციალური ვიზიტით ჩადიოდა, რათა პატივი მიეგო დაღუპულებისთვის. არადა, რუსეთში ოფიციალური ვიზიტით იგი არასდროს ჩასულა.

ტრაგედიამდე ორიოდე დღის წინ კატინის ტყეში ვლადიმირ პუტინი და დონალდ ტუსკი შეხვდნენ ერთმანეთს და პოლონელი ოფიცრების მემორიალთან დაიჩოქეს. პუტინისგან ამას არავინ ელოდა.

რუსეთის პრემიერმა აღიარა: „აქ დაკრძალულნი არიან პოლონელი ოფიცრები, რომლებიც „ნკვდ"-ს ბრძანებით დახვრიტეს", თუმცა ბოდიში მაინც ვერ მოიხადა. პუტინმა უფრო მეტი ისაუბრა საბჭოთა ხალხზე, რომელიც ასევე რეპრესიების მსხვერპლი იყო. მან უფლება არ მისცა პოლონელებს, ეს დღე მხოლოდ მათი ოფიცრების ხსოვნის დღე ყოფილიყო.

■ რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, შესაძლებელია, კაჩინსკის სიკვდილი იყოს ის ფასი, რაც პოლონეთს კატინის იარის შეხორცებასა და რუსეთთან ურთიერთობის აღდგენაში დაეხმარება. ყოველ შემთხვევაში, დღეს პოლონეთში უნდათ, რომ ამის სჯეროდეთ.

საერთაშორისო მედიამ პუტინის ეს ნაბიჯი სენსაციად შეაფასა, მაგრამ „კგბ"-ს ყოფილი ოფიცრის ტრანსფორმაცია არ დაიჯერა. რუსული საზოგადოებისთვის კი იგი შეუმჩნეველი დარჩა. ტელევიზიებმა კატინის შეხვედრა ზედაპირულად გააშუქეს.

1992 წელს, როცა მოსკოვმა ვარშავას კატინის საქმეში „ნკვდ"-ს დანაშაულის დამამტკიცებელი დოკუმენტების ნაწილი გადასცა, რუსებმა ჩათვალეს, რომ ამით საბოლოოდ დახურეს ეს უსიამოვნო თემა.

თუმცა, რუსები ცდებოდნენ – პირიქით, ამ აღიარებით პოლონეთისთვის ყველაფერი მხოლოდ დაიწყო.

სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით, რუსეთის საზოგადოებრივი აზრი ამბობს, რომ რუსეთი არ გრძნობს დანაშაულს პოლონელების წინაშე წარსულის გამო.

სწორედ ამ საზოგადოებრივ აზრს და რუსეთის ამ იმპერიალისტურ დამოკიდებულებას ებრძოდა ლეხ კაჩინსკი, რომელიც უკვე არა მარტო სიცოცხლით, საკუთარი სიკვდილითაც საბოლოოდ დაუკავშირდა ამ დაწყევლილ ადგილს.

1940 და 2010 წლის ტრაგედიებს შორის პოლონელები დღეს პარალელებს ავლებენ. მათ შორის ბევრი საერთო და ბევრი განსხვავებაა. 70 წლის წინ პოლონეთმა ვერ შეძლო ღირსეული პატივი მიეგო თავისი დაღუპული ელიტისთვის. დღეს პოლონეთი ლოცვით გლოვობს გარდაცვლილებს.

70 წლის წინ სტალინისა და ჰიტლერის გადაწყვეტილებით, პოლონეთი გამქრალი იყო ევროპის რუკიდან. დღეს დემოკრატიული პოლონეთი კონსტიტუციის ჩარჩოებში, ორგანიზებულად და ღირსეულად უმკლავდება თავს დატეხილ ტრაგედიას.

განსხვავებულია მსოფლიოს რეაქციაც. ამჯერად მსოფლიოს ყველა ლიდერი ერთიმეორეს ასწრებს თანა-

გრძნობის გამოხატვას. კატინის პირველი ტრაგედია კი წლების განმავლობაში ტოტალიტარული ტყუილით იყო დაფარული და მის აღიარებასაც კი ვერავინ ბედავდა.

როგორც პოლონური პრესა წერს, პოლონელებისთვის ყველაზე უჩვეულო „კგბ“-ს ყოფილი ოფიცრის – ვლადიმირ პუტინის რეაქცია იყო. პუტინი რამდენჯერმე მივიდა კატასტროფის ადგილას, 12 აპრილი რუსეთში გლოვის დღედ გამოაცხადა და სახელმწიფო ტელეარხზე ანჯეი ვაიდას აქამდე მის მიერვე აკრძალული ფილმის – „კატინის“ ჩვენება ბრძანა. ამ ფილმში აღწერილია რუსული „კგბ“-ს სისასტიკე პოლონელი ოფიცრების მიმართ.

1943 წელს, პოლონეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი თავის უბის წიგნაკში წერდა: „თუ დამტკიცდა რუსეთის ბრალი კატინის მოვლენებში, როგორ მოვითხოვოთ მომავალი თაობებისგან რუსებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აწყობა? მგონი, ამ კითხვაზე პასუხი დღეს არ არსებობს“.

ამ ჩანაწერის შემდეგ 63 წელი გავიდა. მეორე კატინმა, რომელიც პოლონეთის თავზე დატრიალდა, შეიძლება ამ კითხვას ყველაზე მოულოდნელი პასუხი გასცეს.

რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, შესაძლებელია, კაჩინსკის სიკვდილი იყოს ის ფასი, რაც პოლონეთს კატინის იარის შეხორცებასა და რუსეთთან ურთიერთობის აღდგენაში დაეხმარება. ყოველ შემთხვევაში, დღეს პოლონეთში უნდათ, რომ ამის სჯეროდეთ.

პოლონურმა გაზეთმა Rzeczpospolita-მ გამოაქვეყნა სიტყვა, რომელიც ლეხ კაჩინსკის კატინის მემორიალთან უნდა წარმოეთქვა. „კატინი პოლონური ისტორიის მტკივნეულ იარად იქცა და მრავალი ათწლეულის განმავლობაში გააფუჭა ურთიერთობები პოლონელებსა და რუსებს შორის. მოდით, გავაკეთოთ ისე, რომ ეს იარა საბოლოოდ შეხორცდეს და მორჩეს. ჩვენ სწორ გზაზე ვართ. ჩვენ, პოლონელები ვაფასებთ იმას, რაც ბოლო დროს რუსებმა გააკეთეს. და ამ გზით, რომელიც აახლოებს ჩვენს ხალხებს, მომავალშიც უნდა ვიაროთ. არ უნდა გავჩერდეთ და უკან არ დავიხიოთ“.

პოლიტიკა

ოპოზიცია გაჩეჩილაძის გარეშე

ლევან გაჩეჩილაძე არჩევნებს გამოეთიშა. ოპოზიცია გაერთიანებაზე აღარ ფიქრობს და საარჩევნო სიების დახვეწისთვის იბრძვის.

მაია წიკლაური

ლევან გაჩეჩილაძე „მაესტროს“ სტუდიაში, 16 აპრილი 2010

ფოტო: ლევან ნარიულიძე

გასული კვირა 12 აპრილს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სიების მონიტორინგის შედეგების პრეზენტაციით დაიწყო და 16 აპრილს ლევან გაჩეჩილაძის განცხადებით დასრულდა.

ოპოზიციის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა ფიგურამ საბოლოოდ დაუსვა წერტილი კითხვას, მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას. „მე მთელი ჩემი ენერგია ჩავდე გაერთიანების და ერთობლივი ბრძოლის საქმეში, მაგრამ არ გამოვიდა! ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, რომ არ დავაყენო კანდიდატურა თბილისის მერის არჩევნებში!“ – განაცხადა გაჩეჩილაძემ.

ოპოზიციის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა ფიგურამ, ლევან გაჩეჩილაძემ გასულ კვირას საბოლოოდ დაუსვა წერტილი კითხვას, მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას.

გაჩეჩილაძის თქმით, მას არ სურდა არჩევნებში მონაწილეობით კიდევ უფრო გაეხლიჩა ოპოზიცია. თუკი ოპოზიცია მერობის კანდიდატზე, ან მაჟორიტარობის კანდიდატებზე მაინც ვერ შეთანხმდა, გაჩეჩილაძე არავის მხარდაჭერას არ აპირებს. მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილებისა,

„დაიცავი საქართველოს“ ლიდერი ამბობს, რომ ხელისუფლების შესაცვლელად ბრძოლას ნებისმიერი ფორმით გააგრძელებს. არჩევნებში მონაწილეობაზე უარის შემდეგ საპროტესტო აქციების განახლება რეალისტური სურათია, მით უმეტეს, რომ გაჩეჩილაძისთვის ოპოზიციის გაერთიანების იდეა გაკოტრებულია, არჩევნების მოგების შანსი კი – უპერსპექტივო.

„როცა შინაგან საქმეთა მინისტრი წინასწარ აცხადებს, რომ არჩევნებს მმართველი ძალა მოიგებს, ყველაფერი გარკვეულია, – თქვა გაჩეჩილაძემ „მაესტროს“ ეთერში, – ის, რაც მოხდა ყირგიზეთში, ძალიან ცუდია. თუ ჩვენს ქვეყანაშიც იგივე განმეორდა, ვფიქრობ, რომ ამაში სააკაშვილის, უგულავას და მერაბიშვილის წვლილი ძალიან დიდი იქნება. ხალხს ყელში ამოუვა სიტუაცია და გარეთ გამოვა“.

იმ პოლიტიკური ძალებისთვის, ვინც თამაშში რჩება, გაერთიანება აქტუალური აღარ არის. მათი ერთ-ერთი ჰქონდეთ, როცა უბნებში კედლის სიების გაკვრას დაიწყებენ.

ცესკო-ს მონაცემებით, საქართველოში 3 580 000 ამომრჩეველია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებთან შედარებით კი, ეს ციფრი 157 000 ამომრჩევლით ნაკლებია. როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი მონიტორინგის დაწყებამდე აცხადებდა, სიაში უზუსტობა საერთო რაოდენობის 1%-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, რაც 35 800 ამომრჩეველია. თუმცა უკვე დამუშავებულ მონაცემებში მხოლოდ ცესკო-მ 80 000-მდე ხარვეზიანი ჩანაწერი აღმოაჩინა. ამ ციფრში პარტიების მიერ აღმოჩენილი 2 000 შეცდომაცაა გათვალისწინებული. შესამოწმებელი დარჩა დოკუმენტების დიდი ნაწილი, რის შემდეგაც, სავარაუდოდ, უზუსტო ჩანაწერების რიცხვიც გაიზრდება.

პარტიებმა ცესკო-ს შემდეგი ტიპის დარღვევები წარუდგინეს: გარდაცვლილები სიაში, ბინაზე მიწერილები, საზღვარგარეთ წასულები, სიაში გამოტოვებული ამომრჩეველი, გაორებული ამომრჩეველი, განსხვავება ფაქტობრივ და რეგისტრირებულ საცხოვრებელს შორის, არარსებული მისამართები და არაზუსტი პირადი მონაცემები.

„მრეწველებმა“ წარადგინეს. მათ მხოლოდ თბილისში დაახლოებით 6000 უზუსტობა აღმოაჩინეს. 10 000-მდე უზუსტობა დააფიქსირა პარტია „საქართველოს გზამაც“.

ზურაბ ხარატიშვილის განცხადებით, სიებში უკვე გასწორდა ისეთი ხარვეზები, როგორიცაა ერთ ბინაში რეგისტრირებული 20 და მეტი ამომრჩეველი. თუმცა გამოვლინდა 3 ისეთი კორპუსი, სადაც მსგავს შემთხვევებში მოსახლეები მიწერილთა სიიდან ამოწერაზე უარს ამბობენ. ერთ შემთხვევაში, კორპუსში 70 ადამიანით მეტია ჩაწერილი, ვიდრე რეალურად იქ ცხოვრობს, ორ შემთხვევაში კი – 40-ით მეტი.

ბინაზე მიწერილთა საქმის გარკვევაზე ყურადღება USAID-ის წარმომადგენელმა ხათუნა ხვიჩიამ გაამახვილა. მან შეხვედრისას განაცხადა, რომ უნდა გაირკვეს, თუ ვინ აგებს შეცდომით მიწერილ პირებზე პასუხს. ეს საკითხი პოლიტიკურმა პარტიებმა და სხვა არასამთავრობოებმაც დასვეს.

ცესკო-სა და სიების მონიტორინგის მონაწილე სუბიექტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე საკამათო თემა საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩეველია, რომელთა დათვლა და მონაცემების დაზუსტებაც ვერ ხერხდება.

თავსატეხი საარჩევნო სიების მოწესრიგების საკითხია.

ამომრჩეველთა სიების მონიტორინგში სულ 14 პოლიტიკური სუბიექტი მონაწილეობდა. მათგან თერთმეტს ცესკო-მ 1,2 მილიონი ლარი გამოუყო. თითო პარტიას 100 000 ლარი გადასცეს. იმის გამო, რომ ირაკლი ოქრუაშვილის პარტიამ – „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ მონიტორინგზე უარი განაცხადა, მისთვის განკუთვნილი თანხა ყველას გაუნაწილეს. ფინანსური ხარჯთაღრიცხვა, ცესკო-ს ინფორმაციით, ორმა პარტიამ „ქრისტიან დემოკრატიულმა მოძრაობამ“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უკვე წარადგინა. სხვები ამის გაკეთებას უახლოეს მომავალში აპირებენ.

ცესკო-ში კი პარტიების მონაცემებს ამუშავებენ და აღმოჩენილ ხარვეზებს ასწორებენ. მათ თითქმის დასრულებული სურათი 19 აპრილისთვის უნდა

ხარატიშვილმა კი განაცხადა, რომ ამ მიმართულებით საქმის წარმოებას ცესკო სიების ჩამოყალიბების შემდეგ გეგმავს. თავის მხრივ, ცესკო-ს მიერ ჩატარებულ საქმიანობას ახალგაზრდა იურისტები გაუწევენ მონიტორინგს.

ცესკო-სა და სიების მონიტორინგის მონაწილე სუბიექტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე საკამათო თემა საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩეველია, რომელთა დათვლა და მონაცემების დაზუსტებაც ვერ ხერხდება. პრეზენტაციაზე ხარატიშვილმა განაცხადა, რომ წელს პირველი შემთხვევა იქნება, როცა კომისიას საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების სიას შინაგან საქმეთა სამინისტრო მიაწვდის.

როგორც ცესკო-ში აცხადებენ, სიებში ცვლილებების შეტანა 24 აპრილამდე უნდა დასრულდეს. სწორედ ამ დღეს მთავრდება საარჩევნო უბნებში კედლის სიების გაკვრა.

თვალსაზრისი

ჭეშმარიტების მომენტი, ანუ მოდელირებული "ქრონიკა", რობოს უანგამხედვარის წინასწარმეტყველება

2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგებზეა დამოკიდებული არა მარტო ის, თუ როგორ წარიმართება პოლიტიკური პროცესები საქართველოში, არამედ – საერთოდ ქართული სახელმწიფოს სამომავლო განვითარების პერსპექტივა.

დავით ზურაბიშვილი, რესპუბლიკური პარტია

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს ჰქონდა უნიკალური შანსი, მოეხდინა თვისობრივი გარღვევა ევროპული ტიპის დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მიმართულებით. ხელისუფლების პოპულარობისა და უპრეცედენტო საგარეო მხარდაჭერის პირობებში ამის გაკეთება არც ისე რთული იყო.

არ შევუდგები იმის განხილვას, თუ რატომ ვერ მოხერხდა ამის მიღწევა. ფაქტია, რომ დღეს საქართველომ თითქმის დაკარგა გეოპოლიტიკური ფუნქცია და რეგიონული ლიდერიდან რეგიონულ აუტსაიდერად გადაიქცა.

სამომავლო პერსპექტივის კონტექსტში მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ მდგომარეობიდან გამოსვლის რესურსი სააკაშვილის ხელისუფლებას არ გააჩნია; უფრო სწორად, თეორიულად კი აქვს, მაგრამ ეს მხოლოდ თეორიაა.

ხელისუფლებაში მოსვლის პირველი დღიდანვე სააკაშვილი მიზანმიმართულად ახდენდა ძალაუფლების კონცენტრაციას და ცენტრალიზაციას. დღეს მთელი ძალაუფლება თავმოყრილია პირადად პრეზიდენტის და მისი უახლოესი გარემოცვის ხელში. ქვეყანა ფაქტობრივად იმართება არა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების, არამედ პრეზიდენტის ქოლგის ქვეშ მყოფი ხუთკაციანი ჯგუფის მიერ. უკლებლივ ყველა პოლიტიკური გადაწყვეტილება ამ ვიწრო, არაფორმალურ წრეში მიიღება.

ამ ჯგუფის სტრატეგია ემყარებოდა ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მძლავრ მხარდაჭერას და გულისხმობდა პროამერიკული ავტორიტარული რეჟიმის ფორმირებას, რომელიც უნდა გამხდარიყო რუსეთის საწინააღმდეგო სამხედრო-პოლიტიკური ბასტიონი კავკასიის რეგიონში. ობამას მოსვლის შემდეგ ასეთი სტრატეგია სრულიად ამოვარდა საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტიდან, მაგრამ სხვა სტრატეგია სააკაშვილის ხელისუფლებას არ აქვს და არც უნდა, რომ ჰქონდეს.

ილუსტრაცია სერგო კირთაძის / გიგლინ. სახელოვნო

ძალაუფლების შენარჩუნების ჯიუტ მცდელობას მხოლოდ ერთი შედეგი შეიძლება მოჰყვეს – საქართველოს სრული დაბრუნება რუსული პოლიტიკური გავლენის სივრცეში.

ძალაუფლების განმტკიცების პროცესში ხელისუფლება საკმაოდ აგდებულად ეკიდებოდა ელემენტარულ სამართლებრივ თუ მორალურ ნორმებს. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ძალიან დიდხანს იქნებიან ხელისუფლებაში („ეს ხელისუფლება მოვიდა ძალიან დიდი ხნით“ – ჯერ კიდევ ხუთი წლის

წინ სრულიად დაუფარავად განაცხადა ამ ხელისუფლების გავლენიანმა წევრმა, გიგა ბოკერიამ ტელევიზიით), ამიტომ ბევრის უფლებას აძლევდნენ საკუთარ თავს და ნაკლებად ფიქრობდნენ ნამოქმედარის დაფარვაზე.

საბოლოო ჯამში ხელისუფლება საკუთარი შეცდომებისა და დანაშაულების მძევალი გახდა. ძალაუფლების დეცენტრალიზაცია და დეკონცენტრაცია გარდუვალს ხდის სააკაშვილისა და მისი გუნდის ხელისუფლებიდან წასვლას. ამ შემთხვევაში კი, ძალიან მაღალია იმის ალბათობა, რომ მმართველი გუნდი საბრალდებო სკამზე აღმოჩნდეს.

ხელისუფლების კიდევ ერთი პრობლემა ის არის, რომ ამ სისტემაში პრინციპულად შეუძლებელია პუტინი-მედვედევის ვარიანტის გათამაშება, ანუ სააკაშვილის დროებით უკანა პლანზე გადასვლა და მისი გარემოცვის სხვა ფიგურის წამოწევა. იმ ტიპის ლიდერი, რომელიც სახელისუფლო მემკვიდრეობას ლეგიტიმურად გადაიბარებს, პრეზიდენტის გარემოცვიდან ვერ შეირჩევა ერთი ელემენტარული მიზეზის გამო: ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, მას მოუწევს ვიღაცას მაინც დააკისროს პასუხისმგებლობა იმ დანაშაულებზე, რაც სააკაშვილის მმართველობის დროსაა ჩადენილი. ახალ ლიდერს ლეგიტიმაციისთვის დასჭირდება მსხვერპლი, ვისაც გადაბრალდება წარსულის ცოდვები. სავსებით ბუნებრივია, რომ ეს მსხვერპლი იყოს თვითონ სააკაშვილი. სხვა ვარიანტის არსებობა, ამჟამინდელი ხელისუფლების წევრის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, უბრალოდ გამორიცხულია.

რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, სააკაშვილის გადარჩენის შანსი მხოლოდ მისი გარემოცვის გარეთაა. თუკი პრეზიდენტი შეეცდება, გაურიგდეს ოპოზიციის რომელიმე წარმომადგენელს (ან, როგორც მინიმუმ იმ პირს, ვინც დღეს ხელისუფლებაში არ არის) და მასთან შეთანხმებით დაიწყოს ძალაუფლების გადაბარების პროცესი, შესაძლებელია, პირადად მან მიიღოს უსაფრთხოების გარანტიები და განტევების ვაცად მისი გარემოცვის გავლენიანი წევრები იქცნენ.

თუმცა მისი პოლიტიკური კურსი, მისი სტრატეგია და ტაქტიკა მხოლოდ ერთ რამეზე მიუთითებს: ეს კაცი შესაშური სიჯიუტით ცდილობს, დაბრუნდეს იმ მდგომარეობაში, როგორშიც იმყოფებოდა 2007 წლის ნოემბრამდე, დაბრუნდეს იქ, სადაც კვლავ იქნება მსოფლიო აღიარების მქონე მაღალრეიტინგული ლიდერი.

არადა, სააკაშვილის პოლიტიკური რეანიმაცია პრინციპულად შეუძლებელია. მისი მცდელობები, შეინარჩუნოს ძალაუფლება, უკვე წმინდა თვითმიზნურ ხასიათს ატარებს და არ ეწერება არც საერთაშორისო კონიუნქტურაში და არც საერთოდ პოლიტიკური მიზანშეწონილობის ლოგიკაში.

ძალაუფლების შენარჩუნების ჯიუტ მცდელობას კი მხოლოდ ერთი შედეგი შეიძლება მოჰყვეს – საქართველოს სრული დაბრუნება რუსული პოლიტიკური გავლენის სივრცეში, რაც აუცილებლად გულისხმობს არსებული ხელისუფლების შეცვლას რუსეთისადმი ლოიალური რეჟიმით.

ეს ვარიანტი არის სრულიად რეალური, არ ვიცი, როგორ გათამაშდება იგი: უკრაინული სცენარით, ყირგიზულით თუ კიდევ უფრო უარესით – პირდაპირი სამხედრო აგრესიის გზით, მაგრამ არასტაბილურ, გაუწონასწორებელ ლიდერს, რომელიც გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში მუდმივი თავის ტკივილია ყველასთვის, დიდხანს არავინ მოითმენს, და მისი გულისთვის არც მესამე მსოფლიო ომს არავინ დაიწყებს.

სწორედ ამიტომაა თვითმმართველობის არჩევნები თბილისში ჭეშმარიტების მომენტის ტოლფასი. ზომიერი, პროდასავლური ძალის გამარჯვების შემთხვევაში, ჯერ კიდევ რჩება რეალური შანსი, რათა სააკაშვილის ხელისუფლების ეტაპობრივი შეცვლა დაიწყოს. ამ შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანია თავად ხელისუფლების მარცხის დაფიქსირების პრეცედენტი – ხელისუფლების მონოლითურობა მთლიანად იმაზე დგას, რომ ამ ხალხს აბსოლუტურად ყველაფერი გასდის, და როგორც ერთხელ პრეზიდენტმა თავად განაცხადა, რასაც გადაწყვეტენ, სისულელეც რომ იყოს, ბოლომდე მიიყვანენ.

პროდასავლური ოპოზიციის გამარჯვება იქნებოდა მკაფიო გზავნილი ქვეყნის გარეთაც: საქართველოში არსებობს სააკაშვილის გუნდის შემცვლელი პოლიტიკური რესურსი, რომელიც ქვეყნის ევრო-ატლანტურ ორიენტაციას არ შეცვლის ჩრდილოეთზე სწორებით, რაც გეომეტრიული პროგრესიით გაზრდიდა ხელისუფლებაზე ზეწოლას დასავლეთის მხრიდან.

შიდა და გარე ზეწოლის ქვეშ მოქცეული სააკაშვილი უბრალოდ იძულებული იქნება სერიოზულ დათმობებზე წავიდეს და ფაქტობრივად დათანხმდეს ხელისუფლების გადაბარების პროცესის დაწყებას. სხვანაირად ის ვერ მოიქცევა, რადგან დასავლეთის წინააღმდეგ წასვლა ნიშნავს რუსეთის პირისპირ მარტო დარჩენას, აქედან გამომდინარე შედეგებით.

იმ შემთხვევაშიც კი, თუკი არჩევნებში იმარჯვებს ხელისუფლება, გიგი უგულავა ხდება ქალაქის არჩეული მერი, მაგრამ საკრებულოში პროდასავლური ოპოზიცია სოლიდურადაა წარმოდგენილი, პოლიტიკური პროცესების განვითარება იგივე სცენარით მოხდება, ოღონდ ნაკლებად ფორსირებულად. სააკაშვილს მაინც მოუწევს ძალაუფლების წილის დათმობა, რადგან რეალური პროდასავლური ალტერნატივა ქართულ პოლიტიკაში უკვე რეალური ფაქტორი ხდება.

ერთადერთი ვარიანტი, რაც ხელისუფლებას შეუნარჩენებს დღევანდელ სტატუს-კვოს, არის დიდი უპირატესობით გამარჯვება, თან იმ შემთხვევაში, თუკი საერთაშორისო დამკვირვებლები აღიარებენ, რომ ეს არჩევნები წინგადადგმული ნაბიჯი იყო წინასთან შედარებით. ეს ძალიან ძნელი ამოცანაა არსებული განწყობების გათვალისწინებით. ამგვარი ვარიანტის უზრუნველყოფა ხელისუფლებამ რომც მოახერხოს, ეს ფაქტობრივად მოკლავს პროდასავლურ დისკურსს საქართველოში და ოპოზიციურ ფლანგზე უკიდურესად გაძლიერებს პრორუსული ორიენტაციის გაერთიანებებს. სააკაშვილის გაკოტრებული ხელისუფლება ამით დასავლეთის თვალშიც ბევრს ვერაფერს მოიგებს და სტაბილურობას ვერ უზრუნველყოფს.

ამ სიტუაციაში ძალიან რეალური ხდება მოდელირებული „ქრონიკის“ მსგავსი სცენარი, რომელიც ნამდვილად შეიძლება გამოდგეს უკანგამხედვარი ხელისუფლების საბედისწერო წინასწარმეტყველება.

დისკუსია საქართველო-რუსეთის ომზე

საქართველოს საშინაო დავალება

„საქართველო რუსეთთან ომში დამარცხდა“! – შეთანხმდნენ ჰაინრიხ ბიოლის ფონდში გამართული დისკუსიის მონაწილეები. გერმანულ ფონდში გამართულ საჯარო დებატებზე რუსეთ-საქართველოს ომსა და მის შედეგებზე იმსჯელეს.

ნინო რობაქიძე

დისკუსია ბიოლის ფონდში, 15 აპრილი 2010

ფოტო: ლევან ხერგელიძე

მარშალის ფონდის ტრანსატლანტიკური ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის, რონალდ ასმუსის წიგნი – „პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო“ შეხვედრის მთავარი თემა უნდა ყოფილიყო, თუმცა სტუმართა უმრავლესობას ეს წიგნი წაკითხული არ ჰქონდა, ამიტომ შეხვედრა წიგნის წარდგენას უფრო ჰგავდა, ვიდრე მის განხილვას.

ეს წიგნი გამოსვლის დღიდან ქართული მედიისთვის მთავარ ახალი ამბად იქცა. ტელეკომპანია „იმედმა“ მას „სპეციალური რეპორტაჟი“ და წიგნის მონაკვეთების მიხედვით მომზადებული ინსცენირებული სიუჟეტებიც მიუძღვნა. რონალდ ასმუსის მიერ უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული წერილების გაშუქება ქართულმა ნაციონალურმა მაუწყებლებმა ტალიავინის კომისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ დაიწყეს. ოქტომბერში რონალდ ასმუსი The New Republic-ის ფურცლებიდან ევროპას უმოქმედობისთვის აკრიტიკებდა და სვამდა კითხვას – რა გაკვეთილი მიიღო ამ ომით ევროპამ და რამდენად მზადაა იგი, ახალი ომის პრევენციისთვის საქართველოში?

სწორედ ამ საკითხით დაიწყო ასმუსმა საუბარი ბიოლის ფონდშიც და აღნიშნა, რომ მისი წიგნის მთავარი მიზანი ამ პატარა ომის ირგვლივ დებატების გაცოცხლება იყო. „ალბათ 90-იან წლებში დასავლეთი ბევრად ძლიერი იყო. შემდგომში მისი კონსენსუსი გაიხლიჩა.

„რას იზამდა ევროპა მაშინ, თუ საქართველოს დემოკრატიას მართლაც წუნი არ ექნებოდა?“ – ეს ჰაინრიხ ბიოლის ფონდში გამართულ დისკუსიაზე მთავარი კითხვა იყო.

ჩემი სურვილია, დასავლეთმა დაინახოს საკუთარი პრობლემები და სწორად შეაფასოს, თუ რას ნიშნავდა რუსეთის მიერ საქართველოს საზღვრის

ლიბერალი

გამოიწერეთ ჟურნალი ლიბერალი

ბეჭდური ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
22 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
45 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
90 ლარი

PDF ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
13 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
25 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
50 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად
დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
23 37 31, (899) 48 62 41
ან მოგვაწოდეთ თქვენი
საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტით: info@liberali.ge

დარღვევა არა მარტო ამ პატარა ქვეყნისთვის. ეს იყო მცდელობა ხელახლა დაწერილიყო საერთაშორისო თამაშის წესები“, – განაცხადა რონალდ ასმუსმა დისკუსიის დროს და განმარტა, რომ უფრო დიდი ევროპა უფრო ადვილად შეძლებს თავის პრობლემების მოგვარებას და ამიტომ საქართველოს მისმა პრობლემებმა ხელი არ უნდა შეუშალოს ნატო-სკენ მოძრაობაში.

„ამ წიგნში რამდენჯერმე შემხვდა გზავნილი, რომ ყველამ უნდა ჩაიხედოს სარკეში და, რა თქმა უნდა, მე ამას ვეთანხმები, მაგრამ ვიდრე ევროპისკენ ხელს გავიშვერდეთ, ხომ არ ჯობს საქართველოს შეცდომებზე ვისაუბროთ?! ვთვლი, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა მეგობარმა პირველ რიგში სწორედ შეცდომებზე უნდა მიგვითითოს, რათა გავხდეთ ისეთი ქვეყანა, რომელსაც ვერ ეტყოდნენ ბუქარესტში უარს MAP-ის მიღებაზე“, – განაცხადა საერთაშორისო სამართლის ექსპერტმა თინათინ ხიდაშელმა და განმარტა, რომ ასმუსის წიგნში ძალიან ზედაპირულადაა განხილული ქართული სახელმწიფოს საშინაო პრობლემები – „ნაწილობრივი სიმართლე არ უწყობს ხელს ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებას. იქნებ სწორედ იმიტომ არ იდგა დასავლეთი მოწოდების სიმაღლეზე, რომ რუსეთის და საქართველოს სახით ერთმანეთს ორი პრინციპულად ერთნაირი რეჟიმი ებრძოდა და ამ ბრძოლაში, უბრალოდ, ძლიერმა მოიგო“.

თუმცა, რონალდ ასმუსის აზრით, ამ ომში დამარცხდა არა მარტო საქართველო, არამედ ევროპაც, რადგან რუსეთმა დაარღვია ცივი ომის შემდგომი ევროპის უსაფრთხოების უმთავრესი პრინციპი, რომ საზღვრები ევროპაში ძალის გამოყენებით აღარასდროს შეიცვლებოდა.

„რას იზამდა ევროპა მაშინ, თუ საქართველოს დემოკრატიას მართლაც წუნი არ ექნებოდა?“ – ეს კითხვა დისკუსიაზე ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს დირექტორმა ირის კემპემ დასვა. მისივე განმარტებით, ეს იყო რუსეთის დაპირისპირება დასავლეთთან, რომელიც საქართველოში სუსტად იყო წარმოდგენილი და სწორედ ეს გახდა როგორც საქართველოს, ისე დასავლეთის მარცხის მიზეზი.

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის ექსპერტის გია ნოდიას განცხადებით, ეს ომი ჯერ არ დასრულებულა, რადგან არ შეცვლილა Casus belli ანუ ომის დაწყების ფორმალური მიზეზი და საქართველო, მართალია, დღეს უფრო შორს არის ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისგან, მაგრამ მაინც დასავლეთისკენ აქვს გეზი: „ჩვენ უკან დავიხიეთ, ჩვენ ომი არ მოგვიგია. ჩვენ დავკარგეთ ილუზია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის პრობლემების გადაწყვეტა ახლო მომავალში შეიძლება. მაგრამ ჩვენ არ უნდა მივეცეთ თვითგვემას – თითქოს ყველაფერი მხოლოდ ჩვენი ბრალია. რუსეთი ორიენტირებულია მოწინააღმდეგის, ანუ ჩვენს სისუსტეზე. ამიტომ ჩვენი ბრძოლის ველია, დავრჩეთ დემოკრატიულ სახელმწიფოდ და, შეიძლება ბევრი დასცინის ბუშს ამ სიტყვებისთვის, მაგრამ უნდა შევეცადოთ და გავამართლოთ სახელი „დემოკრატიის შუქურა“, – განაცხადა გია ნოდიამ.

დისკუსიის ბოლოს შემაჯამებელი სიტყვით რონალდ ასმუსმა საქართველოს პოლიტიკურ მომავალზეც ისაუბრა, თუმცა მისი პროგნოზები არცთუ ისე დამაიმედებლად ჟღერდა: „დღეს საქართველო არ არის პოლიტიკის ცენტრში. უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში თქვენს დღის წესრიგში სწორი ორიენტირების შენარჩუნება დგას. ამ დროში ამერიკის ახალი ადმინისტრაციის პოზიციებიც უფრო ნათელი გახდება და მათი მოქმედებაც უფრო ადეკვატური“.

რონალდ ასმუსის ამ პროგნოზის შემდეგ კიდევ უფრო საინტერესო ხდება – რა დაანახა ამ პატარა ომმა დასავლეთს? რონალდ ასმუსის თქმით, სწორედ ამ ომის მნიშვნელობის წარმოჩენაა მისი წიგნის მთავარი მიზანი. „ინტერნეიშნლ ჰერალდ ტრიბუნის“ მიმომხილველი ჯონ ვინოკური წერდა, – „ეს არის რუსეთის საქართველოში შეჭრის შესახებ კარგი ახალი წიგნი, რომლისთვისაც შეგვეძლო დაგვერქმია „პატარა ომი, რომელსაც შეეძლო, მაგრამ ვერ შეძრა მსოფლიო“. ივლისში კი გამოიცემა უკვე წიგნის ქართული თარგმანი, რომელიც საქართველოში აგვისტოს ომზე საჯარო დისკუსიის დაწყებას კიდევ ერთხელ მისცემს სტარტს.

თვალსაზრისი

კონფლიქტისფა ქართული მხარე

ტალიავინის დასკვნა ნაკლებ მიზეზს გვაძლევს, ვამტკიცოთ ქართული მხარის ბრალეულობა ძალის გამოყენების ნორმათა დარღვევაში.

ვახტანგ ჯანეზაშვილი, ერასმუსის უნივერსიტეტი, როტერდამი

ფოტო იუსტინა მელნიკოვიჩი

რუსი სამხედროები და ქართველი პოლიციელები გორის მისადგომებთან, აგვისტო 2008

დღეს მსოფლიო საინფორმაციო საგენტოები, სიმოკლის მიზნით, ერთ წინადადებაში ატევენ აგვისტოს კონფლიქტის არსს: რუსეთმა შეაჩერა საქართველოს თავდასხმა სამხრეთ ოსეთზე. თავისთავად ეს დიპლომატიურ და უწყინარ ფრაზად მოჩანს. მისი უკეთესი მხარე კი ისაა, რომ მას არ აქვს პრეტენზია სამართლებრივად კორექტული ტერმინების გამოყენებაზე.

ევროკავშირმა 2008 წლის 2 დეკემბერს შექმნა „დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების შემსწავლელი მისია საქართველოში კონფლიქტზე". მისიის მანდატს წარმოადგენდა კონფლიქტის წარმოშობისა და მიმდინარეობის ფაქტობრივი მხარის გამოძიება. დასკვნის შესავალ ნაწილში ხაზგასმით ნათქვამია, რომ მისია მოწოდებული იყო, შეესწავლა ფაქტები და სამართლებრივი შეფასების კომპეტენცია მას არ ჰქონდა. თუმცა, ეს დასკვნა მსოფლიო პრესაში პოპულარული უმთავრესად მისი იმ ნაწილის გამო გახდა, სადაც მისია საერთაშორისო სამართალში ძალის გამოყენების ნორმებს სამართლებრივ შეფასებას აძლევს.

საერთაშორისო სამართლის ექსპერტებმა არაერთი სტატია გამოაქვეყნეს ტალიავინის დასკვნის იურიდიული შეფასებების უზუსტობებზე. მაგალითად, გაერო-ს ქარტიის 2.4-ე მუხლი ეხება ძალის გამოყენების აკრძალვას სახელმწიფოთა შორის. ტალიავინის დასკვნის „მიგნებად" უნდა ჩაითვალოს ამ მუხლის გავრცელება სამხრეთ ოსეთზე, რომელიც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი არ არის. თუ გავითვალისწინებთ მსგავს არაერთ საკამათო შეჯამებას, მისიის დასკვნა ჩვენთვის მნიშვნელოვანად რჩება კვლავაც მისი ერთადერთი მანდატიდან გამომდინარე – კონფლიქტის ფაქტობრივი მხარის გარკვევა.

ძალის გამოყენება

საკამათოდ რჩება, მართლაც ვის ჰქონდა ძალის გამოყენების უფლება და ვის – არა.

გაერო-ს ქარტიის 2.4-ე მუხლის მიხედვით, ძალის გამოყენება იკრძალება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. 2008 წლის აგვისტოში გაერო-ს ყველა წევრი სახელმწიფო სამხრეთ ოსეთს საქართველოს ნაწილად აღიარებდა. საქართველოს სამხედრო მოქმედებები სამხრეთ ოსეთში არ წარმოადგენდა რუსეთის წინააღმდეგ ქარტიის 2.4-ე მუხლის დარღვევას.

საკამათოდ რჩება, მართლაც ვის ჰქონდა ძალის გამოყენების უფლება და ვის – არა. 2008 წლის აგვისტოში გაერო-ს ყველა წევრი სახელმწიფო სამხრეთ ოსეთს საქართველოს ნაწილად აღიარებდა.

ტალიავინის დასკვნის ფაქტობრივი ინფორმაციით (Volume I, აბზაცი 16) მისია ადასტურებს, რომ დაქირავებულთა და მოხალისეთა შემოსვლა როკის გვირაბით აგვისტოს დასაწყისში დაიწყო და ასევე ამ დროისთვის რეგიონში უკვე იყო „მცირედი რუსული ჯარი“ („some Russian forces“, Volume I, აბზაცი16), რომელიც არ წარმოადგენდა სამშვიდობო ჯარს. ეს ფაქტი უკვე წარმოადგენს გაერო-ს ქარტიის 2.4-ე მუხლის დარღვევას რუსეთის მიერ და უტოვებს საქართველოს თავდაცვის განუსხვისებელ უფლებას (გაერო-ს ქარტია, მუხლი 51).

სამშვიდოობო ხელშეკრულებები

ძალის გამოყენების აკრძალვაზე, საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმის გარდა, საგულისხმოა, დაირღვა თუ არა საქართველოს ან რუსეთის მხრიდან იმ დროისთვის არსებული სამშვიდობო ხელშეკრულებები. რუსული სამშვიდობო ძალები საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ ორი საერთაშორისო სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველზე: 1992 წლის ე.წ. სოჭის შეთანხმება, რომელიც სამხრეთი ოსეთის კონფლიქტის მოგვარებას ეხება და 994 წლის ე.წ. მოსკოვის შეთანხმება, რომელიც დსთ-ს მანდატით აფხაზეთში სამშვიდობოებს აგზავნიდა. სხვა სამხედრო ძალის შეყვანა კონფლიქტის ზონებში, რომელიც ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სამხედრო ძალებს არ წარმოადგენს, დასაშვებია მხოლოდ საქართველოს თანხმობით.

სოჭის შეთანხმება, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაა, ერთ-ერთი მხარის მიერ მისი დარღვევის შემთხვევაში, ითვალისწინებს „შერეული საკონტროლო კომისიის“ მიერ გამოძიების ჩატარებას და სხვა ზომების მიღებას მშვიდობის აღსადგენად. იგივე ხელშეკრულება პრეამბულაში განამტკიცებს გაერო-ს ქარტიის მნიშვნელობას კონფლიქტის მოგვარებაში.

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთს უკვე ჰყავდა რეგიონში დამატებითი ჯარი შეყვანილი, გარდა სამშვიდობო ნაწილებისა. შერეული საკონტროლო კომისია უძლური აღმოჩნდა, შეეჩერებინა სამშვიდობო ხელშეკრულების ეს საშიში დარღვევა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოჭის ხელშეკრულებით არ შეუცვლია არც გაერო-ს ქარტიის ძალის გამოყენების ნორმების მოქმედება რეგიონში, და არც სამხრეთი ოსეთი უღიარებია ცალკე ერთეულად მისი სუვერენიტეტის გარეთ.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო უკვე იყო კანონიერი ძალის გამოყენების მდგომარეობაში რუსეთის სრულმასშტაბიან შემოჭრამდე 2008 წლის 8 აგვისტოს.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ჩავთვალოთ, რომ საქართველომ უკანონოდ დაიწყო ცხინვალზე იერიში. საინტერესოა, ჰქონდა თუ არა რუსეთს ამ შემთხვევაშიც კი შემოჭრის უფლება.

მოქალაქეთა დაცვა

რუსეთის მიერ მოქალაქეთა დაცვის მიზნით ძალის გამოყენება არ შეესაბამება გაერო-ს ქარტიის 2.4-ე მუხლს. გაერო-ს შექმნის შემდეგ ეს არგუმენტი არ ხვდება ძალის გამოყენების გამართლებათა შორის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო თანამეგობრობამ მრავალჯერ დაგმო ამ მიზეზით ძალის გამოყენების გამართლება, და მიუთითა, რომ მოქალაქეთა დაცვა შესაძლებელია მხოლოდ დიპლომატიური და საკონსულო საშუალებებით – მოლაპარაკებების ან საერთაშორისო სასამართლოების გზით.

რუსეთს შეეძლო მოეხდინა თავისი მოქალაქეების ევაკუაცია, მათ შორის – თავისი სამშვიდობო ჯარის. რუსეთის უკანონო ნაწილები ლეგიტიმურ სამიზნეს წარმოადგენდა ქართული ჯარისთვის. მათთან ერთად ან სიახლოვეს მყოფი სამშვიდობოების დაღუპვა მხოლოდ ჰუმანიტარული სამართლის ნორმების შესაბამისად შეიძლება შეფასდეს, რასაც კავშირი არ აქვს ძალის გამოყენების სამართალთან.

ასევე, ტალიავინის დასკვნა ამბობს, რომ ორივე რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა, რომლებმაც რუსული მოქალაქეობა „პასპორტიზაციის“ (Volume I, აბზაცი 12) გზით შეიძინეს, საქართველოს მოქალაქეებად რჩებიან. თუმცა, შეთანხმებისამებრ, შეგვიძლია უარი ვთქვათ დასკვნის ამ არგუმენტზე, როგორც სამართლებრივ შეფასებაზე.

გენოციდი და ჰუმანიტარული ინტერვენცია

რუსეთმა საქართველოს შემოჭრის ერთ-ერთ გამართლებად მიმდინარე გენოციდის დანაშაული დაასახელა. რუსეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ 7 აგვისტოს შემდეგ ქართველმა სამხედროებმა 2000 ადამიანი მოკლეს. რუსეთის ხელისუფლებამ ეს ციფრი შემდგომში 162 ადამიანამდე შეამცირა (Volume I, აბზაცი 27).

მნიშვნელოვანია, რომ გენოციდის დანაშაულის შემადგენლობის უმთავრესი ელემენტია – კონკრეტული რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა ჯგუფის სრული ან ნაწილობრივი განადგურების განზრახვა. თუ კვლავაც ტალიავინის დასკვნის მხოლოდ ფაქტობრივ მხარეს ვენდობით, გენოციდის განზრახვა ქართული ჯარის მხრიდან არ დადასტურდა არანაირი შესაძლო გზით (Volume I, აბზაცი 27).

მეორე მიზეზი, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის კონტექსტში, იყო ჰუმანიტარული ინტერვენციის უფლება.

რუსეთის ხელისუფლება, ჰუმანიტარული ინტერვენციის მოტივით, კოსოვოში ნატო-ს ჯარის შეჭრის დროს იმ სახელმწიფოთა გვერდით დადგა, რომლებმაც უარყვეს ასეთი უფლების არსებობა. რადგან გაერო-ს წევრ ქვეყანათა უმრავლესობამ უარი თქვა ჰუმანიტარული ინტერვენციის უფლების აღიარებაზე, ეს უფლება ვერ ჩამოყალიბდა საერთაშორისო ჩვეულებით სამართლად და არ წარმოადგენს სამართლებრივი ძალის მქონე ნორმას. შესაბამისად, რუსეთმა აგვისტოს ომი გაამართლა მის მიერვე დაგმობილი არარსებული უფლებით.

ტალიავინის დასკვნა ნაკლებ მიზეზს გვაძლევს, ვამტკიცოთ ქართული მხარის ბრალეულობა ძალის გამოყენების ნორმათა დარღვევაში. საინტერესოა, რომ სწორედ ეს ასპექტი გახდა, და არა კონფლიქტის ორივე მხარის მიერ ომის წარმოების სამართლის (საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი) დარღვევა, იმ არგუმენტების მთავარი წყარო, რომლებითაც საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებენ მსოფლიო პრესასა თუ პოლიტიკურ დისკუსიებში.

თვალსაზრისი

მიშას მსოფლიო თამაშები

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებს წარმოადგენს.

მარტინ ნოგტონი, მკვლევარი და ანალიტიკოსი

პრეზიდენტმა სააკაშვილმა ახლახან ამერიკის ნაციონალურ რადიოს მისცა ინტერვიუ, რომელშიც აღნიშნა, რომ „ფარისევლობასა და დემაგოგიას აქ, ამ რეგიონში ხანგრძლივი წარსული აქვს“. „რეგიონში“, სავარაუდოდ, პოსტსაბჭოთა სივრცეს გულისხმობდა.

განა ირონია არ არის, რომ იმავე ინტერვიუში იგი საუბრობდა ისეთ საკითხებზე, რომელშიც გაუთვითცნობიერებელი ამერიკული პუბლიკა ძნელად თუ გაარკვევდა, ტყუილსა და მართალს თუ არა, სულ მცირე, ფარისევლობას მაინც?

„ეს ყველაფერი რეკლამების მოზიდვის მიზნით მოხდა“, – განაცხადა პრეზიდენტმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ „იმედის“ მოდელირებული „ქრონიკის“ გაშვებას წმინდა კომერციული მიზეზი ჰქონდა. ამერიკელი მსმენელისთვის, რომელიც მიჩვეულია მედიასაშუალებებს შორის არჩევანს და მედიის სფეროში გაჯერებულ კომერციალიზაციას, ეს, რა თქმა უნდა, დამაჯერებლად ჟღერდა. არადა, თუ გავითვალისწინებთ იმ მაღალ ალბათობას, რომ საქართველოს მთავარი სატელევიზიო არხები პოლიტიკურად კონტროლდება (მფლობელობა მკაცრად გასაიდუმლოებულია, და გადასახადებისგან თავისუფალ ბუნდოვანებასა და ბურუსშია გახვეული), კომერციული მიზნებით მოტივირებულობა ძნელად დასაჯერებელია. საქართველოს მედიის კომერციულ მოგებაზე, რეიტინგებითა და რეკლამებით მიღებულ შემოსავალზე ორიენტირებულ, პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალ სივრცედ წარმოდგენას ტყუილის სუნი ასდის. ძირითადად პროსამთავრობო მედიის 36-მილიონიანი ვალისგან გათავისუფლების გადაწყვეტილება, ისევე როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის აღიარება, რომ მედიას სახელმწიფო მხარდაჭერა აქვს (თუმცა კვლავ საიდუმლოებით მოცული), სწორედ ამ ტყუილს აშიშვლებს.

როდესაც სააკაშვილს ჰკითხეს, იცოდა თუ არა მოდელირებული შოუს შესახებ, მან უპასუხა, რომ „ეს ყველამ იცოდა, რადგან ამის შესახებ მთელი კვირის განმავლობაში გადიოდა რეკლამები“, ვიდრე თავად გადაცემას გაუშვებდნენ ეთერში. ეს სიმართლეს არ შეესაბამება, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით, რომ რეკლამირება ნიშნავს ტელევიზიის პროდიუსერებსა და პოლიტიკოსებს შორის რამდენიმე იმეილის გაცვლა-გამოცვლას, და ყველა დანარჩენი მოქალაქის ინფორმაციულ ვაკუუმში დატოვებას.

შემდეგ ბატონმა სააკაშვილმა წარმოადგინა საგარეო პოლიტიკის რაციონალური და რეალისტური ხედვა. რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე მან თქვა, რომ ეს არ არის „თამაში, რომელიც დამთავრდა ფრედ: ნულით-ნული“. ქართულ საზოგადოებას კი პრეზიდენტი, როგორც წესი, მოვლენების სულ სხვა ხედვას სთავაზობს. ქვეყნის შიგნით სააკაშვილი რუსეთთან კონფლიქტს დავითისა და გოლიათის სტილში წარმოადგენს. მისი ამ ვერსიის მიხედვით, პატარა, მამაცი საქართველო სიკეთეა, რომელიც პუტინისტურ ბოროტებას ებრძვის. ბატონი სააკაშვილის ამ საშინაო რიტორიკაში კომპრომისისთვის ადგილი არ რჩება. და რადგან პუტინი სააკაშვილს კვერცხებით დაკიდებით ემუქრება, საქართველოს პრეზიდენტის ასეთი პოზიცია გასაკვირი არც არის. ამის მიუხედავად, ეს არ არის ის შეხედულება, რომელსაც იგი შეერთებულ შტატებში წარმოადგენს.

და, რა თქმა უნდა, პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ მოდელირებული შოუ პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ არ იყო მიმართული: „ადამიანები, რომლებიც მოდელირებულ შოუში მოხვდნენ, არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ“. არადა, ისინი არჩევნებში მონაწილეობას იღებენ.

იმ შვიდი პოლიტიკოსიდან, რომლებიც ტელეგადაცემამ მოდელირებული რუსული აგრესიის ძალებთან თანამშრომლობაში დაადანაშაულა, ოთხი მომავალი მუნიციპალური არჩევნების კანდიდატია. ამერიკული რადიოს მსმენელმა ამის შესახებ არაფერი იცის, და საქართველში არსებულ რეალურ სიტუაციას ცუდად იცნობს, ამიტომ, სააკაშვილის სიტყვებსაც ადვილად დაიჯერებდნენ.

ვებსტერის ლექსიკონი „დემაგოგიას“ განმარტავს – როგორც „სიმართლის დამალვას ან არასწორ ინტერპრეტაციას“. ვიკიპედიის მიხედვით კი, საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მოსვლა არის „ორი ურთიერთგამომრიცხავი აზრის სიმართლედ მიღება“. ერთადერთი, რაც პრეზიდენტ სააკაშვილის ინტერვიუმ გამოამჟღავნა, სწორედ ის არის, რომ ეს ორი რამ ჯერ კიდევ აქტუალური და ცოცხალია. ისტორია გრძელდება.

სიძულვილის ენა

შიშის, მბრისა და სხვისების შესახებ

„როდესაც მცდარი მოსაზრების გამოხატვა იკრძალება, საზოგადოება კარგავს ყველაზე მნიშვნელოვან სარგებელს – სიმართლის მკაფიო აღქმას, რაც (სიმართლის) შეცდომასთან შეჯახებით წარმოიშვება“.[1]

ვახუშტი მენაბდე

ევროპასა და ამერიკაში სიძულვილის ენასთან ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული მიდგომა არსებობს. თავის სტატიაში „სიძულვილის ენა უნდა ისჯებოდეს“ გიორგი ცხადაიამ ამ საკითხისადმი საკუთარი დამოკიდებულება აღწერა, რომელიც სათაურის იდენტურია. სიტყვა „სასჯელი“ და სტატიის სულისკვეთება მკითხველს აფიქრებინებს, რომ ავტორი სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მომხრეა.

გიორგი ცხადაია სტატიის პირველივე აბზაცში ორ თეზისს გვთავაზობს, რომელზეც შემდეგ მთელი ტექსტის კონცეფციას აგებს. პირველი: „საქართველოს კანონმდებლობა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულის კონცეფციას არ იცნობს“ და მეორე: „საქართველოში სიძულვილის ენა არ ისჯება“. მეორე თეზისი სრული სიმართლეა.

რაც შეეხება პირველს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის დროს სიძულვილის მოტივი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა (მაგ: 109-ე მუხლი,117-ე, 126-ე, 258-ე და ა.შ.). კოდექსი ასევე ითვალისწინებს სპეციალურ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო იდევნება (მუხლი: 156-ე). რა თქმა უნდა, კოდექსს გარკვეული ხარვეზები აქვს, მაგრამ იმის თქმა, რომ „საქართველოს კანონმდებლობა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულის კონცეფციას არ იცნობს“, მცდარია.

ყველა ის საფრთხე, რაზეც გიორგი ცხადაია თავის სტატიაში მიუთითებს, რეალურია. ეს სადავო არ არის. თუმცა, საკამათოა გზა, რომელსაც იგი პრობლემების გადასაჭრელად გვთავაზობს. მისი აზრით, იმისთვის, რომ ლიბერალური დემოკრატია დავიცვათ იმ საფრთხეებისგან, რომელიც, შესაძლოა, გამოხატვის თავისუფლებამ წარმოშვას, გამოხატვა უნდა ჩავახშოთ.

გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა ლიბერალური დემოკრატიისთვის ნათელია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ადამიანის უფლებები ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგანპირობებულია, მარტივ დასკვნასაც გამოვიტანთ: ნებისმიერი უფლების არაპროპორციული შეზღუდვა სხვა უფლებების ეფექტურობაზე ახდენს გავლენას. ეს გავლენა ორმაგია – ერთი მხრივ, იგი იმ კონკრეტულ პირს მიემართება, ვისი უფლებაც შეილახა, ხოლო მეორე მხრივ – მთელ საზოგადოებას. ჩვენ ყველას ერთმანეთთან

უფლებები გვაკავშირებს და თითოეული ჩვენგანის უფლების შეზღუდვა სხვის უფლებებზეც ახდენს გავლენას. იმისთვის, რომ ეს ყველაფერი თავიდან ავიცილოთ, აქცენტი კონკურენციაზე უნდა გადავიტანოთ, რომელიც თავად დაამკვიდრებს ბალანსს „მართალ“ და „მცდარ“ აზრებს შორის. ამას „იდეათა თავისუფალი ბაზრის თეორიას“ უწოდებენ.

ამ მოსაზრებას ფესვები შორეულ წარსულში აქვს. მე-17 საუკუნეში ჯონ მილტონმა ინგლისის პარლამენტში წაიკითხა თავისი ცნობილი სიტყვა, „არეოპაგიტიკა“, სადაც ამბობდა, რომ სიმართლეს იდეების შეუზღუდავი მოძრაობა წარმოშობს. მოგვიანებით, მეოცე საუკუნის დასაწყისში კი ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსამართლე ოლივერ ვენდალ ჰოლმსმა საქმეზე, „აბრამსი შეერთებული შტატების წინააღმდეგ“, განავრცო ეს იდეა და განაცხადა, რომ სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც მიზნად ისახავს შეაფერხოს იდეების თავისუფალი მოძრაობა, დაუშვებელია (ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო ამ მიდგომას იყენებს).

ამავე მიდგომის შესაბამისად, ჩამოყალიბდა „მყისიერი საფრთხის“ დოქტრინა, რომლის მიხედვითაც, გამოხატვა მხოლოდ მაშინ უნდა იყოს დასჯადი, როდესაც სახეზეა ზიანის მიყენების ნათელი და მყისიერი საფრთხე. ამ მიდგომის მიხედვით, გამოხატვის შინაარსის რეგულირება კი არ ხდება, არამედ იმის

■ თანამედროვე მედიის რეგულირება შეუძლებელია და გამოხატვის მართვა უტოპიაა. „ცუდი იდეების“ ჩასახშობად ეს უბრალოდ გამოუსადეგარი ხერხია.

გარკვევა, რამდენად გამოიწვევს იგი რეალურ, მყისიერ და ადამიანის უფლებების შემლახავ შედეგებს. გამოხატვის თავისუფლება მხოლოდ მაშინ შეიძლება დაისაჯოს, თუ ის გადააბიჯებს ზღვარს გამოხატვასა და ძალადობას შორის.

სიძულვილის ენის კრიმინალიზაციის საწინააღმდეგო, იდეათა თავისუფალი ბაზრის კონცეფცია იმ არგუმენტს კი არ ემყარება, რომ სიტყვის თავისუფლებას ზიანი არ მოაქვს, არამედ იმას, რომ ლიბერალური დემოკრატიისთვის გამოხატვის თავისუფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ადამიანის უფლებების დაცვა, რაც სახელმწიფოს ვალდებულებაა, ცხადია, რომ შეზღუდვის გარეშეც არის შესაძლებელი.

თანამედროვე მედიის რეგულირება შეუძლებელია და გამოხატვის მართვა უტოპიაა. „ცუდი იდეების“ ჩასახშობად ეს უბრალოდ გამოუსადეგარი ხერხია. ცვლილებებმა კომუნიკაციების ინდუსტრიაში იდეათა ბაზრის მოწინააღმდეგეთა არგუმენტები დაანგრია.

გზა, რომელსაც გიორგი ცხადაია გვთავაზობს, გამოხატვის თავისუფლების დათრგუნვაზე გადის. იგი აღიარებს, რომ ადამიანის უფლებებს არ შეუძლია იყოს თვითკმარი და საკუთარი ტყავის გადასარჩენად უნდა მიმართოს ისეთ ქმედებებს, რომელიც მისსავე კონცეფციას ეწინააღმდეგება. ამგვარი პოზიცია იმის უარყოფაა, რასაც ადამიანის უფლებებისადმი რწმენას ვუწოდებთ, რაც ჩვენი კონსტიტუციის საფუძველია და რაც ჭეშმარიტებად მიგვაჩნია; სიმართლედ, რომელიც იდეათა ბაზარზე თავისუფალ კონკურენციაში ყოველთვის გაიმარჯვებს. მთავარი არგუმენტი მაინც ის არის, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გზა ადამიანის უფლებების კონცეფციის უუნარობის აღიარებაზე გადის.

ადამიანის უფლებების სწავლებისას ერთი სავარჯიშო-თამაში გამოიყენება. თამაშის წესების მიხედვით, აუდიტორია რამდენიმე მცირე ჯგუფად იყოფა. თითოეულ ჯგუფს ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში მოცემული უფლებების სრული პაკეტი ურიგდება და მათ ამ უფლებებით სარგებლობა შეუძლიათ. თამაშის პირველ ეტაპზე ტრენერები ჯგუფებს სთხოვენ, დათმონ უფლებების ის ნაწილი, რომელსაც სხვებთან შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვნად თვლიან, სამაგიეროდ, მშვიდობას ჰპირდებიან. მას შემდეგ, რაც ჯგუფები დისკუსიის შემდეგ უფლებებს დათმობენ, ტრენერები ახალ ულტიმატუმს წამოაყენებენ და დარჩენილი უფლებებიდან კვლავ სთხოვენ ნაწილის დათმობას. ასე გრძელდება, ვიდრე თითოეულ ჯგუფს ერთი უფლება არ დარჩება. ეს უფლება უკანასკნელი ბერკეტია მათ წინააღმდეგ, ვინც ჯგუფის წევრთა ადამიანური ღირსების შელახვას მოინდომებს. თამაშის დასასრულს ტრენერები, მშვიდობის სანაცვლოდ, უკანასკნელ უფლებასაც ითხოვენ. იმედგაცრუებულ მოთამაშეებს სხვა არაფერი რჩებათ, გარდა იმისა, რომ ეს პირობაც შეასრულონ.

თამაშის მიმდინარეობის ზოგადი სურათი ყველა ჯგუფში ერთნაირია. ყველა ჯგუფი ასრულებს ტრენერის მითითებას და მორიგეობით თმობს უფლებებს, საბოლოოდ კი უფლებების გარეშე რჩება, რადგან მასზე იურისდიქციას ჰიპოთეტურად ტრენერებს გადასცემს. ერთხელ, როდესაც ამ თამაშს ერთ-ერთ ბავშვთა სახლში ვატარებდი, ჩემ მიერ უფლებების დათმობის მეორე მოთხოვნაზე ერთი მოთამაშე ადგა და სხვებს ამ სიტყვებით მიმართა:

„ჩვენ, მშვიდობის სანაცვლოდ, ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვანი უფლებების დათმობა შემოგვთავაზეს, შეგვეშინდა, მეც შემეშინდა, და ამიტომ დავეთანხმეთ მათ.

მჯერა, რომ შევცდით, რადგან გვეგონა, მხოლოდ ეს იქნებოდა მშვიდობის საზღაური. მაგრამ ახლა კვლავ გვთხოვენ დარჩენილი უფლებებიდან კიდევ ერთი ნაწილის დათმობას. დარწმუნებული ვარ, ამ პირობის შესრულების შემდეგაც იგივე მოთხოვნას წაგვიყენებენ.

მე უარს ვამბობ ამგვარ საფასურზე. მოგიწოდებთ, თქვენც უარი თქვათ შეთავაზებაზე, რადგან არა უფლებების შეზღუდვა, არამედ სწორედ უფლებების სრული რეალიზაციაა ჩვენი მშვიდობიანი თანაცხოვრების გარანტი“.

რა თქმა უნდა, მის მოწოდებას არავინ გამოხმაურებია. გოგონამ კი თამაშზე უარი თქვა. თამაში ტრადიციულად დამთავრდა.

---

[1] ჯონ სტიუარტ მილი, „ფიქრისა და დებატების თავისუფლების შესახებ“

2010 წლის სტპიტი

ნახევრად სავსე თუ ნახევრად ცარიელი ჭიქა?

იმ დროს, როდესაც სავალუტო ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტის დასაფინანსებლად 400 მილიონი დოლარის გამოყოფას აპირებს, საქართველოს მთავრობა მორიგი ფინანსური ამნისტიის ინიციატივით გამოდის.

რევაზ საყევარიშვილი

საქართველოს სუვერენული, გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი B-დან B+-მდე გაიზარდა პროგნოზით „სტაბილური". საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Standard and Poors-ის ეს შეფასება ოპტიმისტებში რეცესიის დასრულების კიდევ ერთ დასტურად, პესიმისტებში კი საერთაშორისო სააგენტოების ტრადიციულ ზედაპირულ მიდგომად შეფასდა. შეფასებათა ასეთი დიაპაზონი გასაკვირი არ არის; მით უფრო, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები ხშირად ურთიერთგამომრიცხავი და რადიკალურად წინააღმდეგობრივია, რასაც დიდწილად ორგანიზაციების შეფასებათა მეთოდოლოგიური სხვაობა განაპირობებს.

მაგალითად, მსოფლიო ბანკის შეფასებით, საქართველოში ცხოვრება გაუმჯობესდა, მეტიც – საქართველო მსოფლიო ბანკის კვლევაში „ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ცხოვრების გაუმჯობესება" ერთ-ერთი ლიდერი აღმოჩნდა. მსოფლიო ბანკი მიიჩნევს, რომ ქვეყანამ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს დასაქმების ზრდაში, მცირე საწარმოების შექმნასა და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების აღდგენაში, ჯანდაცვის სფეროს გაუმჯობესებასა და სხვა საკვანძო სფეროებში. ანუ დასაქმება გაზრდილია მაშინ, როცა ოფიციალურადაც კი აღიარებულია, რომ უმუშევრობამ იმატა; მცირე საწარმოების ბუმი ყოფილა, არადა მცირე საწარმოები პანტაპუნტით იხურება; სარწყავი და სასმელი წყლის სისტემები გაუმჯობესებულა, დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო მიწების რაოდენობა კი მცირდება, და ფინანსური ხელმისაწვდომობა გაზრდილა მაშინ, როცა ბანკებს კრედიტს ვერ გააღებინებ.

თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს – მსოფლიო ბანკის კვლევა უკვე გამოქვეყნდა და, ვინც საქართველოს ამ დასკვნის მიხედვით გაიცნობს, ქვეყნის მდგომარეობაზე სწორედ ამ დასკვნაში აღწერილი სურათის მიხედვით იმსჯელებს.

სულ სხვა წარმოდგენა შეექმნება ქვეყანაზე მას, ვინც საქართველოს გაცნობას გაერო-ს განვითარების პროგრამის შეფასებებით დააპირებს. UNDP-ს რეიტინგში საქართველო მხოლოდ 89-ე ადგილზეა, უღარიბესი ქვეყნების სიაში იმყოფება და ცხოვრების დონით მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანს ჩამორჩება.

ამ სამწუხარო შეფასებისგან დიდად შორს არ არის ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემები, რომელთა თანახმადაც, საქართველოში მოსახლეობის 40% სიღარიბის ზღვარს მიღმაა: თუ 2008 წლის დეკემბრისთვის უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სულ მილიონ 636 ათასი ადამიანი იყო აღრიცხული, ერთ წელიწადში – 2009 წლის დეკემბრისთვის, ეს რიცხვი მთელი 125 ათასით გაიზარდა და მილიონ 761 ათას ადამიანს გადააჭარბა. თუ ოჯახობრივი ოდენობით შევაფასებთ, გამოდის, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ საქართველოში 540 ათასი ოჯახი ცხოვრობს.

ასე რომ, ცხოვრების გაუმჯობესებამდე ჯერ კიდევ ძალიან შორია. თუმცა, ცხადია, ნებისმიერი პოზიტიური შეფასება ძალიან სასიამოვნოა და ის ფაქტი, რომ Standard and Poors-მა საქართველოს გრძელვადიანი სუვერენული საკრედიტო რეიტინგი ომის წინ არსებულ ნიშნულზე დააბრუნა, აშკარად დადებითი მოვლენაა.

სააგენტოს განცხადებაში ნათქვამია, რომ 2006 წლიდან რუსეთთან ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიურ ომამდე საქართველომ მნიშვნელოვანი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა შეძლო. „გვჯერა, რომ საქართველოში არსებული დაბალი გადასახადები და ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემო ქვეყანას ხელს შეუწყობს იმაში, რომ მან კვლავაც მოიზიდოს ინვესტიცია და კიდევ უფრო გააძლიეროს მისი, როგორც ევროპასა და აზიას შორის სატრანზიტო დერეფნის, მნიშვნელობა. მოველით, რომ ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი უფრო სწრაფი იქნება, ვიდრე ანალოგიური რეიტინგის მქონე სხვა ქვეყნებში", – ნათქვამია სარეიტინგო სააგენტოს განცხადებაში.

საქართველოს მთავრობას ამ შეფასებამ „მეორე სუნთქვა" გაუხსნა. პრემიერ გილაურის შეფასებით, სუვერენული საკრედიტო რეიტინგის ზრდა მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც ქვეყნის მომავლისადმი მეწარმეებისა და ინვესტორების ნდობას გაზრდის. „ეს ფაქტი ადასტურებს,





რომ ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის კურსი და საბაზრო რეფორმებისადმი ერთგულება, ასევე ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული ძალისხმევა თავის შედეგს აღწევს", – მიიჩნევს გილაური.

მაჟორული ნოტები უკვე პროგნოზებშიც აისახა: მთავრობა ეკონომიკის ზრდის საკუთარ პროგნოზს უკვე პირველი კვარტლის დასრულებისთანავე აუმჯობესებს. ფინანსთა მინისტრის განცხადებით, მართალია, 2010 წლის ბიუჯეტი 2%-იანი ზრდით იყო დაგეგმილი, მაგრამ იანვარ-თებერვალში მთავრობა მიხვდა, რომ ეკონომიკური ზრდა 3%-ზე ნაკლები არ იქნება.

ბაინდურაშვილის განმარტებით, ოპტიმიზმის საფუძველს საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზებიც იძლევა – მაგალითად, სავალუტო ფონდის ბოლო გათვლებით, ზრდის მაჩვენებელი მინიმუმ 4% იქნება. წელს 3,5% ზრდას ვარაუდობს Standard and Poors-იც.

მთავრობაში, წლის პირველი ორი თვის მაჩვენებლებიდან გამომდინარე, მიიჩნევენ, რომ ეკონომიკაში რეცესია დასრულდა და ამის დასტურად იანვარ-თებერვალში ექსპორტის ზრდა, იმპორტის კლება, უძრავი ქონების ბაზარზე ტრანზაქციების მატება და აკრეფილი გადასახადების მომატებული ოდენობა მოჰყავთ.

რამდენად დამაიმედებელია ზემოთ მოყვანილი პარამეტრები და საფუძვლიანია ხელისუფლების ოპტიმიზმი? მით უფრო იმ ფონზე, როცა ქვეყანაში უმუშევრობა და სიღარიბე ჯერ კიდევ იზრდება?

წლის პირველი ორი თვის პოზიტიური მონაცემები არ არის საკმარისი. მთავარია, ამ ორ თვეში გამოკვეთილი დადებითი მაჩვენებლები გარკვეულ პერიოდში სტაბილურად შენარჩუნდეს. თანაც, როცა კონკრეტული თვეების მონაცემების შედარება ხდება, შესაბამის პერიოდებში არსებული ინფლაციის დონე, სამომხმარებლო ფასები და სხვა მაჩვენებლებიც უნდა გავითვალისწინოთ.

მაგალითად, როცა 2010 წლის საწყის თვეებს შარშანდელ ანალოგიურ პერიოდს ვადარებთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შარშან ფასები და ინფლაცია გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე წელს. მაგალითად, „საქსტატის" ინფორმაციით, წელს მარტში ინფლაციის მაჩვენებელი, შარშანდელ მარტთან შედარებით, 5,8%-ით არის გაზრდილი.

იმავე საერთაშორისო სავალუტო ფონდში მიიჩნევენ, რომ წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება ურთულესი საქმე იქნება და მარტო ფონდმა მისი დეფიციტის დასაფინანსებლად 400 მილიონი დოლარი უნდა გამოყოს. ფონდის მოსაზრებით, 2010 წელი გადასახადების მობილიზების მხრივაც ურთულესი იქნება.

ეს უკვე კარგად ჩანს გადასახადების ადმინისტრირების იმ პრაქტიკის გააქტიურებაში, რასაც სახელმწიფო უკვე პერმანენტულად მიმართავს. საგადასახადო სამსახურის ბოლო „მონადირებული აქტივი" თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე „ფილიპსის" ცენტრია, რომელიც ინვენტარიზაციის მოტივით დაიხურა. ამ ნაბიჯს წინ უძღოდა თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე 15-მდე მაღაზიის ინვენტარიზაციის მოტივით დახურვა (მათ შორის, „ზარა", „ნაფ ნაფი" და სხვები). მსგავსი ეგზეკუციით სახელმწიფო ცდილობს დაგეგმილი საგადასახადო შემოსავლების პარამეტრების განუხრელ შესრულებას.

საგულისხმოა, რომ ბიუჯეტის შესრულების პრობლემა არა მხოლოდ წმინდა ეკონომიკური, არამედ უფრო მეტად პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებების გამო მძაფრდება. საარჩევნო მარათონი ძალებს იკრებს და ეკონომიკურ საკითხებსაც ნელ-ნელა სულ უფრო და უფრო აქტიურად მოიცავს. მაგალითად, საქართველოს მთავრობა მორიგი ფინანსური ამნისტიის ინიციატივით გამოდის. ამნისტია 2009 წლის 15 ივნისამდე ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის დაკისრებულ გადაუხდელ ჯარიმებსა და დარიცხულ საურავებს, ასევე საგზაო წესების დარღვევას, ზოგიერთ გარემოსდაცვით კანონდარღვევასა და მსგავსი სახის დანაშაულებს შეეხება. მთავრობა ამნისტიის ძირითად მიზეზად მძიმე სოციალურ ფონს ასახელებს და ამნისტიას მისი შემსუბუქების მექანიზმად მიიჩნევს. ამასთანავე, ხაზი ესმება იმას, რომ ამჟამინდელი ამნისტია ერთჯერადი იქნება, შესაბამისი

კანონი კი პარლამენტში სულ რამდენიმე დღეში შევა და დამტკიცდება. რა ოდენობის შემოსავალს დაკარგავს ბიუჯეტი წინასაარჩევნო ამნისტიის გამო, ჯერჯერობით არ სახელდება.

არანაკლებ პოპულარული თემაა ტელევიზიებისთვის საგადასახადო ამნისტიის გამოცხადება. თუ ოპოზიცია ტელეკომპანიებისთვის 2010 წლამდე დაგროვილი გადაუხდელი გადასახადების ჩამოწერას ითხოვს, ხელისუფლებამ ვადა კანონპროექტის მიღების თარიღამდე გაზარდა. პარლამენტში წლიური ანგარიშით გამოსვლისას პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საგადასახადო ამნისტია რეგიონული ტელეკომპანიებისთვის გამოცხადდებოდა. თუმცა, მოგვიანებით მის ოფიციალურ ვებგვერდზე დაიწერა, რომ ამნისტია არა მხოლოდ რეგიონულ, არამედ ყველა ტელეკომპანიას შეეხებოდა. საბოლოო ანგარიშით, ბიუჯეტის შემოსავლების „ტელესეკვესტრი“ 36 მილიონი ლარი დაჯდება.

მთავრობის ინიციატივით, საგადასახადო ორგანოებმა აღნიშნული დავალიანებათა ჩამოწერა უნდა განახორციელონ გადამხდელის პირად ანგარიშზე ასახვით, ხოლო დავალიანების ჩამოწერის წესი ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტით განისაზღვრება.

ეს საქმე შემოსავლების სამსახურს დაევალება, რომელიც 1 აპრილიდან ახალი სტატუსით მოქმედებს. კერძოდ, ის უკვე საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნა და ნაწილობრივ თვითდაფინანსებაზე გადავიდა. ბიზნესმენთა ნაწილს სწორედ სამსახურის თვითდაფინანსებაზე გადასვლა აშფოთებს. ისინი ვარაუდობენ, რომ ამით საგადასახადო ინსპექტორებს დაჯარიმებისთვის დამატებითი მოტივაცია გაუჩნდებათ, რაც ბიზნესისთვის კიდევ ერთი დამატებითი სასჯელი იქნება.

შემოსავლების სამსახურში კი ამ ფაქტორს კატეგორიულად უარყოფენ და ამტკიცებენ, რომ სამსახური საჯარო სამართლის იურიდიულ პირად იმიტომ გარდაიქმნა, რომ გადამხდელისთვის ახალი სერვისების შეთავაზება შეძლოს და უფრო მობილური და გამჭვირვალე გახდეს. რამდენად იქნება მართლაც ასე, დრო გამოაჩენს. მანამდე კი ბიზნესს კიდევ ერთი მძიმე ფსიქოლოგიური მოლოდინი აქვს.

არადა, პრობლემები მას არც უამისოდ აკლია. მაგალითად, ბიზნესი, რომელიც კრიზისის შემდგომ პერიოდში ნელ-ნელა ფეხზე დადგომას ცდილობს, ახალი საბრუნავი სახსრების მოპოვებას ამაოდ ელის. საბანკო სექტორი დაკრედიტების პირობების შემსუბუქებას არ აპირებს. ამ შეფასებას უკვე მერამდენედ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აკეთებს, რომელმაც სათანადო კვლევა ჩაატარა და დაადგინა, რომ ქართული ბანკები საკრედიტო რესურსზე მოთხოვნის გაზრდას ელიან, მაგრამ პირობების შერბილებას არ აპირებენ. შესაბამისად, მანკიერი წრე კვლავაც ჩაკეტილი რჩება.

მის გასარღვევად ანუ დაკრედიტების გასააქტიურებლად ევრობანკი საბანკო სექტორს ვადაგადაცილებულ სესხებზე ზეწოლის შერბილებას და მცირე და საშუალო საწარმოების დაკრედიტების გაზრდას ურჩევს.

ბანკებისადმი შენიშვნები სავალუტო ფონდმაც გამოთქვა. ფონდიც ძირითად უკმაყოფილებას დაკრედიტების სიმცირის გამო გამოთქვამს. ეროვნული ბანკიც აცხადებს, რომ წლის მთავარი გამოწვევა დაკრედიტების მასშტაბების გაზრდაა, რის გარეშეც ეკონომიკის ზრდა ძნელად წარმოსადგენია.

ბიზნესის დაკრედიტების მხრივ პრობლემები არც ერთი მიმართულებებით არ ილევა. მაგალითად იმავე ევრობანკის მონაწილეობით ანონსირებული პროექტის ბედი შეიძლება მოვიყვანოთ. მსოფლიოში სასტუმროების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბრენდის – „ჰაიათის“ თბილისური სასტუმროს მშენებლობა ამ დრომდე არ დაწყებულა. სასტუმროს მშენებელ კომპანია „ლოიალ ისთეითს“ პროექტის დაფინანსების პრობლემა ამერიკული OPIC-ის შემდეგ ამჯერად ევრობანკთანაც შეექმნა. ევრობანკმა „ლოიალ ისთეითს“ პროექტის ბიუჯეტის შემცირება და 35%-იანი დაფინანსება შესთავაზა, თუმცა, კომპანია პროექტის მკვეთრად შემცირებაზე უარს აცხადებს. შედეგად, პროექტიც გაყინულია.

„ლოიალ ისთეითმა“ „ჰაიათის“ მშენებლობისთვის საჭირო სამუშაოები 2007 წელს დაიწყო, თუმცა, 2008 წელს კრიზისის გამო გაჩერდა. მშენებლობის დასრულება 2010 წელს იგეგმებოდა. თუმცა, ამ დროისათვის მხოლოდ მიწის სამუშაოებია ჩატარებული. პროექტის საერთო ღირებულება თავდაპირველად 150 მილიონი დოლარი იყო, კრიზისის მიზეზით ის ჯერ 100, ხოლო შემდეგ 70 მილიონ დოლარამდე შემცირდა და ახლა ევრობანკი მორიგ შემცირებას ითხოვს.

მსგავს ვითარებაშია, პრაქტიკულად, ყველა მსხვილი სამშენებლო პროექტი, რომელთა გაცოცხლების გარეშეც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის მორიგი ძლიერი ბიძგის მიცემა ძალიან გართულდება.

საარჩევნო მარათონი ძალებს იკრებს და ეკონომიკურ საკითხებსაც ნელ-ნელა სულ უფრო და უფრო აქტიურად მოიცავს. მაგალითად, საქართველოს მთავრობა მორიგი ფინანსური ამნისტიის ინიციატივით გამოდის.

სტატია მომზადდა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, ბრიტანულ-ქართული პროფესიული ქსელის მიერ განხორციელებული CSE-PFM პროექტის ფარგლებში. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია ჟურნალი „ლიბერალი“. სტატია არ წარმოადგენს ევროკავშირის ან ბრიტანულ-ქართული პროფესიული ქსელის პოზიციას.

ნივთმტკიცება ანაბეჭდების გარეშე

რუსეთის მოქალაქე პავლე ბლიაძე ამბობს, რომ ქართულმა მხარემ მას რუსეთის წინააღმდეგ თანამშრომლობა შესთავაზა.

ნინო გოგუა

B | S | T The Black Sea Trust for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

სტატია დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების German Marshal Fund-ის პროექტის The Black Sea Trust-ის მიერ. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს German Marshal Fund-ის, The Black Sea Trust-ის და მისი პარტნიორების შეხედულებებს.

რუსეთის მოქალაქე, 47 წლის პავლე ბლიაძე, უკვე მეათე თვეა, ორთაჭალის იზოლატორში იხდის სასჯელს. პოდპოლკოვნიკი ბლიაძე 2006 წლის 25 დეკემბრიდან მოსკოვში ჩრდილოეთი კავკასიის ოლქის სამხედრო გადაზიდვების სამმართველოს კადრების უფროსად მუშაობდა. 2009 წლის ზაფხულში, რუსეთის არმიიდან უკვე პენსიაში გასული ბლიაძე შსს-მ თბილისში დააკავა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენისა და ტარების საბაბით. იგივე ბრალდებით სასამართლომ მას 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

პისტოლეტი „ბაიკალი“, რომელიც გამოძიების მტკიცებით ბლიაძეს დაკავებისას უპოვეს, ამ საქმეში წარმოდგენილი ერთადერთი ნივთმტკიცებაა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ექსპერტიზამ იარაღზე ბრალდებულის თითის ანაბეჭდები ვერ იპოვა, მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილი, საქმის განხილვისას პროკურატურის მტკიცებას დაეყრდნო.

„პისტოლეტი დამუშავდა სპეციალური დაქტილოსკოპიური ფხვნილით, მისი ვიზუალური და მიკროსკოპული დათვალიერებისას ზედაპირზე ხელის კვალი არ გამოვლინდა“, – წერს დასკვნაში სასამართლო ექსპერტი ყოლბაია.

„პავლე ბლიაძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დაუდგენელი პირისგან დაუდგენელი მოტივით შეიძინა 1974 წლის ნიმუშის საბჭოთა წარმოების პისტოლეტი და ორი ცალი ვაზნა“, – წერია საბრალდებო დასკვნაში. საქმეში არ არსებობს დაკავების მონაწილე შსს-ს თანამშრომლების გარდა არც ერთი სხვა სამოქალაქო პირის ჩვენება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ბლიაძეს დაკავებისას მართლაც ჰქონდა იარაღი.

კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ოპერატიული სამსახურის თანამშრომელი სანდრო კოტორაშვილი ერთ-ერთია შსს-ს იმ თანამშრომელთა შორის, რომლებმაც ეჭვმიტანილი ყაზბეგის გამზირზე დააკავეს. „მას წინააღმდეგობა არ გაუწევია. გამომძიებელმა ჩაუტარა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც ქამრიდან ამოღებული იქნა შავი ფერის „ბაიკალი“, – ამბობს იგი ჩვენებაში.

სწორედ ამ ეპიზოდიდან, პავლე ბლიაძის აყვანიდან ჩნდება გამოძიების ობიექტურობასთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვები. ჩხრეკის ოქმშიც წერია, რომ პავლე ბლიაძეს იარაღი დაკავების ადგილზევე უპოვეს, რასაც შშს-ს თანამრომლებიდან მხოლოდ ერთი, გიორგი აბუთიძე ადასტურებს. მეორე მოწმე – სანდრო კოტორაშვილი კი დაკითხვისას ვერ იხსენებს, სად ჩატარდა ჩხრეკა.

ბრალდებული პავლე ბლიაძე ამტკიცებს, რომ პირადი იარაღი არასდროს ჰქონია. სასამართლო სხდომაზე მან განაცხადა, რომ პისტოლეტი „ბაიკალი“ პირველად შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში ნახა. „მოდულის“ შენობაში გამომძიებელმა იარაღი მაგიდის უკანა მხრიდან გამოიღო და წინ დამიდო. მთხოვა, სერიის ნომერი მენახა. მივხედი, რომ უნდოდა ზედ ჩემი თითის ანაბეჭდები დარჩენილიყო და იარაღს ხელი არ მოვკიდე“.

მოწმეებისგან არც ერთს არ ახსოვს, კონკრეტულად საიდან, წელის რა ნაწილიდან ამოუღო გამომძიებელმა დაკავებულს იარაღი. მოგვიანებით ოჯახისთვის გამოგზავნილ წერილში ბრალდებული პავლე ბლიაძე წერს: „შსს-ს თანამშრომელმა გიორგი აბუთიძემ სასამართლოს განუცხადა, რომ მე იარაღი მქონდა ქამარში, მარჯვენა უკანა მხარეს, კოტორაშვილის ვერსიით

კი – შარვალში. ამოღებულ ნივთებში კი ქამარი არ ფიგურირებს, იმიტომ, რომ არ მკეთებია“.

მართლაც, ჩხრეკის ოქმის მიხედვით, დაკავებულს თან მხოლოდ ფული და მობილური ჰქონდა. ქამარი ამ ჩამონათვალში არ არის. ბრალდებულის და მისი ოჯახის წევრების განცხადებით კი, პავლე ბლიაძე ცაციაა და შარვლის მარჯვენა მხარეს იარაღს არ ჩაიდებდა.

ბრალდებულმა 27 ოქტომბერს საჯაროდ, სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ მას ციხეში პაემნებისთვის აკრძალულ საათებში რამდენჯერმე მიაკითხეს უცნობმა პირებმა: „ჩემგან მოითხოვდნენ, მეთქვა, თითქოს ვარ რუსეთის ჯაშუში და რუსეთის სპეცრაზმის თანამშრომლების დავალებით ვმუშაობ, სანაცვლოდ გათავისუფლებას მპირდებოდნენ“, – განაცხადა პავლე ბლიაძემ .

პავლე ბლიაძის თქმით, ასეთი რამ მას ერთი თვით ადრეც, საქართველოში

„პავლე ბლიაძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დაუდგენელი პირისგან დაუდგენელი მოტივით შეიძინა პისტოლეტი“, – წერია საბრალდებო დასკვნაში.

ჩამოსვლისთანავე შესთავაზეს: „შარშან, 25 მაისს სადახლოში საქართველოს საზღვარზე რუსეთიდან ჩამოსული დამაკავეს და წამიყვანეს „მოდულის“ შენობაში, სადაც ვიყავი 26 მაისის 14 სთ-მდე. შემომთავაზეს, „მეღიარებინა“, რომ ვითომ ვარ რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომელი, რომ ვთანამშრომლობდი ე.წ. „მუხროვანის ამბოხებულებთან“ და რუსეთის სპეცსამსახურები ჩემი მეშვეობით ახორციელებდნენ კავშირს მათთან. მე მხოლოდ მევალებოდა, გამოვსულიყავი მოწმედ. იმ შემთხვევაში, თუ უარს ვიტყოდი, „გამაფუჭებდნენ“.

„მუხროვანის აჯანყება“ შინაგან საქმეთა სამინისტრომ 5 მაისს ჩაახშო. ამბოხებაში ეჭვმიტანილ ჯარისკაცებთან მისულმა პრეზიდენტმა აჯანყებას „რუსი მაღალჩინოსნების დაგეგმილი“ უწოდა. ორგანიზატორები 21 მაისს დაკავეს – 4 დღით ადრე პავლე ბლიაძის შსს-ში პირველად მიყვანამდე.

„მუხროვანის აჯანყებულების“ რუსეთთან კავშირის გამოძიება ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. საბოლოოდ, სასამართლომ ეჭვმიტანილებს აჯანყებასა და სამშობლოს ღალატში დასდო ბრალი. საბრალდებო დასკვნაში არაფერია ნათქვამი მათ რუსეთთან კავშირზე.

როგორც პავლე ბლიაძე ჰყვება, რუსეთის ჯაშუშობის აღიარებაზე უარის თქმის შემდეგ რამდენიმე დღეში მის სახლთან უცნობი მანქანების მორიგეობა დაიწყო.

ბრალდებულის მეზობელი სოფიო ანდღულაძე ჰყვება, რომ 20 ივნისს, ბლიაძის დაკავების დღეს, მან მე-8 სართულიდან დაინახა, რომ პავლე ბლიაძისა და მისი შვილის მანქანას დაბურულშუშებიანი მანქანები გაჰყვნენ უკან. ამის შესახებ მეზობელმა პავლეს მეუღლეს აცნობა, რომელმაც ქმარს და შვილს რამდენჯერმე დაურეკა და მეზობლის მონაყოლი გადასცა.

26 მაისის სატელეფონო ზარების ამონაწერით, გამოძიებას შეეძლო გაერკვია, მოიტყუა თუ არა პავლე ბლიაძემ, როცა განაცხადა, რომ დაკავებამდე რამდენიმე წუთით ადრე ესაუბრა მეუღლეს. ადვოკატების მიერ მოგვიანებით მოპოვებული მობილური ოპერატორების ამონაწერი ადასტურებს, რომ ბრალდებულის მიერ მითითებულ დროს მართლაც დაურეკა ცოლმა, მაგრამ სასამართლო გამოძიებას ამ გარემოებისთვის პროცესის განმავლობაში ყურადღება არ მიუქცევია.

სასამართლო დარბაზში პავლე ბლიაძემ საჯაროდ გამოაცხადა მანქანების სერიული ნომრები, რომლებიც, მისი თქმით, საცხოვრებელი ადგილიდან ახლოსვე მეუღლესთან საუბრის შემდეგ შეამჩნია, თუმცა გამოძიება ამ მანქანების მფლობელების ვინაობით არ დაინტერესებულა. შსს-ს თანამშრომლების ჩვენებით, ისინი ბრალდებულის სახლთან არასდროს ყოფილან და მის დასაკავებლად „ოპერატიული ინფორმაციის მიღების“ შემდეგ „მოდულის“ შენობიდან გავიდნენ.

„შსს-ს თანამშრომლების ჩვენებებში ეჭვის შეტანის საფუძველი სასამართლოს არ გააჩნია“, – განმარტავს მოსამართლე.

სასამართლომ მთლიანად აუარა გვერდი დაცვის მხარის ვარაუდს, რომ შსს-ს წარმომადგენლებს იარაღი პავლე ბლიაძის დაკავების საბაბად შეიძლება გამოეყენებინათ.

საგამოძიებო მასალებში არაა შეტანილი მანქანის ჩხრეკის ოქმი, სადაც ბრალდებული დაკავებამდე იჯდა. „ეს ჩხრეკა იმიტომ არ ჩაატარეს, რომ წინასწარ იცოდნენ, პავლე ბლიაძეს იარაღი არ ჰქონდა და ამიტომ არ დაინტერესებულან, მანქანაში იდო თუ არა სხვა იარაღი, ამავე მიზეზით არ გაჩხრიკეს ბლიაძის შვილი, რომელიც მანქანას მართავდა“, – აცხადებს ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილი.

ბრალდებულის ადვოკატების თქმით, ბლიაძისგან თანამშრომლობაზე უარის მიღების შემდეგ სამინისტროს წარმომადგენლებს ციხეში მისი გადაბირების იმედი ჰქონდათ. კონკრეტულად რომელ სამხედრო პირზე ან პოლიტიკოსზე სთხოვდნენ ხელის დადებას, როგორც პავლე ბლიაძე ჰყვება, მისთვის აღარ განუმარტავთ.

ჰქონდა თუ არა დაკავებისას პავლე ბლიაძეს იარაღი, მისი დაკავების დროს გაკეთებული ვიდეოჩანაწერი გამოააშკარავებდა. ბრალდებულის შვილი, რომელიც დაკავებისას მამასთან ერთად იყო, ამბობს: „დაკავებას შსს თანამშრომლები 2 კამერით იღებდნენ, მამაჩემმა პერანგი აიწია და კამერების წინ სპეციალურად დატრიალდა, იმის დასაფიქსირებლად, რომ შეიარაღებული არ იყო“. სასამართლოზე მოწმეებად დაკითხულმა შსს-ს წარმომადგენლებმა ასეთი ვიდეოჩანაწერის არსებობა უარყვეს.

პავლე ბლიაძისთვის ბრალდების მოხსნას და გათავისუფლებას მოითხოვს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. ოფიციალურ ვებგვერდზე სპეციალურ განცხადებაში რუსეთის მხარე წერს, რომ რუსეთის მოქალაქეობის მქონე პატიმრის მონახულება მხოლოდ ერთხელ შეძლო, ჩეხეთის საელჩოს დახმარებით.

ბრალდებულის რუსეთში ექსტრადირებაზე მოლაპარაკება ქართულ და რუსულ მხარეს შორის არ დაწყებულა. პავლე ბლიაძის ოჯახი, ადვოკატების დახმარებით, სააპელაციო სასამართლოში ცდილობს მისთვის წაყენებული ბრალის მოხსნას. სარჩელის განსახილველი სხდომა 20 აპრილსაა დაგეგმილი.

მანდატურები სკოლაში - პირველი დღე

განათლების სამინისტროს მიერ სკოლებში წარგზავნილმა უსაფრთხოების დამცველებმა მუშაობა დაიწყეს.

რუსუდან ფანოზიშვილი

ფოტო: ლევან ხარბედილაძე

პოლიციის აკადემიის რექტორი ხატია დეკანოიძე მანდატურებს ბოლო რჩევებს აძლევს, თბილისი, 15 აპრილი 2010

15 აპრილს, დილის 11 საათზე თბილისის 117-ე სკოლის ეზოში ერთდროულად განათლების მინისტრი, პოლიციის აკადემიის რექტორი და პოლიციელის ფორმის მსგავს ლურჯ ფორმაში გამოწყობილი სამი ადამიანი გამოჩნდა. ამიერიდან ეს სამი ადამიანი ყოველდღე ყურადღებას მიაქცევს, რომ სკოლაში რაიმე დანაშაული არ მოხდეს. განათლების სამინისტროს ახალი პროექტი – მანდატურები სკოლებში – უკვე დაიწყო.

ორი კაცისა და ერთი ქალისაგან შემდგარი მანდატურთა ჯგუფები თბილისის 7 საპილოტე სკოლაში შევიდა. პოლიციის აკადემიაში 3 კვირაში გადამზადებულ მანდატურებს რთული მისია აქვთ: სკოლაში წესრიგი უნდა დაიცვან. გარდა ამისა, მოსწავლეებს კანონზე, არასრულწლოვანთა დანაშაულებებსა და მათ კანონიერ დასჯაზე ესაუბრონ; საგზაო მოძრაობის წესებზე, კანონის აღსრულებაზე, უსაფრთხოებასა და სამოქალაქო თავდაცვაზე კი დამატებითი გაკვეთილები ჩაუტარონ. თუმცა, პირველ რიგში, მათ ნდობა აქვთ მოსაპოვებელი.

„ამით [მანდატურების ყოფნა] სკოლა დაემსგავსება ციხეს“, – ამბობს 51-ე სკოლის მეთერთმეტე კლასელი ირაკლი. მის მეგობარ გიორგის კი მიაჩნია, – „მანდტურების ინსტიტუტი ერთი მხრივ ცუდი არ არის, მაგრამ ჩვენს თაობაზე გავლენას ვეღარ მოიპოვებენო“ .

მანდატურებისა და ბავშვების დამეგობრება განათლების მინისტრმა თავად სცადა: „ჩვენ გვინდა, რომ მანდატური იყოს ბავშვის ამხანაგი, – ასე დაიწყო მან საუბარი, მაგრამ

ამავე ტონში ვეღარ დაასრულა: მე არავის არ ვურჩევ, მართლა გულით, რომ რამენაირი შეურაცხყოფა მიაყენოს მანდატურს, ყოველთვის გახსოვდეთ, რომ მანდატურები დაცულნი არიან კანონით, ისევე როგორც – პატრულის თანამშრომლები და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები“, – უთხრა შაშკინმა ბავშვებს, რომლებიც მათ საკლასო ოთახში მოხვედრილ მინისტრს დაძაბულები უსმენდნენ. არც მოსწავლეებს და არც მასწავლებლებს მინისტრისთვის შეკითხვა არ დაუსვამთ, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესაძლებლობა ყველას ჰქონდა.

სპეციალურ ფორმებში, ცისფერ პერანგსა და მუქ ლურჯ ჟილეტში გამოწყობილ მანდატურებს გულზე გვარი აქვთ ამოქარგული, მხარზე კი – განათლების სამინისტროს ლოგო.

სპეციალურ ფორმებში, ცისფერ პერანგსა და მუქ ლურჯ ჟილეტში გამოწყობილ მანდატურებს გულზე გვარი აქვთ ამოქარგული, მხარზე კი – განათლების სამინისტროს ლოგო. მათ მოსწავლეების დასჯის უფლება არ აქვთ. თუმცა ყოველთვის თან ექნებათ დეტექტორები, რომლებითაც შეამოწმებენ, ბავშვებს იარაღი აქვთ თუ არა.

მათ მოსწავლეების დასჯის უფლება არ აქვთ. თუმცა ყოველთვის თან ექნებათ დეტექტორები, რომლებითაც შეამოწმებენ, ბავშვებს იარაღი აქვთ თუ არა. დისციპლინის დარღვევას, ან ბავშვების საქციელში რამე საეჭვოს თუ შეამჩნევენ, მანდატურები დაუყოვნებლივ აცნობებენ: მშობლებს, დამრიგებელს, დირექტორს და განათლების სამინისტროს; დანაშაულის ნიშნების, იარაღის აღმოჩენის, ან უშუალოდ დანაშაულის შემთხვევაში კი, პატრულს მიმართავენ.

117-ე სკოლაში პირველ დღეს ყურადღების ცენტრში ყველაზე მეტად მოექცა 35 წლის თინათინ ნასიძე. იგი პატრულის ყოფილი თანამშრომელი იყო. „გადამზადებისას ბევრი ფსიქოლოგიური ტრენინგი გავიარე, მგონია, რომ ბავშვების ნდობის მოპოვებას შევძლებ“, – ამბობს თინათინი. მისივე თქმით, მანდატურების უმრავლესობა მასავით სამართალმცოდნეა.

მანდატურობა პირველი სამსახური აღმოჩნდა 24 წლის ირაკლი ხატიაშვილისთვის, რომელმაც სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი ახლახან დაამთავრა. მისი ხელფასი 400-დან 500 ლარამდეა.

შეხვედრის პირველ დღეს 117-ე სკოლაში მანდატურებს ბავშვებისთვის არ მიუმართავთ, რადგან წარდგენაზე ძირითადად მინისტრი და პოლიციის აკადემიის რექტორი საუბრობდნენ და მათი უფლებამოვალეობებიც მოსწავლეებს მათ გააცნეს. თუ როგორ ჩაიარა მანდატურების მუშაობის პირველმა დღემ, 16-მა აპრილმა, ამის გაგება რთული აღმოჩნდა: განათლების სამინისტრო მანდატურებს ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთების ნებართვას ჯერჯერობით აღარ რთავს.

„დღეს გარეთ იმდენად აღარ დავრბოდით, ალბათ ბავშვებს მანდატურების მოერიდათ“, – შენიშნეს 51-ე სკოლის მეშვიდეკლასელებმა მათი მუშაობის პირველ დღეს. 51-ე სკოლაში იმ დღეს მართლაც სიმშვიდე იყო. მანდატურები სკოლის სხვადასხვა სართულზე გამოჩნდებოდნენ ხოლმე და ძირითადად იმას არკვევდნენ, თუ რატომ არ იყო რომელიმე მოსწავლე გაკვეთილზე შესული.

„ალბათ იმდენი ჩხუბი აღარ იქნება“, – იმედით შეხვდა მისი სკოლის ახალ თანამშრომლებს 117-ე სკოლელი თენგო კუჭუაშვილი. მისი მეგობარი კი აღნიშნავს, რომ „ბევრი ჩხუბი“ მათ სკოლაში არც აქამდე ყოფილა.

„მე მიმაჩნია, რომ მანდატურების ინსტიტუტის შემოღება, ყოველ შემთხვევაში ჩვენს სკოლაში, საჭირო არ იყო. აქ გაკონტროლების პრობლემები არ გვქონია“, – ამბობს 51-ე სკოლის მასწავლებელი აზა ელიავა, „შედეგი ის იქნება, რომ შეიძლება ბავშვებს უფრო მეტად შეეშინდეთ“. თუმცა მისი კოლეგების უმრავლესობა ახალ პროექტს ან მხოლოდ „საუკეთესო და საჭირო ინიციატივად“ აფასებს, ან მის შეფასებას საერთოდ ერიდება: დალოდება და შედეგის მიხედვით მსჯელობა გვირჩევნიაო.

პოლიციის აკადემია მანდატურების უკვე მეორე ნაკადის მომზადებას იწყებს. მომავალი წლიდან განათლების სამინისტრო მათ გაგზავნას თბილისისა და რეგიონების დიდი ქალაქების ყველა სკოლაში გეგმავს.

დიმიტრი შაშკინი თბილისის 117-ე სკოლაში, 15 აპრილი 2010

დიმიტრი შაშკინი თბილისის 117-ე სკოლაში მანდატურების წარდგენისას, 15 აპრილი 2010

ფოტოები: ლევან ხარბედია

ბავშვთა ფსიქიატრიული დაწესებულება

ბაუსნობიერებელი მკვლელობა

ვიდრე ფსიქიკური აშლილობის მქონე ბავშვებისთვის სპეციალური დაწესებულება არ შეიქმნება, უბედურ შემთხვევებს თავიდან ვერ ავიცილებთ.

მარიკა ქოჩიაშვილი

ფოტო: ბასრიას ქოჩიაშვილი

„მომეხმარე, გადავდგა პირველი ნაბიჯი“, – წერია „პირველი ნაბიჯის“ ოფისში გაკრულ პლაკატზე. ორგანიზაცია, უკვე 10 წელზე მეტია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს პირველი ნაბიჯების გადადგმაში, პირველი სიტყვების გამოთქმაში და პირველი ემოციების გამოხატვაში ეხმარება.

გასულ კვირას, იქ პირველი უბედური შემთხვევა მოხდა. არასრულწლოვანი გ.ჩ. მეზობელ ოთახში გამთენიისას შეიპარა და „პირველი ნაბიჯის“ აღსაზრდელი გოგონა გაგუდა.

მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობა, სპეციფიკური ქცევითი და ემოციური აშლილობის უკიდურესი ფორმა – ასეთია გ.-ს დიაგნოზი.

ბიჭი „პირველი ნაბიჯის“ დიღმის ბავშვთა სოფელში კასპის ბავშვთა სახლიდან დანარჩენ პატარებთან ერთად გადაიყვანეს. იქ კი ობოლი ბიჭი ბებიამ მიაბარა, როცა აგრესიული გახდა და 3-4 წლისა სახლიდან რამდენჯერმე გაიქცა.

ფსიქოლოგი რუსუდან ბოჭორიშვილი იხსენებს, რომ კასპის ბავშვთა სახლში პატარებს ყურადღებას არ აქცევდნენ და ამიტომ გ. ხშირად იპარებოდა და მაწანწალობდა. „პირველ ნაბიჯში“ მოსულ გ.-ს მეტყველებაც უჭირდა. თუმცა, სრულიად სხვა სამყაროში აღმოჩენილმა ნელ-ნელა ბევრი ახალი თვისება შეიძინა – გახდა მოსიყვარულე, გაუჩნდა ემოციები და მიჯაჭვულობა აღმზრდელის მიმართ, რომელსაც „პირველი ნაბიჯის“ ბავშვები „დედას“ ეძახიან. თუმცა, რუსუდანის თქმით, ერთი წლის შემდეგ მისთვის ეს გარემოც უინტერესო გახდა და ბავშვების და საკუთარი თავის მიმართ ფარული აგრესია დაეწყო.

გ.-ს დაავადება განუკურნებელია და, როგორც უცხოელმა ექსპერტებმა „პირველი ნაბიჯის“ სპეციალისტებს უთხრეს, შესაძლებელია, ასაკთან ერთად უფრო მეტად გამწვავდეს კიდეც.

„იმდენად სხვადასხვანაირი იყო და იმდენად არაპროგნოზირებადი, მივხვდით, რომ მისი აგრესიისგან ვერ დავიცავდით ვერც მისი და ვერც სხვა ბავშვებისა და აღმზრდელების უსაფრთხოებას. ამიტომ, მუდმივად მივმართავდით ჯერ განათლების და შემდეგ ჯანდაცვის სამინისტროს. გულისყურით გვისმენდნენ, მაგრამ გვეუბნებოდნენ, რომ საქართველოში არ არსებობს ისეთი დაწესებულება, სადაც ასეთი დიაგნოზის მქონე ბავშვს გადაიყვანდნენ. ეს ჩვენც ვიცოდით, უბრალოდ, უფლება არ გვქონდა, გ.-ს ქცევების შესახებ მათთვის არ შეგვეტყობინებინა“, – ამბობს რუსუდან ბოჭორიშვილი.

როგორი დაწესებულება სჭირდებათ გ.ჩ.-სნაირი დიაგნოზის მქონე

ბავშვებს? – ჩვენთან ჯერჯერობით ასეთი დაწესებულების პროექტიც კი არ არსებობს. ფსიქიატრიული საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილება დაკეტილია. თუმცა, ის არც იყო ასეთ ბავშვებზე ზრუნვისთვის შესაფერისი ადგილი. წესით, გ.-ს მსგავსი პატარები არ უნდა ცხოვრობდნენ ფსიქიატრიული ინსტიტუციისმაგვარ, გისოსებიან და დიდი ბოქლომით ჩარაზულ დაწესებულებაში, მაგრამ – არც „პირველი ნაბიჯის“ ოჯახურ საცხოვრებელში, რომელიც ღიაა და ბავშვებს მისი ტერიტორიის დატოვება თავისუფლად შეუძლიათ.

ამ დაწესებულებაში, წესით, თანაბრად მნიშვნელოვანი უნდა იყოს როგორც ბავშვების შემოქმედებით განვითარებაზე ზრუნვა, ისე ექიმების მკაცრი კონტროლი. იმის გამო, რომ გ.-ს ტიპის ბავშვები სოციალურად საშიშები არიან და მათი საზოგადოებაში

ჯერობით ღიაა“. შარშან, ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსებით, იაშვილის კლინიკაში პირველად გაიხსნა ბავშვთა ფსიქიატრიული განყოფილება. თუმცა, იქ პატარები მხოლოდ გამწვავებული შემთხვევების დროს გადაჰყავთ, და როგორც კი მდგომარეობა გაუმჯობესდება, უკან აბრუნებენ. თუმცა, გ.-ს დიაგნოზის მქონე ბავშვებისთვის ასეთი სახის მკურნალობა არაეფექტურია. „პირველ ნაბიჯში“ ამბობენ, რომ ძნელია, წინასწარ განსაზღვრო, თუ როდის გართულდება ბავშვების მდგომარეობა.

„პირველი ნაბიჯის“ აღმზრდელები დარწმუნებულები იყვნენ, რომ გ.-ს ქცევებს შეძლებისდაგვარად სრულყოფილად მართავდნენ, თუმცა მისი არაპროგნოზირებადობის გამო, მაინც სულ ეშინოდათ, ბიჭს რაიმე არ ჩაედინა. ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის პროგრამების

მოხვდეს, გავაგრძელებთ მასთან ურთიერთობას, არ გვინდა, იგრძნოს, რომ სულ მარტოა“, – ამბობს რუსუდან ბოჭორიშვილი.

გამოძიების შედეგებისგან დამოუკიდებლად, „პირველი ნაბიჯი“ საკუთარ პასუხისმგებლობას აცნობიერებს და მომავალი საქმიანობის დაგეგმვას ამ ტრაგიკული შემთხვევის გათვალისწინებით გეგმავს. „ჯანდაცვის სამინისტრომაც უნდა გაითვალისწინოს ეს ფაქტი. ეს არის სამწუხარო რეალობა, მაგრამ შეიძლება ის გამოვიყენოთ იმისთვის, რომ მსგავსი შემთხვევა მომავალში აღარ განმეორდეს“, – აცხადებენ „პირველ ნაბიჯში“.

გ.ჩ. ჩადენილი გაუაზრებელი მკვლელობის შემდეგ „პირველ ნაბიჯში“ ვეღარასოდეს დაბრუნდება. თუმცა, დიღმის ბავშვთა სოფელში ვეღარც დანარჩენი ბავშვები დარჩებიან. „პირველ ნაბიჯს“, რომლის ბიუჯეტის ძირი-

წესით, გ.-ს მსგავსი პატარები არ უნდა ცხოვრობდნენ ფსიქიატრიული ინსტიტუციისმაგვარ, გისოსებიან და დიდი ბოქლომით ჩარაზულ დაწესებულებაში, მაგრამ – არც „პირველი ნაბიჯის“ ოჯახურ საცხოვრებელში, რომელიც ღიაა და ბავშვებს მისი ტერიტორიის დატოვება თავისუფლად შეუძლიათ.

უყურადღებოდ გაშვება სარისკოა, ამ დაწესებულებაში არტ და შრომით თერაპიას, მუსიკას, ექსკურსიებს უნდა ახლდეს მუდმივი ზედამხედველობა და უწყვეტი მკურნალობის პროცესიც.

„საზღვარგარეთ ასეთი ტიპის დაწესებულებები არსებობს. ჩვენთან კი ისინი საბჭოთა კავშირის დროინდელი ფსიქიატრიული ინსტიტუციების ასოციაციებს იწვევს. რაკი დეინსტიტუციონალიზაცია ბავშვების ოჯახებში დაბრუნებას, ანდა მათ საოჯახო ტიპის სახლებში გადაყვანას ნიშნავს, შეიძლება ეს დაწესებულებაც მცირე საოჯახო ტიპის სახლი იყოს, ოღონდ – თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი და მხოლოდ ამ კონკრეტული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი. ასეთი სახლების გახსნა მოგვცემს საშუალებას, რომ მომავალში მაინც ავიცილოთ თავიდან მსგავსი უბედური შემთხვევები“, – ამბობს რუსუდან ბოჭორიშვილი.

თუმცა, ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ეს საკითხი „ჯერ-

სამმართველოს უფროსი გია კაკაჩია ამბობს, რომ „პირველი ნაბიჯი“ ის ორგანიზაციაა, სადაც რისკი, გამოცდილი აღმზრდელების წყალობით, მინიმუმამდე ჰქონდათ დაყვანილი, მაგრამ ასეთი შემთხვევა მაინც მოხდა.

„არ არსებობს 100%-იანი პრევენცია, მაგრამ თუკი იარსებებს შესაბამისი გარემო და საკადრო რესურსი, რისკს მინიმუმამდე მართლაც დავიყვანთ. თუმცა, საბოლოოდ დაზღვეული არც ამ შემთხვევაში ვიქნებით“, – დასძენს კაკაჩია.

ბიჭმა დანაშაული აღიარა, მაგრამ სინანულის შეგრძნება არ აქვს. შეიძლება ჯერ ვერც აცნობიერებს, რა ჩაიდინა. მას ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს და 20 დღით ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც ექსპერტიზა ჩაუტარდება და დაადგენენ, ქმედუუნაროა, თუ საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება შეუძლია.

„ნებისმიერ შემთხვევაში დასჭირდება მკურნალობა. მაგრამ, სადაც უნდა

თად წყაროსაც უცხოური გრანტი წარმოადგენდა, დაფინანსება უმცირდება. ამის გამო, მათ ბავშვთა სახლში მცხოვრები პატარები საცხოვრებელ ადგილს ისევ იცვლიან და ზოგი – სიღნაღში, ზოგი – კოჯორში, ზოგიც სენაკის ბავშვთა სახლში გადადის. „პირველი ნაბიჯის“ ტერიტორიაზე რჩება მხოლოდ დღის ცენტრი. „პირველი ნაბიჯის“ სპეციალისტები აპირებენ, მთელი ფინანსები და დრო იმ ოჯახების დახმარებას დაუთმონ, სადაც მძიმე დიაგნოზის მქონე ბავშვები ცხოვრობენ. ისინი სპეციალური ტრენინგებით შეეცდებიან, დაარწმუნონ მშობლები, რომ შვილები ბავშვთა სახლებში არ ჩააბარონ, ასწავლიან პატარებთან სწორ ურთიერთობასა და მათზე სწორად ზრუნვას. დღეში რამდენიმე საათის განმავლობაში დარჩებიან ბავშვებთან ერთად და მშობლებს მუშაობის საშუალებას მისცემენ. გამოდის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები პირველ ნაბიჯებს ახლა უკვე საკუთარ სახლებში გადადგამენ.

ტვინების გაღინება

განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოდან ინტელექტი მხოლოდ გაედინება.

რუსუდან ფანოზიშვილი

ილუსტრაცია: სოფელ ქორეთში / ნინოს საბელაშვილი

ფიზიკის ინსტიტუტში, სადაც ყველაზე ახალი ხელსაწყოები 80-იანი წლებით თარიღდება, ბირთვული კვლევების ეროვნული ცენტრიდან ჩამოსულმა გია დვალმა ფიზიკასა და სამყაროს სიმეტრიაზე წაიკითხა ლექციები. ძველი აუდიტორია და სამოცი წლის წინანდელი კედლები რამდენიმე დღით ახალგაზრდებითაც კი გაივსო და ინსტიტუტის უზარმაზარი და ცარიელი შენობა უჩვეულოდ გამოცოცხლდა. თუმცა, ფუსფუსი მალევე შეწყდა. ქართველი მეცნიერი უკან გაემგზავრა და ფიზიკის ინსტიტუტის საბჭოთა ეპოქაში გაყინული ცხოვრებაც ჩვეულ, უხმაურო რიტმს დაუბრუნდა.

ფიზიკის ინსტიტუტში 100 მეცნიერი მუშაობს. მათი საშუალო ასაკი 60 წელია. ამიტომ ამბობს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ალექსანდრე ღონღაძე, რომ თანამედროვე ტექნიკაზე მეტად ადამიანები აკლიათ, უფრო ზუსტად კი – ახალგაზრდები. ახალგაზრდა ფიზიკოსების უმრავლესობა კი, გია დვალის მსგავსად, საზღვარგარეთ მუშაობს. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ინსტიტუტიდან საზღვარგარეთ ოთხმოცამდე მეცნიერი წავიდა.

ფიზიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – ეს ის დარგებია, რომლებშიც საქართველომ ყველაზე დიდი „ინტელექტუალური მარაგი“ „გაასხვისა“. „ბრეინ დრეინი“, სიტყვასიტყვით, „ტვინების გადინება“ და იგივე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ემიგრაცია ის პრობლემაა, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის

საქართველოშიც, განსაკუთრებულად მწვავედ დგას.

„გია ჯოხაძე, დათო ფრანგიშვილი, გიგიშა მუსხელიშვილი, ავთო კალანდაძე ... ბევრნი არიან“, – სახელების ჩამოთვლას ვერ აუდის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის 90 წლის აკადემიკოსი მალხაზ ზაალიშვილი, რომელიც 66 წელია, მოლეკულურ ბიოლოგიაში მუშაობს და ინსტიტუტიც თვითონ დააარსა. იგი იმ მეცნიერებს იხსენებს, რომლებმაც ბოლო წლებში ინსტიტუტი ერთმანეთის მიყოლებით დატოვეს. „გია ჯოხაძე ამერიკის 100 საუკეთესო მეცნიერს შორის დაასახელეს“, – ამაყობს ზაალიშვილი. მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერების 50 პროცენტზე მეტი ახლა უკვე ამერიკის, გერმანიის, საფრანგეთის და სხვა წამყვან უნივერსიტეტებში მუშაობს.

„ტვინების გადინების“ პროცესი საქართველოში საბჭოთა კავშირის რღვევის პერიოდში, 80-90-იან წლებში მასშტაბურად დაიწყო და სტანდარტული გამომწვევი მიზეზები ჰქონდა: ხელფასების სიმცირე, უმუშევრობა, პროფესიული წინსვლის არარსებობა და, ზოგადად, მძიმე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო.

კონკრეტული რაოდენობრივი ან ხარისხობრივი კვლევა იმის შესახებ, თუ რამდენმა მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტმა დატოვა სამშობლო, ჩვენთან არ ჩატარებულა. თუმცა, ასეთი კვლევა ჩატარდა 2009 წელს სომხეთში, სადაც გაირკვა, რომ ინტელექტუალების 50 პროცენტი ქვეყნიდან წასულია. CRRC-ს მკვლევარი, აარონ ერლიჰი ვარაუდობს, რომ საქართველოში „ინტელექტის გადინების“ მაჩვენებელი სომხეთისას გადააჭარბებს. „ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ სომხეთში საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ შეძლეს კვლევითი ინსტიტუტები და მათი აღჭურვილობა საქართველოზე მეტად შეენარჩუნებინათ“, – აცხადებს ერლიჰი.

საბჭოთა კავშირის ნგრევის პერიოდს და 90-იანი წლების მოვლენებს კვლევითი ინსტიტუტების კრიზისი მართლაც მოჰყვა. ზოგი ინსტიტუტი დანიშნულების გარეშე დარჩა. აპარატურა კი წყობიდან გამოვიდა – „ზოგი ხელსაწყო მხოლოდ იმიტომ გაგვიფუჭდა, რომ ლაბორატორიებში მათთვის საჭირო ტემპერატურას დენისა და გათბობის გარეშე ვერ ვინარჩუნებდით“, – იხსენებს მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ნანი ჯაფარიძე. ილიას უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაძე თავის წიგნში „განჯადოება“ წერს, რომ 2005 წლიდან ქართველი მეცნიერების ახალი კვლევები სულ უფრო მეტ საერთაშორისო ინტერესს იწვევს. თუმცა, იქვე შედგენილი ცხრილების მიხედვით, საქართველო რეგიონის დანარჩენ ქვეყნებსა და უფრო მცირე მოსახლეობის სახელმწიფოებს მაინც ჩამორჩება.

ჩვენთან ზოგიერთი სამეცნიერო მიმართულება საერთოდ არ არსებობს. ონისე შარია მერილენდის უნივერსიტეტში Materials science-ის დეპარტამენტის პოსტდოქტორანტია, მუშაობს ორგანულ კრისტალებში ქიმიური რეაქციების მოდელირებაზე და აცხადებს, რომ ამ მიმართულებას საქართველოში თითქმის არავინ მისდევს. „საქართველოში ამ განხრით ბევრს ვერაფერს შევძლებდი. აქ კი წელიწადში რამდენიმე კონფერენციაში ვმონაწილეობ, ვეცნობი სიახლეებს. ჩემი სპეციალობა მოითხოვს მძლავრ სუპერკომპიუტერებს, საქართველოში ასეთ კომპიუტერებზე მუშაობის საშუალება ნამდვილად არ მექნება. აქ ნებისმიერ უნივერსიტეტში გაცილებით უკეთესი სამეცნიერო გარემოა, ვიდრე მე მახსოვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, – აცხადებს ონისე და ვარაუდობს, რომ ამერიკაში მინიმუმ 10 წლით მაინც დარჩება.

უმრავლესობისთვის მიგრაციის მიზეზი შემოსავალია. ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ნანი ჯაფარიძე ამბობს, რომ ბოლო წლებში მათი ინსტიტუტის საბაზისო დაფინანსება ფაქტობრივად აღარ გაზრდილა. კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომელი კი ხელფასის სახით თვეში საშუალოდ 200 ლარს იღებს. უფრო მაღალი ანაზღაურება მხოლოდ მათ ერგებათ, ვისაც გაუმართლებს და პერიოდულად პროექტების საგრანტო დაფინანსებას მიიღებს.

თუმცა, გია დვალი, რომელიც 1992 წლიდან ევროპის და ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტებში მოღვაწეობს, მეცნიერების სხვა ქვეყნებში გადასვლას ასე მტკივნეულად არ აღიქვამს. „ფიზიკოსების სხვადასხვა ქვეყანაში მოძრაობა და მუშაობა ჩვეულებრივი მოვლენაა“, – აცხადებს ის, თუმცა არც იმას უარყოფს, რომ ქართველი მეცნიერების ქვეყნიდან გადინებაზე სხვა ფაქტორებმა იმოქმედა. „ფიზიკის ერთ-ერთი ყველაზე კარგი სკოლა გვქონდა საქართველოში“, ახლა კი, სხვადასხვა მიზეზის გამო, „სიტუაცია ძალიან, ძალიან მძიმეა, ნებისმიერმა თავმოყვარე ქვეყანამ მეცნიერება უნდა დააფინანსოს“, – ამბობს დვალი, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფიზიკური ექსპერიმენტის თანაავტორი.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ქვეყნის საერთო მოსახლეობის მცირე ნაწილს შეადგენენ, თუმცა მათი წასვლა ქვეყნის განვითარებაზე მწვავედ აისახება.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) 2006 წლის კვლევაში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ყველაზე მეტად IT სპეციალისტების და ტექნიკური დარგების სპეციალისტების გადინებას გამოჰყოფენ. ეს ტენდენცია განსაკუთრებით რუსეთში გამოვლინდა. ექიმების მიგრაციით გამოირჩეოდა ესტონეთი, მაკედონიას კი უფრო მასწავლებლები და ახალგაზრდა მკვლევრები ტოვებდნენ.

„პატარა მოკვლევის შედეგად ჩემმა ნაცნობმა, რომელიც ვეკუას სახელობის სკოლაში სწავლობდა და ახლა ამერიკაში მოღვაწეობს, აღმოაჩინა, რომ მისი თანაკლასელებიდან მხოლოდ ერთიღაა საქართველოში, დანარჩენი ყველა საზღვარგარეთ მუშაობს“, – იხსენებს მკვლევარი აარონ ერლიჰი. ერლიჰის ვარაუდით, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში მიგრაციას იკვლევდა, „საქართველოში მეცნიერებთან ერთად, IT პერსონალის, ვეტერინარების, ექიმების კრიზისი უნდა იყოს“.

მკვლევრები ამბობენ, რომ „დაკარგული ინტელექტის“ ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია. მიგრაციაზე CRRC-ს 2010 წლის კვლევამ კი აჩვენა, რომ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში გასული ქართველი მიგრანტების უმრავლესობას – მათ 70%-ს უმაღლესი განათლება აქვს.

ზოგადად, ქართველი მიგრანტების რაოდენობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა. გაერო-ს მონაცემებით, 2008 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში თავშესაფარი საქართველოს 545 მოქალაქემ მოითხოვა, 2009 წელს კი – 10 994-მა.

ლტოლვილთა და განსახლების სამი-

ნისტროში, რომლის ვებგვერდზე ერთ-ერთ ქვეთავად „მიგრაციაა“ მითითებული, აცხადებენ, რომ ამ მიმართულებით პროგრამები არ აქვთ. დიასპორის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ცნობით კი, მიგრაციის შესახებ პროგრამები აქვთ, მაგრამ „ინტელექტის გადინების“ კუთხით – არც ერთი. განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი ამბობს, რომ ყველა ადამიანი, მათ შორის მეცნიერი, არჩევანში თავისუფალია. „მათ საზღვრებს ვერ ჩავუკეტავთ, რომ არ წავიდნენ“. თუმცა, ეთანხმება იმ აზრს, რომ საჭიროა, თვითონ ქვეყანამ შეუქმნას მეცნიერებს სათანადო გარემო, საკუთარი ქვეყნიდან წასვლა რომ არ გადაწყვიტონ. ამისთვის მას აუცილებლად მიაჩნია სახელმწიფო უნივერსიტეტების სათანადო ტექნიკური ბაზებით აღჭურვა და ამ პროცესის დაწყებას ზაფხულიდან გეგმავს. ხოლო კვლევითი ინსტიტუტების საბაზისო დაფინანსება, მისივე თქმით, იქამდე ვერ მოიმატებს, ვიდრე ზოგადად ქვეყნის ბიუჯეტი არ გაიზრდება.

კლასიკური გაგებით „ინტელექტის გადინებას“ არა, მაგრამ პოტენციურად „ტვინების“ დაკარგვის საფრთხეს საქართველოდან ყოველწლიურად წასული უამრავი სტუდენტიც ქმნის. „ლიბერალთან“ საუბარში ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ საქართველოში დაბრუნებას საზღვარგარეთ დარჩენა და იქ მუშაობა ურჩევნია, მთავარ მოტივად კი მიღებული ცოდნის რეალიზების მეტ შესაძლებლობასა და შრომის ადეკვატურ ანაზღაურებას ასახელებს. დაბრუნებას კი ისინი აპირებენ, ვისაც მიღებული სტიპენდიის სანაცვლოდ ამას ხელშეკრულებით ევალება.

პრეზიდენტის ყოფილი ფონდი საზღვარგარეთ გაგზავნილ მაგისტრანტებს ასეთ ვალდებულებას არ აკისრებდა. მსგავსი შეთანხმება სტუდენტებთან არც მას შემდეგ გაფორმებულა, რაც საპრეზიდენტო ფონდის განკარგვა განათლების სამინისტრომ დაიწყო. თუმცა, სამინისტროს წარმომადგენლის მაია სიფრაშვილის განცხადებით, უკვე მუშაობენ ხელშეკრულების ახალ ვარიანტზე და რამდენიმე თვეში სტუდენტებს სწავლის დასრულების შემდეგ ერთი წლის საქართველოში გატარებას მოსთხოვენ.

მხოლოდ მსგავსი შეზღუდვები საქართველოს დაკარგულ ინტელექტს ვერ დაუბრუნებს. ამისთვის ცალსახა სახელმწიფო პროგრამების ჩამოყალიბებაა საჭირო, რომლის ჩანასახიც 2004 წელს თითქოს გამოჩნდა. მაშინ სააკაშვილმა უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს ორმაგი მოქალაქეობის მიღების შანსი მისცა და აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ წასული ქართველების სამშობლოში დასაბრუნებლად ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს. ქვეყანაში ვითარება ისე უნდა შეიცვალოს, რომ მათ უკან დაბრუნების სურვილი გაუჩნდეთ.

„2003 წლის რევოლუციის შემდეგ უკან დაბრუნების ტენდენცია მართლაც შესამჩნევი იყო. მაშინ მთავრობაში მაღალ თანამდებობებზე უცხოეთში მომუშავე ქართველები დანიშნეს. ოღონდ ეს „გადენილი ტვინების“ ძალიან მცირე ნაწილი იყო. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ კი ნებისმიერი სახის მიგრანტების დაბრუნებისტენდენცია კვლავ მკვეთრად შემცირდა“, – აცხადებს ერლიჰი.

2008 წლიდან საქართველოსთვის პრიორიტეტული სულ სხვა ხარისხის პრობლემები გახდა. პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი დღეს საქართველოში არსებულ პრობლემებს ორ ნაწილად ჰყოფს – უსაფრთხოების პრობლემა და სხვა დანარჩენი პრობლემები. „ინტელექტის გადინება“ სწორედ ამ სხვა დანარჩენში შედის. „ქვეყანას ახლა ყოფნა-არყოფნისთვის უწევს ბრძოლა, ამიტომ ქვეყნიდან გადენილი ინტელექტის დაბრუნებაზე ზრუნვის დრო ჯერ არ არის“, – დასძენს დარჩიაშვილი.

ინტელექტის ხანგრძლივი გადინება ნებისმიერ ქვეყანას განვითარების შეფერხების საფრთხეს უქმნის. მაგრამ, იდეალურ შემთხვევაში, ექსპერტების აზრით, „ბრეინ დრეინს“ სასიკეთო შედეგიც შეიძლება ჰქონდეს – კიდევ უფრო განათლებული მიგრანტის უკან დაბრუნება. მკვლევრები და მეცნიერები საქართველოდან წასული მათი კოლეგების უკან დაბრუნების ზოგიერთ შემთხვევას მართლაც იხსენებენ, ოღონდ – მხოლოდ საპენსიო ასაკში.

ქვეყნის განვითარებაში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გამოყენება რომ შესაძლებელი გახდეს, ამისთვის „სახელმწიფომ, პირველ რიგში, შრომის სათანადო გარემო უნდა შექმნას, დახვეწოს შრომის კანონმდებლობა და გააუმჯობესოს ეკონომიკური გარემო, – ამბობს აარონ ერლიჰი, – პირველ რიგში კი, მეცნიერების დაფინანსებაზე ზრუნვაა საჭირო“.

როცა სინგაპურში შენიშნეს, რომ ადგილობრივი კვალიფიციური იურისტები სამსახურის საძებნელად საზღვარგარეთ მასობრივად მიდიოდნენ, ამ ტენდენციას კრეატიული პროექტებით დაუპირისპირდნენ: ახალ კურსდამთავრებულებს არა მხოლოდ მაღალი ხელფასები დაუნიშნეს, დამატებითი სარგებლობის პაკეტებიც შესთავაზეს, რომლებიც სავარჯიშო დარბაზებს, მასაჟს, სტრესთან გამკლავების საშუალებებს და კიდევ სხვა შეღავათებს მოიცავდა. ყატარში კი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მასშტაბური გადინების შემდეგ მეცნიერების განვითარებისთვის დიდძალი ფინანსები გამოყვეს.

ფიზიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – ეს ის დარგებია, რომლებშიც საქართველომ ყველაზე დიდი „ინტელექტუალური მარაგი“ „გაასხვისა“.

განვითარებულ ქვეყნებს ტერმინი „ინტელექტის გადინება“ დღეს მწვავედ აღარ აწუხებთ. ამის მიზეზი შრომის ღია ბაზარია, სადაც მულტინაციონალური გიგანტური კომპანიები იოლად პოულობენ სასურველ მაღალკვალიფიციურ კადრებს. იმ ქვეყნებში, სადაც ინფრასტრუქტურა, სამეცნიერო ბაზა და შრომის ბაზარი განვითარებულია, სევდიანი ტერმინის – „ინტელექტის გადინების“ ნაცვლად, უკვე „ინტელექტის გლობალიზაციაზე“, „ინტელექტის ბრუნვასა“ და „გაცვლაზე“ საუბრობენ.

საქართველოსთვის კი „გასხვისებული ინტელექტის“ მარაგს ვერც ჩვენს ქვეყანაში სამუშაოდ ჩამოსული უცხოელები შეავსებენ. თავისი სულ სხვა, „ნომერ პირველი“ პრობლემით საქართველო ჯერჯერობით კვლავაც იმ ქვეყნების რიგში დგას, საიდანაც „ტვინები“ გაედინებიან და უკან თითქმის აღარ ბრუნდებიან.

სუბტიტრებს და დუბლირებას

ქართულ კინოთეატრებში უცხო ენაზე დუბლირებული ფილმების ჩვენება უნდა აიკრძალოს.

მაია წიკლაური

მაყურებელმა კინოდარბაზში ფილმი, შესაძლოა, მხოლოდ ორიგინალ ენაზე ქართული სუბტიტრებით, ან ქართულად დუბლირებული ნახოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ პარლამენტი „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ კანონში ცვლილებას შეიტანს. თუ კინოთეატრები კანონს დაარღვევენ, მათ პირველად – 1500, მეორედ – 3000, მესამედ ან მეტჯერ კი 10 000 ლარით დააჯარიმებენ.

კანონპროექტის ავტორია კულტურის სამინისტრო, ინიციატორი კი – საქართველოს პრეზიდენტი. სწორედ მისი თხოვნით პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა 15 აპრილს რიგგარეშე სხდომა ჩაატარა. კომიტეტის წევრებმა საკანონმდებლო ცვლილება ზუსტად 5 წუთში განიხილეს და მთელი შემადგენლობით დაუჭირეს მხარი.

დღემდე ფილმები ყველა ქართულ კინოთეატრში უმეტესად რუსულ ენაზე გადის. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი გაბაშვილის თქმით, საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და 70-წლიანი წარსულის კვალი დროულად უნდა აღმოიფხვრას. „კინოთეატრში ფილმი ყველამ აუცილებლად ეროვნულ ენაზე უნდა ნახოს, უმეტესად – სუბტიტრებით. ჩვენი უპირველესი მიზანია, სახელმწიფო ენა დავიცვათ. მეორე ამოცანა კი ევროპული ენების, ძირითადად, ინგლისური ენის მხარდაჭერაა“, – განაცხადა გაბაშვილმა. მისი აზრით, ასე მოსახლეობა უცხო ენის ცოდნასაც გაიღრმავებს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ფილმები მხოლოდ ინგლისურენოვანი არ არის, ასეთივე წარმატებით ქართველებმა კინოში ფრანგული, ინდური, ირანული, იტალიური, ჩინური, შვედური და სხვა უცხო ენების შესწავლაც უნდა შეძლონ.

რამდენად შეიძლება კინოთეატრში ენის შესწავლა, ეს სადავო საკითხია. სხვა თემაა, რამდენად შეძლებს მაყურებელი სურათის მხატვრული მხარის აღქმას სუბტიტრების მეშვეობით. გიორგი გაბაშვილი ამბობს, რომ სუბტიტრები ყველა ქვეყანაში აპრობირებული მეთოდია და ფილმის მხატვრულ აღქმას, პირიქით, აადვილებს.

კინომცოდნე არჩილ შუბაშვილის აზრით, ფილმის სუბტიტრებით ყურება უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს. „ფილმი მხატვრულობას კარგავს, როცა ეკრანზე მის კითხვას იწყებ! კითხულობ, რომ გაიგო, რას ლაპარაკობენ, ამ დროს – გეპარება მნიშვნელოვანი ეპიზოდი“, – ამბობს შუბაშვილი.

მის აზრს კინოთეატრებში „ლიბერალის“ მიერ გამოკითხული 40 მაყურებლიდან 27 იზიარებს. „ძალიან სასიამოვნოა, როცა ენა იცი და ამ ენაზე ფილმის ორიგინალურ ვერსიას უყურებ. მაგრამ ძალიან დამღლელია ტიტრებით უცხო ენაზე ფილმის ყურება. ამ შემთხვევაში, გახმოვანება მირჩევნია, ოღონდ – კარგი ხარისხის“, – ამბობს 25 წლის ბექა.

სუბტიტრებისგან განსხვავებით, გახმოვანება უფრო დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. საჭიროა კარგი ტექნიკური აღჭურვა, ტექსტის დამუშავება, სიტყვების სინქრონთან თანხვედრა, პროფესიონალი მსახიობები, ორიგინალი ფილმის ღირებულებების შენარჩუნება. თუ აქამდე კინოთეატრები უკვე მზა პროდუქციას ძირითადად რუსეთში ყიდულობდნენ, ახლა უცხოურ მწარმოებელ კინოსტუდიებთან თანამშრომლობა მოუწევთ. სუბტიტრების მომზადება, ანდა დუბლირება, რომელიმე ადგილობრივ სტუდიას უნდა დაუკვეთონ, ან საკუთარი სტუდია აღჭურვონ. კინოთეატრებს ამისთვის 6 თვეს მისცემენ.

გაბაშვილი აცხადებს, რომ კანონპროექტი კულტურის სამინისტროში კინოთეატრებთან კონსულტაციებისა და შეთანხმების შემდეგ დაიწერა. თუმცა თვითონ კინოთეატრების წარმომადგენლები ამას უარყოფენ. დოკუმენტში წერია, რომ „კანონი მოქმედი სუბიექტების ხარჯებზე არ იმოქმედებს“. თუმცა, კინოთეატრებში ამტკიცებენ, რომ კანონის ძალაში შესვლა მათ ხარჯებს გაზრდის და დაფინანსების მოსაპოვებლად დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა დასჭირდებათ.

კინოთეატრების „რუსთაველისა“ და „ამირანის“ მარკეტინგის მენეჯერი ნიკა აფრიაშვილი ფიქრობს, რომ კარგი იქნება, თუ კანონის დამტკიცებამდე პარლამენტარები ან კანონის ავტორები მათთან კონსულტაციას გაივლიან და გადაწყვეტილებას ისე მიიღებენ. „თუ რუსულად ჩვენება აიკრძალება, ისინიც, ვისაც რუსულად გახმოვანებული ფილმების ნახვა ურჩევნია, ინტერნეტს მიაკითხავენ და არა – ჩვენ. ამიტომ კარგი იქნება სახელმწიფო, პირველ რიგში, „კინომეკობრეობის“ პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმაროს!“ – ამბობს აფრიაშვილი. ის უკრაინის მაგალითს იხსენებს, სადაც ანალოგიური კანონის მიღების პარალელურად, ადგილობრივ კინოთეატრებს ფილმის გახმოვანებასთან დაკავშირებული ყველანაირი გადასახადი გაუუქმეს. მიუხედავად დიდი ხარჯებისა, „რუსთაველსა“ და „ამირანში“ კანონპროექტს არ ეწინააღმდეგებიან და, მისი დამტკიცების შემთხვევაში, საკუთარი სტუდიის მოწყობას გეგმავენ.

მათგან განსხვავებით, უფრო დიდი პრობლემა შეექმნება „კინოს სახლს“. აქ ძირითადად არაკომერციული ფილმები გადის. სეანსზე დასწრება კი მხოლოდ ერთი ლარი ღირს. ძირითადი აუდიტორია სტუდენტებისგან შედგება. „უამრავი ფილმი გვაქვს, მათ შორის – ძველი ფილმების არქივიც. უმეტესობა რუსული გახმოვანებითაა. თუ ყველაფერი ქართულად უნდა იყოს დუბლირებული, ან სუბტიტრებით გაფორმებული, ეს ძვირად დაგვიჯდება და ვეღარაფერს გავუშვებთ“, – ამბობს საქართველოს კინოცენტრის შემოქმედებითი კავშირის უფროსი კონსულტანტი ლიანა ხოშტარია.

ამ ინიციატივაზე საუბარი ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში დაიწყო. თუმცა შარშან რუსულად დუბლირებული ფილმები მხოლოდ ქართული მაუწყებლების საეთერო სივრციდან გაქრა. კანონმდებლები ამბობენ, რომ წელს ამ საკითხს კინოთეატრებშიც მოაგვარებენ. კანონპროექტს კიდევ ერთი საკომიტეტო მოსმენის შემდეგ პლენარულ სხდომაზე გაიტანენ დასამტკიცებლად.

მისი ძალა ბამჭვირვალე...

„ბრწყინვალე“ მიკელეს მშვიდობის ხიდი, როგორც ახალი დროის არქიტექტურის ნიმუში.

დავით ბუხრიკიძე

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

„მშვიდობის ხიდის“ მშენებლობა, თბილისი, აპრილი 2010

დაუმთავრებელი, მაგრამ პრეზიდენტის მიერ სანახევროდ უკვე კურთხეული, გამჭვირვალე „მშვიდობის ხიდის“ კონსტრუქცია ლამის მთელი საქართველოს ყურადღების ცენტრშია. ცხადია, ხიდი მაისის ბოლოს გაიხსნება, რათა ადგილობრივ არჩევნებში „ნაციონალურ“ აღმშენებლობას მეტი სიცხადე დაეტყოს, ხოლო „საქმიან და ზრდილ“ (სიმღერიდანაა!) გიგი უგულავას – დამაშვრალის ლირიკული შარმი... მანამდე კიდევ ბევრი შელამაზებული „რიმეიქი“ იქნება: დემოკრატიის ნახევრად მიღწეულ გამარჯვებაზე, სამშვიდობო ოპერაციებში ქართველთა საამაყო ინტერნაციონალურ ვალზე, ნატო-ს კართან ატუზული ქართველი ერის ნათელ მომავალზე, „ბნელი და აროგანტული“ ოპოზიციის უშედეგო ვნებებზე, მოღალატეების გამოცხადებულ ქრონიკასა თუ სახელოვანი მამულიშვილების არდავიწყებაზე... პროპაგანდისტულ თემებს რა გამოლევს.

ერთი ასეთი თემა ბრწყინვალების ორდენიც იყო, რომლის ვერც წარმომავლობა დავადგინეთ, ვერც მიზანი და ვერც ფულადი პრემიის რაოდენობა.

ვინ არის ის, ნიჭიერი არქიტექტორი, რომლის ხმაურიანი დებიუტი საქართველოში შედგა, თუ „გამჭვირვალეობის“ კამპანიით შთაგონებული მეამბოხე-კონსტრუქტივისტი?

სააკაშვილმა საპრეზიდენტო სასახლის არქიტექტორი და უკვე საქართველოს მოქალაქე, მიკელე დე ლუჩი, სხვა გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან და ხელოვანებთან ერთად, სწორედ ამ ორდენით დააჯილდოვა. ამიტომ, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ვინ არის ეს ოდნავ მორცხვი ღიმილით, ინტელიგენტური სეკენდ-ჰენდის სამოსითა და ლიბერალი ნეომარქსისტის გარეგნობით გამორჩეული კაცი? ნიჭიერი არქიტექტორი, რომლის ხმაურიანი დებიუტი სწორედ საქართველოში შედგა, თუ ადგილობრივ რეფორმებს მორგებული და „გამჭვირვალეობის“ კამპანიით შთაგონებული მეამბოხე-კონსტრუქტივისტი?

მიკელე დე ლუჩი 1951 წელს ფერარაში დაიბადა. არქიტექტურული განათლება ფლორენციაში მიიღო, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში დიზაინისა და არქიტექტურის დეპარტამენტში მუშაობდა. 1978 წელს მილანში ავეჯის, დიზაინისა და განათების ხელოვნებას ანდრეა ბრანზის და ალესანდრო მენდინის ცნობილ ფირმებში ეუფლებოდა. 80-იან წლებში დიზაინური ჯგუფების „მემფისისა“ და „ოლივეტის“ მთავარი კონსულტანტია. აღსანიშნავია, რომ ორივე ოფისებისა და ბანკების ავეჯსა და დიზაინზეა სპეციალიზებული. 1987 წელს ჯგუფ „არტემიდაში“ ახალი ტექნოლოგიების ათვისებითაა დაკავებული – ალუმინის კონსტრუქციებს, ლამპების დიზაინს და განათების ტექნოლოგიებს ერთმანეთს უხამებს.

1995 წელს დე ლუჩი დუკის ჩინური სავაჭრო ცენტრის დიზაინს ქმნის. რამდენიმე წლის შემდეგ კი განახლებულ ფრანკფურტის სარკინიგზო სადგურის გადახურვის კონსტრუქციას ხელმძღვანელობს. თუმცა მისი, როგორც მშენებელი არქიტექტორის დებიუტი, საქართველოში შედგა. ჯერ ბათუმში – სასტუმრო „მედეას“ კომპლექსი (დაუმთავრებელია), მერე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა (ხალხში ცნობილი „ვანოს გამჭვირვალე კოშკის“ სახელწოდებით) და ბოლოს, მისი არქიტექტურული ფანტაზიის გვირგვინი – ნეოკლასიციზმის პრეტენზიით შექმნილი პრეზიდენტის სასახლე ავლაბარში.

როცა მიკელე დე ლუჩის შემოქმედებას ინტერნეტით ეცნობი, ძნელია, ფუნქციონალური საოფისე ავეჯის, მოკრძალებულად გაფორმებული ვიტრინებისა და თუნდაც უცნაური დიზაინის მინის ლამპების მიღმა, არქიტექტორის მასშტაბი ან ვნება დაინახო. ამიტომ, მის მიერ დაპროექტებული სასახლეც, სამი-

ნისტროც და უკვე „მშვიდობის ხიდიც“ საქართველოში ავანტიურულ გატაცებას და სიახლის სურვილს უფრო ჰგავს, ვიდრე ლანდშაფტური არქიტექტურის სიახლეს; ან კულტურის, ტრადიციისა და თანამედროვე არქიტექტურის პოსტმოდერნისტულ შეჯვარებას.

მისი არქიტექტურული პროექტები საქართველოში, ისევე როგორც „მშვიდობის ხიდის“ ახლებული გააზრება და კონსტრუქცია, ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს განაპირობებს. არქიტექტორების, დიზაინერების და სხვა სპეციალისტებისგან მრავალი საყურადღებო მოსაზრება გამოითქვა, რაც ჩვენთან საუბარში არქიტექტორმა კოკა ამირეჯიბმა ყველაზე განზოგადებულად და ლაკონურად ჩამოაყალიბა:

„მშვიდობის ხიდი“ საკუთარი მასშტაბით, ზომით და ფორმით არღვევს ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს. ჯერ კიდევ 80-იან წლებში, მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებით (რომელიც, სხვათა შორის, არავის გაუუქმებია), ისტორიულ ზონაში მშენებლობა არ უნდა არღვევდეს არსებულ ისტორიულ მასშტაბს, არ უნდა აკნინებდეს გარემოს და ძეგლებს. ახალი ხიდი, თავისი ერთი შეხედვით მსუბუქი კონსტრუქციითა და ხელოვნურად გაზრდილი მასშტაბით, ყველა ამ მოთხოვნას უგულებელყოფს. მის ფონზე სრულიად უმნიშვნელოდ ჩანს ისეთი ისტორიული ძეგლები, როგორიცაა მეტეხი, სიონი, დარეჯანის სასახლე, ან ძველი თბილისის აივნიანი სახლები. ხიდის აშენება რატომღაც ფარულად გადაწყდა. საზოგადოებას არ ჰქონდა საშუალება, წინასწარ განეხილა პროექტი და თავისი დამოკიდებულება გამოეთქვა ახალი მშენებლობის მიმართ“.

არქიტექტორთა ნაწილი იმასაც მიიჩნევს, რომ ისტორიული ძეგლებისადმი ამგვარი ეჭვიანი დამოკიდებულებით და სიახლის მიუღებლობით თბილისის მომავალი ლანდშაფტურ-სივრცობრივი არქიტექტურა ვერ განვითარდება. მაგალითად, რატომღაც, ეიფელის კოშკს ასახელებენ, რომელიც თავის დროზე მოპასანმა „პარიზის ყველაზე დიდ სიმახინჯედ“ გამოაცხადა. ვნახოთ, იქნებ ოცი წლის შემდეგ ახალ თბილისს შემოსეულმა ტურისტებმაც სწორედ „ბრწყინვალე“ მიკელეს „მშვიდობის ხიდზე“ აღბეჭდონ საკუთარი თავი და არა ისტორიული მეტეხის ტაძრისა და ნარიყალას ფონზე.

თავისუფალი მსოფლიო: ამერიკა, ევროპა და დასავლეთის მოულოდნელი მომავალი

ტრანსატლანტიკური ურთიერთობებისა და დემოკრატიის საკითხების კარგი შესავალი სტუდენტებისთვის, საუკეთესო რეზიუმე პროფესიონალებისთვის.

ლევან ცუცქირიძე



ტიმოთი გაარტონ ეში
Random House, New York. 2004
http://www.timothygartonash.com/

„თავისუფალი მსოფლიოს“ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოდ განხილული თემა „დასავლეთის“ კრიზისია. კერძოდ კი ის დაპირისპირება, რაც შეერთებულ შტატებსა და ევროპას შორის წარმოიშვა. ამის უშუალო მიზეზი, გაარტონ ეშის აზრით, ერაყის ომის წამოწყება იყო, მაგრამ ევროპულ-ამერიკულ კრიზისებს უფრო ღრმა საფუძვლები აქვს. ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში მთავარ როლს საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და, რა თქმა უნდა, შეერთებული შტატები თამაშობენ. ეშის აზრით, ბრიტანეთი ორსახა იანუსს მოგვაგონებს, რომელსაც თანაბრად განვითარებული აქვს როგორც კონტინენტური, ასევე ტრანსატლანტიკური იდენტობა, რაც მის საგარეო პოლიტიკას უნიკალურს, თუმცა პრობლემატურს ხდის. ამასთან, დიდი ბრიტანეთი ის ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც სწორედაც რომ ამ დუალიზმის გამო შეუძლია უმთავრესი როლი ითამაშოს ევროპისა და ამერიკის მჭიდროდ შეკავშირებაში.

კონტინენტური ევროპა, თავის მხრივ, ახალი იდენტობის შექმნასა თუ ძიებაშია. მისი დიდი ნაწილი კი იმის მტკიცებაა, რომ „ევროპა არ არის ამერიკა“. აღნიშნულის საფუძველი რამდენიმეა. პირველი, ეს არის საბჭოთა საფრთხის გაქრობა. მეორე ფაქტორია „მოკლევადიანი გაღიზიანება“ – ჯორჯ ბუშის ცალმხრივი საგარეო პოლიტიკა ერაყსა და სხვა საკითხებში, ხოლო მესამე ევროპული ანტი-ამერიკანიზმია (ისევე, როგორც ანტი-ევროპიზმი ამერიკაში). ევროპა ორ განსხვავებულ საგარეო პოლიტიკურ ხედვას შორის მერყეობს: „ევროგოლიზმი“, რომელიც ამერიკისა და ნატო-საგან უფრო იზოლირებული საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს ხედავს და „ევრო-ჩერჩილიზმი“, რო-

მელიც მჭიდრო ტრანსატლანტიკურ თანამშრომლობაში ხედავს საუკეთესო არჩევანს.

შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში დიდია რყევები იზოლაციას, უნილატერალიზმსა და მულტილატერალიზმს შორის. ასეთი ცვლილებები არღვევს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ თანამიმდევრობას. ამერიკის ევროპასთან მჭიდრო თანამშრომლობას სტრატეგიულ საკითხებში ისიც ართულებს, რომ ევროპას „ბევრი დედაქალაქი“ აქვს. სამხედრო თვალსაზრისით, ევროპა შეერთებული შტატებისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქმე მის ეროვნულ ინტერესებს ეხება. თავის მხრივ, ევროპელები ეძებენ საკუთარი ძალის ახალ განზომილებებს, საკუთარ „უხეშ ძალასაც“, თუმცაღა რისთვის, ან რის წინააღმდეგ სჭირდებათ ეს ძლიერება, ჯერჯერობით ბუნდოვანია.

მნიშვნელოვანია ევროპელებსა და ამერიკელებს შორის განსხვავებები რელიგიის, სახელმწიფოს როლის, უთანასწორობის საკითხების, გარემოს დაცვის, სუვერენიტეტის, იარაღის ფლობის და სიკვდილით დასჯის საკითხებში. მაგალითად: ღმერთი მნიშვნელოვანი ან ძალიან მნიშვნელოვანია ამერიკელთა 83%-ის ცხოვრებაში, ხოლო ევროპელთა მხოლოდ 49% მიიჩნევს ასე. ფედერალური გადასახადები ამერიკაში 30%-მდეა, ხოლო ევროპის საშუალო გადასახადი 40%-ს უტოლდება ან სჭარბობს. სიმდიდრის განაწილება ევროპაში უფრო თანაბარია, ვიდრე ამერიკაში. ამერიკაში საშუალო ფენა პრინციპში მცირეა, მაგრამ ძალიან მდიდარ ფენასა და ქრონიკულად ღარიბ ქვედა ფენას შორისაა მოქცეული. 2001 წლის 9/11-ის შემდეგ ამერიკელების 72% იყო ძალიან ამაყი თავისი ქვეყნით. ამავე კითხვაზე ინგლისელების 49%-მა და გერმანელების 40%-მა უპასუხა ანალოგიურად. ყოველ ათ ამერიკელზე ცხრა იარაღი მოდის, ევროპაში კი ათ ადამიანს სამზე ნაკლები ცეცხლსასროლი იარაღი აქვს. „ამერიკული ცხოვრების წესს“ ბევრად მეტი ენერგორესურსის ხარჯვა ესაჭიროება, ვიდრე ევროპულს. თუკი ევროპელებმა საკუთარი სუვერენიტეტის მნიშვნელოვანი წილი ევროკავშირს გადასცეს, ამერიკელებისთვის სუვერენიტეტის „დათმობა“ მიუღებელია. ამ ფონზე, გასაკვირი არ არის, რომ 2003 წელს ევროპელთა 79% ფიქრობდა, რომ მათ და ამერიკელებს განსხვავებული სოციალური და კულტურული ღირებულებები აქვთ.

ამ წიგნში ბევრი რამაა საინტერესო. თუ ფიქრობთ, რომ ამერიკელი კონსერვატორები გარემოსთან მებრძოლი კოვბოები არიან, საინტერესო იქნება, წაიკითხოთ, თუ რომელი სახელმწიფო ხარჯავს ერთი დოლარს უფრო „ეკოლოგიურად“, რატომ ეწინააღმდეგებიან განვითარებადი სახელმწიფოები კარბონ დიოქსიდის გამონაბოლქვის შეზღუდვების დაწესებას მათთვის; რატომ არ ამბობენ უარს ევროპელები და ამერიკელები სუბსიდიებზე საკუთარი ინდუსტრიების მხარდასაჭერად და რა ნეგატიური გავლენა აქვს ამას სიღარიბის შემცირების ძალისხმევაზე. ამ საქმეში ევროპა „ჩემპიონია“: 2000 წელს ევროკავშირი 913 აშშ დოლარ სუბსიდიას ხარჯავდა ერთ ევროპულ ძროხაზე, მაშინ როდესაც მისი საგარეო დახმარება შავი აფრიკისათვის 8 აშშ დოლარი იყო ერთ ადამიანზე. მიუხედავად ამისა, ოფიციალური საგარეო დახმარების მხრივ ევროკავშირი უსწრებს შეერთებულ შტატებს.

მიუხედავად ამერიკის უპირობო სამხედრო, ტექნოლოგიური და ეკონომიკური ძლიერებისა, ევროპის მიზიდულობისა („ამერიკელები მარსიდან არიან, ევროპელები კი ვენერიდან“), ახალი მოთამაშეები და საფრთხეები მნიშვნელოვნად შეამცირებენ დასავლეთის მიერ ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების შესაძლებლობას. ამის ისტორიული შანსი არის ახლა და დღეს. ამას კი ვერც ევროპა და ვერც შეერთებული შტატები მარტო ვერ შეძლებს. ტრანსატლანტიკური ურთიერთობების შედუღაბებაში წამყვანი როლი ბრიტანეთმა უნდა ითამაშოს, სადაც ტონი ბლერის პროექტი ბრიტანეთისთვის, როგორც დიდი ტრანსატლანტიკური ხიდისა, ჯერ კიდევ ცოცხალია. ამერიკის სამხედრო და ეკონომიკური ძლიერება საშუალებას აძლევს თავისუფალ სამყაროს, ხელი შეუწყოს როგორც თავისუფლების გავრცელებას, ასევე ტერორიზმის დამარცხებას, სიღარიბის დაძლევას და პლანეტის გაჯანსაღებას. ამერიკა, რომელიც „ევროპის ქალიშვილი“ იყო, ახლა „ბიძია სემია“ და მან ეს როლი კარგად უნდა შეასრულოს: მხარი დაუჭიროს ევროკავშირის ინტეგრაციას და კვლავ მიიღოს იგი როგორც სერიოზული და თანასწორი პარტნიორი.

ევროპას, თავის მხრივ, აქვს შანსი დაამტკიცოს, რომ სემუელ ჰანტინგტონი ცდებოდა: მან თურქეთი და უკრაინა (მოლდოვასა და ბელორუსთან ერთად) უნდა მიიღოს ევროკავშირში და უჩვენოს, რომ მართლმადიდებლურ და მუსლიმანურ საზოგადოებებშიც შესაძლებელია თავისუფალი საზოგადოების არსებობა (საწინააღმდეგო აზრს ეში „ვულგარულ ჰანტინგტონიზმს“ უწოდებს). ამასთანავე, ის, რაც რთული გადასახარში იქნებოდა ევროპისათვის, შედარებით ადვილია NATO-სათვის – ასეთი რუსეთია. NATO-ს შეუძლია რუსეთიც ჩააყენოს საერთო ფერხულში და ამით განამტკიცოს საერთაშორისო უსაფრთხოებაც. სწორედ ამიტომ, NATO რუსეთის ინტეგრაციას უნდა შეეცადოს.

მხოლოდ ასეთი, თამამი ისტორიული ნაბიჯებით შეიძლება იმ პრობლემების გადაწყვეტა, როგორიცაა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი, საერთაშორისო ტერორიზმი, სიღარიბე, ეკოლოგიური პრობლემები და ბირთვული საფრთხეები. ამ გზაზე სავალი დრო შეზღუდულია და მისი ეფექტური გამოყენება მხოლოდ ევროპისა და შეერთებული შტატების მჭიდრო თანამშრომლობითაა შესაძლებელი. სწორედ ესაა დასავლეთის ერთგვარად მოულოდნელი მომავალიც: თუკი გამბედაობა ეყოფათ, ევროპასა და ამერიკას შეუძლიათ ერთად აჯობონ ლობისტებსა და ინტერესის ჯგუფებს, დაძლიონ „შიდა საოჯახო“ წინააღმდეგობები და გადალახონ ისტორიული ჰორიზონტები. მათ შეუძლიათ, შექმნან ახალი კავშირები და ისეთი მსოფლიო, სადაც შედარებითი დასუსტების შემთხვევაშიც კი, ისინი მსოფლიოში თავისუფლების მხარდაჭერას შეძლებენ.

სანია ჰომ თხოვდებოდა

სანია მირზა ინდოეთის მზე და მთვარე, ეგებ აღარც არის ინდოეთის მზე და მთვარე და საერთოდ, სანია მირზაც აღარა ჰქვია, არამედ სანია მალიქი. გასულ კვირას სანიამ დიდი ხმაურის მიუხედავად იქორწინა შოაიბ მალიქზედ და ალბათ ახლა ყველა დაწყნარდება.

გიო ახვლედიანი, ლონდონი

მოკლედ რომ ითქვას, სანია ინდური ჩოგბურთის ვარსკვლავია და ჯერაც 23 წლისაა. სამაგიეროდ, ის პირველი ინდოელი ჩოგბურთელია, რომელმაც ქალთა რეიტინგში ორმოც საუკეთესოს შორის შეაღწია და ამით საერთოინდურ გმირად იქცა. მერე რა, რომ ახლა ადგილი დათმო და ოთხმოცდაათიან სიას თუღა უკაკუნებს. რთული დროება ედგა, შოაიბ მალიქზე ქორწინება უბრალო რამ არ გეგონოს.

თანაც სანია დანიშნული იყო სოჰრაბ მირზაზე, თავის ბავშვობის ამხანაგსა და მიჯნურზე, ზუსტად ისე, როგორც წესია.

ეს ნიშნობა რომ დაირღვა, ისიც ხმაურიანი ამბავი იყო, სანია ხომ ჰაიდარაბადელი მუსლიმია, ყოველი წესის დამცველი, დღეში ხუთგზის მლოცველი და მარხვათა შემნახავი.

ერთი საწვალებელი საკითხი ისა ჰქონდა, რომ კორტებზე მოკლე კაბით გამომავალს მაინც გვარიან ცეცხლქვეშ გაატარებდნენ ხოლმე, რანაირი მუსლიმიაო, როგორ შეიძლება მორწმუნე გოგოს ასე ეცვას და ამნაირი იერით უღებდნენ სურათებსო. მოდელობის ამბავშიც ჰქონდა შეცოდილი.

ჰაიდარაბადი სამხრეთ-აღმოსავლეთი ინდოეთია, ოთხმილიონიანი, მარგალიტების ქალაქად წოდებული ადგილი. იქაური მუსლიმური თემი მძლე და დიდია, მაგრამ ეს ინდოეთია და აქ კი ისიც უნდა ვთქვათ, რომ სანიაც ინდოელია.

და მოხდა ასე, რომ ბიჭი შეუყვარდა და იმ ბიჭსაც შეუყვარდა. საერთოდ, შემყვარებელი ბიჭი ჩანს.

სად გადაეყარა სანია მირზა შოაიბ მალიქს, ამისას ახლა ვერ მოგახსენებთ, მაგრამ, ჰაი, ჰაი, რომ შოაიბ მალიქი პაკისტანელია.

და თან, არა მხოლოდ პაკისტანელია, არამედ პაკისტანის მოკრიკეტეთა ნაკრების ყოფილი კაპიტანიცაა. სახალხო მნიშვნელობა ამ წოდებისა იმითაც ვერ ფერმკრთალდება, რომ შოაიბ მალიქი ყოფილი კაპიტანია და ახლა საერთოდაც ერთი წლითაა მოკვეთილი საერთაშორისო კრიკეტისგან.

მოკრიკეტეთა ეროვნული ნაკრების კაპიტანობა ჩვენს სახალხო მნიშვნელობაზე რომ მოვთარგმნოთ, იმგვარი პოპულარობის ნაზავს წარმოადგენს პაკისტანში, ფიროსმანს, მიხეილ მესხსა და არსენა ოძელაშვილს რომ ჰქონოდათ, ერთ იერში რომ მოქცეულიყვნენ.

ანუ, ეს ვარსკვლავთა მიჯნურობა იყო. აქეთ სანია, იქით მალიქი.

საქმე იმგვარი ხმაურით მიმდინარეობდა, რომ მასში პოლიტიკური ექსპერტებიც კი ჩაერთნენ: „სინამდვილეში ეს ჩვეულებრივი ამბავია, სიყვარული და ქორწილი. უბრალოდ, პოლიტიკა ისეთი რამეა, რომ ქვაბში წყალი სულ უნდა დუღდეს, ცოტა ცეცხლი რომ შემოაკლდება, მიუმატებენ და ესაა. ორმა უდანაშაულო ადამიანმა კი, რომელიც უბრალოდ ოჯახს ქმნის, ამ სიმწარეში უნდა გაიაროს“.

ოღონდაც, ეს პაკისტანი და ინდოეთი გახლავს. ორი ქვეყანა სამჯერ ეომა ერთმანეთს 1947 წლის ცნობილი გაყოფის შემდეგ, ახლაც სადავო აქვთ ქაშმირი და ათასი ხვა უბედურება, ხოლო 2008 წლის მუმბაის ამბების შემდეგ, ქვეყანათა პოლიტიკოსები თითქმის გაბუტულნი არიან. იქით ინდოეთს აქვს ატომური ბომბი, აქეთ პაკისტანს. არის დიდი გაწევ-გამოწევა.

როცა მიჯნურობის ამბავი გახმიანდა, სანიამ თქვა, სულაც არ ვფიქრობ პოლიტიკოსებზე, ქორწილისთვის თმა რა ფრად შევიღებო, იმასა ვფიქრობო.

პაკისტანში, მალიქის მშობლიურ ქალაქ სიალკოტში ხალხმა მის სახლის წინ ცეკვა-თამაში კი გააჩაღა სიხარულის გამოსახატად, იქაურმა კრიკეტის უფროსობამ 28 წლის მალიქის არჩევანი დადებითად შეაფასა. ქორწილიც დაიგეგმა, აქეთ ჰაიდარაბადში, იქით ლაჰორში და მოკლედ, როგორც უნდა იყოს. ოღონდაც ქორწილი აგრე იოლად მაინც არ გამოვიდა, იმიტომ რომ სანიას წინააღმდეგ დიდი კამპანია გაჩაღდა საკუთრივ ინდოეთში. ის ხომ საერთოინდური გმირია და, მუსლიმია თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მემარჯვენე ჰინდუებმა განთქმულ ბალ თაკერაის თამადობით პრესა

აიღეს. რომელი გაზეთი იტყვის უარს პირველ გვერდზე სანიას ამბის აფეთქებისგან?

„ეგ გოგო ინდოელი ვეღარ იქნება. მისი გული რომ ინდურად ძგერდეს, პაკისტანელისთვის არ აძგერდებოდა“, – აი, ასე თქვა ბალმა და ისტორიაც გახურდა.

ისიც კი თქვეს, – ეს ინდოელი კაცის სიამაყის ამბავია, ამხელა ქვეყანაში ინდოელმა ქალმა მოსაწონი რომ ვერ ნახა და მაინცდამაინც პაკისტანელს გადაეკიდაო.

აქა-იქ იმასაც ამბობდნენ, – აბა სანია ბიჭი ყოფილიყო და პაკისტანელი ქალი აერჩია, ნეტავ თუ ვინმე ხმას ამოიღებდაო.

რახანღა მედიის შუქქვეშ მოხვდნენ სანია და მალიქი, იქაც კიდევ ერთი ამბავი გაირკვა. მალიქი თურმე დაქორწინებული ყოფილა გოგოზე, რომელიც არასდროს ენახა. კრიკეტისგან უქმად მყოფ მალიქს დრო ბევრი ჰქონდა, ჰოდა მავან გოგოს, აეშია სიდიქის, მისთვის წერილები უგზავნია თავისი ფოტოებით და მთელი ამბებით, რაიც გამოჩენილ სპორტსმენთა ხვედრი ნამდვილად არის. მალიქი წერილებს აჰყოლია, გოგოსთან სატელეფონო ლაპარაკებიც გაუბამს და აგრე ტელეფონშივე დაქორწინებულა, ისე, რომ ქალი არც უნახავს.

ინდოელები იმასაც ამბობდნენ, რად უნდა ჩვენს გოგოს ასეთი უპატიოსნო კაცის ცოლობაო: აგერ ტელეფონში ცოლი შეირთო და კაპიტნობიდანაც ინტრიგების გამო გადააყენესო.

როგორც ნაცადი ინდო ჟურნალისტები ამბობენ, ბევრი ინდოსთვის პაკისტანელზე გათხოვება სრული კულტურული შოკია, თუმცა, ჭკვიანი ხალხი იმასაც გეტყვით, რომ ყოველ ინდოელში არის ნაწილი პაკისტანელისა და ყოველ პაკისტანელში არის ნაწილი ინდოელისაო, რაც მეტად საინტერესო ნათქვამია და მგონი მხოლოდ ინდოპაკელთა ჩახლართულ ურთიერთობებს არ მოერგება, არამედ სხვა ათას ამის მსგავს ამბავსაც.

საქმე იმგვარი ხმაურით მიმდინარეობდა, რომ მასში პოლიტიკური ექსპერტებიც კი ჩაერთნენ და ერთმა ამათგანმა ნირაჯ ბჰუშანმა თქვა: „სინამდვილეში ეს ჩვეულებრივი ამბავია, სიყვარული და ქორწილი. უბრალოდ, პოლიტიკა ისეთი რამეა, რომ ქვაბში წყალი სულ უნდა დუღდეს, ცოტა ცეცხლი რომ შემოაკლდება, მიუმატებენ და ესაა. ორმა უდანაშაულო ადამიანმა კი, რომელიც უბრალოდ ოჯახს ქმნის, ამ სიმწარეში უნდა გაიაროს“.

სანამ პოლიტიკოსები ასე ელაპარაკებიან ერთმანეთს,

სანია მირზა

ნახავდა კი, ოღონდაც აეშიას უთქვამს, – ეხლა წონაში მომატებული ვარ, შენ თვალთათვის მინდა უკეთესი გამოვჩნდე და რომ დავიკლებ, მერეღა შევხვდეთო.

რახანღა ამასობაში სანიას გადაეყარა, მალიქმა სატელეფონო ცოლი უარჰყო, ოღონდაც პოლიციაში წაჩანჩალებამაც მოუწია, რადგან ქალის მშობლებმა იჩივლეს, – ეგ რა გამოდის, ჩვენი შვილი მაგის ცოლიაო. მოკლედ, საქმე მალიქისთვის კარგი გარიგებით მოგვარდა, თორემ, ვინ იცის, რა იქნებოდა.

ასეთი ამბები ყოველთვის ასე წარიმართება. მალიქი და სანია 15 აპრილს აპირებდნენ დაქორწინებას, დუბაიში გადახვეწილნი იტყობინებოდნენ თარიღს. მერე გადათქვეს, – არაო. სინამდვილეში კი სამი დღით ადრე იქორწინეს ჰაიდარაბადში.

მოკლედ, როგოც ჩვენში იტყოდნენ, ძნელია ინდოელობა.

მგონი, არც პაკისტანელობაა იოლი.

განსაკუთრებით მაშინ, როცა ნაცნობი სახე გაქვს.

ბამეხჯობა, იეხალო?

რატომ არ გამოვდივართ ქუჩაში ამ პრობლემის გადასაწყვეტად? რატომ არ ვებმებით საჯარო კამათში იმის შესახებ, თუ როგორ შევამციროთ ქალაქური შეიარაღება? რატომ არ ვთხოვთ ამას ხელისუფლებას? რატომ არ ვმოქმედებთ?

კახა თოლორდავა

...იმ დროს ჩემი მეგობარი გიორგი როტერდამში ცხოვრობდა. ვიღაც იქაური ქართველი ნაცნობის ნაცნობმა სთხოვა, – ბიჭი ჩამომივიდა, ინგლისური არ ვიცი და წამომყევი, საჩუქარი მინდა ვუყიდოო. წაყვა. იმ კაცის შვილი დაახლოებით 15-16 წლის იქნებოდა. დანების მაღაზიაში მიიყვანეს. შესვლისთანავე მამა-შვილი ვიტრინებში ლამაზად გამოფენილ დანებს მიაწყდა და ხმამაღლა დაიწყეს მსჯელობა მათ ავ-კარგიანობაზე. გიორგი უსიტყვოდ დაჰყვებოდა შესამჩნევად აჟიტირებულ დანების მოყვარულებს. მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ის კაცი დანის ყიდვას აპირებდა შვილისთვის. მოკლედ, როგორც იქნა, ბიჭმა შეარჩია ერთი მოზრდილი ბებუთი და თქვა, – ალბათ ეს ყველაზე ნორმალურიაო. მამა არ დაეთანხმა. „აბა, ამას შეხედე, – უპასუხა შვილს და ერთ მოკაუჭებულპირიან დანაზე მიუთითა, – იმას, რასაც შენ ირჩევ, კაცს თუ დაარტყამ, სისხლიც კი არ გამოუვა, ამას კი რომ გაუყრი, ნაწლავებსაც გამოუყრი გარეთ!“ გიორგიმ რაღაც მოიმიზეზა და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. ეს ნამდვილი ამბავია. მამაც და შვილიც დღეს თბილისში ცხოვრობენ...

გიორგის ეს ისტორია გუშინ გამახსენდა, ქიაჩელის ქუჩაზე რომ მივაბიჯებდი. ჩემსაზე ვფიქრობდი, როდესაც იქვე ახლოს, სულ რამდენიმე მეტრში მანქანამ დაამუხრუჭა და ერთი ახალგაზრდა, კარგად ჩაცმული კაცი გადმოვიდა გოგოსთან ერთად. კაცმა გოგო წინ გაუშვა, შემდეგ კი არცთუ ისეთი სიფრთხილით მიიხედ-მოიხედა, ქამრის უკან გარჭობილი უზარმაზარი, ვერცხლისფერი პისტოლეტი ამოაცურა (ეტყობა მანქანაში ჯდომისას ზედმეტად დააწვა გავაზე), ხვანჯარში ჩაიტენა და პიჯაკი შეიკრა. ისინი მხიარული ლაპარაკ-ლაპარაკით შევიდნენ სადარბაზოში, მე კი გზა გავაგრძელე და მხოლოდ რამდენიმე წუთში მივხვდი ერთ რამეს, – ბოლო დროს მე ძალიან, ძალიან ხშირად ვხედავ ქუჩებში იარაღს და ეს გადაჭარბებული ნათქვამი არაა. ეს ალბათ მარტო მე არ შემიმჩნევია, რადგანაც, თუ არ ვცდები, ერთ-ერთი ქართული ტელეარხი გამუდმებით ატრიალებს, არ მახსოვს, ვის დამზადებულ კლიპს მოზარდებში დანის ტარების საფრთხეზე. სტატისტიკურ მონაცემებზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ როგორც ქალაქში მოხეტიალე ადამიანი, კიდევ ერთხელ დავადასტურებ, – თბილისში ცივი იარაღი დაბრუნდა! დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს ასე არ იყო თუნდაც სამი-ოთხი წლის წინ, ან შეიძლება მეშლება და იმ დროს დანიანი ბიჭები უფრო ფრთხილობდნენ ქუჩებში ერთმანეთისთვის თავისი დანების ჩვენებას. დღეს კი ყველაფერი სხვაგვარადაა – მოზარდები ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე დგანან ქუჩებში დანებით ხელში და, თითქმის დარწმუნებით შემიძლია ვთქვა,

რომ თბილისის ქუჩებში იარაღს უკვე ყ ო ვ ე ლ დ ღ ე ვხედავ! სხვებიც ხედავენ, მაგრამ ვერავინ ვბედავთ რაიმეს თქმას, შენიშვნის მიცემას, პროტესტის გამოხატვას... უფრო მეტიც, რამდენიმე თვის წინ ვიღაც ჩამვლელმა მამაკაცმა დანა დაუნახა იქვე მდგარ მოზარდს ხელში, სთხოვა, – მიჩვენეო, – გამოართვა, ერთი შეატრიალ-შემოატრიალა ხელში, დაუბრუნა, – ასწორებსო, – უთხრა და გზა გააგრძელა...

რა ვქნათ? რა თქმა უნდა შეიძლება ჩვენც ვიყიდოთ დანები და ჩავიგდოთ ჯიბეში ქუჩაში გასვლისას, ყოველი შემთხვევისთვის. ეს იმ შემთხვევისთვის, თუ ვაღიარებთ, რომ იდიოტები ვართ, მაგრამ ხუმრობა იქით იყოს და, რ ა ღ ა ც ხომ უნდა მოვიმოქმედოთ? ჩვენ! თბილისელებმა! რატომ არ გამოვდივართ ქუჩაში ამ პრობლემის გადასაწყვეტად? რატომ არ ვებმებით საჯარო კამათში იმის შესახებ, თუ როგორ შევამციროთ ქალაქური შეიარაღება? რატომ არ ვთხოვთ ამას ხელისუფლებას? რატომ არ ვმოქმედებთ? ყველა ამ შეკითხვაზე პასუხი არ მაქვს, ან უფრო სწორად მაქვს ვარაუდი, რომლის მოსმენაც არავის ესიამოვნება, ჩვენ ხომ უფრო მნიშვნელოვანი საკითხებით ვართ დაკავებულები? მერე კი რომელიმე ჩვენგანის შვილს დაჭრიან, ან რომელიმე ჩვენგანის შვილი დაჭრის ვინმეს და მხოლოდ მაშინ შემოვირტყამთ თავში ხელს. საქართველოში ყოველთვის ასე ხდება ხოლმე, არა? დღემდე!

მოკლედ, ქუჩაში მოხეტიალე კაცი კიდევ ერთხელ ადასტურებს: თბილისში იარაღი დაბრუნდა! ჩვენზეა დამოკიდებული, გამარჯობას ვეტყვით, თუ დავემშვიდობებით მას!

როგორც ხედავთ, დღეს ხუმრობის ხასიათზე არ ვარ...

რადიო „ნასნობი“ გეპატიჟებათ კლუბში „ნასნობი“

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- ცოცხალი მუსიკა

მისამართი: აბანოს ქ. N 3



WWW.LIBERALI.GE